2.3 შეედრება იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ მაღალი შირის ძირითადი პროსოდიული ერთეული „ორმარცვლიანი ტერფია“ („ქორე“), რომელზედაც არის თითქოს აგებული ეკვივალენტური სიმეტრიით ნაწერი კატრენები. ეს რომ სწორი არაა, თუნდაც იქნა ჩანს, რომ ტექსტის 12.696 ნახევარკარდში არა გვაქვს არცერთი შემთხვევა მიმართვისა: 2 4 2. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ორმარცვლიანი სიტყვები (სე, როგორც ერთმარცვლიანი და სამმარცვლიანი სიტყვები) მაღალ შირში იხმარება მხოლოდ როგორც ოთხმარცვლიანი სეგმენტის შემადგენელი ელემენტები, მაგრამ არა როგორც დამოუკიდებელი პროსოდიული ერთეულები. რადგანაც სეგმენტთა შორის არ შეიძლება სიტყვის განაწილება და სეგმენტის მაწარმოებელ ოთხმარცვლიან სიტყვას ვერ გამოეყოფა ორმარცვლიანი წინამავალი ან მომდევნო ორმარცვლიდან ერთად „ტერფია“ ან სეგმენტის შესადგენად, ამიტომ გასაგებია, რომ თანმიმდევრობა 2 4 2 და მისი. დაუშვებელია. აქედან ცხადია, რომ, წინააღმდეგ ვაერცელებული შეხედულებისა, ვეფხის-ტყალისაში ორმარცვლიანი ტერფი („ქორე“) არ არსებობს.

ამავე მიზეზის გამო არ გვხვდება მაღალი შირის სტროფებში მიმართება 3 2 3<sup>ა</sup> ან 2 3 3. რადგან სიტყვათგასაყარი ოთხმარცვლიან შემდეგაა, ხოლო სიტყვის გაყოფა არ შეიძლება, ამიტომ მაღალ შირში ასეთი მიმართებებიც შეუძლებელია.

2.4 ასეთი გამორცხულია მაღალი შირის სტროფებიდან სუთმარცვლიანი სიტყვები. 1543 ხუთმარცვლიანი სიტყვიდან, რომელიც ვეფხისტყალისაშია ნახმარი, ყველა დაბალ შირის ეკუთვნის და არა გვაქვს არცერთი შემთხვევა, თუნდაც გამოწვლისის სახით,

რომ ხუთმარცვლიანი სიტყვა იყოს გამოწვლილი მაღალი შირის რომელიმე სტროფში.

2.5 საერთოდ, ვეფხისტყალისის მთელი ტექსტის მანძილზე, გარდა თითო-ორიოლა გამოწვლისისა, რომელიც შესაბამე ქვეთონ გვექნება საუბრად, არა გვაქვს ისეთი შეფარდება, რომელიც მოშლის სიტყვათგასაყარს ოთხმარცვლიან ბოლოს. სიტყვის განაწილება სეგმენტთა შორის, როგორც ამას ადგლი აქვს ბერძნულში, ლათინურში, რუსულში, არაბულში და მთელ რიგ სხვა ენებში, დაუშვებელია. აქედან გამომდინარეობს დასკვნა: სეგმენტის საზღვარი აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს სიტყვის საზღვარს. რამდენადაც სეგმენტის შესადგენად ხშირად რამდენიმე სიტყვა არის გამოყენებული, ბუნებრივია, რომ ცალკეული სიტყვების საზღვარი სეგმენტის საზღვარს არ დაემთხვევა, მაგრამ თვით სეგმენტი კი აუცილებლად თავდება იქ, სადაც თავდება სიტყვა. ამიტომ დაყოფა

შავი | ცხენი | სადა | ვითა || მკვა ლომ | სა და, | ვითა | გმირსა

არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს. ეს ისედაც აშკარა მახვილი დისტრიბუციის მიხედვით და საბოლოოდ დასტურდება ხუთმარცვლიანი სიტყვების გამორჩევი მაღალი შირიდან, აგრეთვე გარკვეულ შეფარდებათა (2 4 2, 2 3 3, 3 2 2) უქონლობით იმავე მაღალ შირში. წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი უშლიდა ხელს პოეტს, რომ ხუთმარცვლიანი სიტყვიდან გამოეყო ერთი მარცვლიანი და წინამავალი ან მომდევნო სამი მარცვლიანთა მიეკუთვნებინა და ამით მაღალი შირი მიეღო.

3 დაბალი შირი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგივე 16-მარცვლიანი ლექსი, რომლის ნახევარკარდი რეპარაციულად ქმნის, დაბალ შირში ასიმეტრიულად არის გაყოფილი აგრეთვე ორ სეგმენტად, რომელთაგან ერთი ხუთმარცვლიანია და მეორე — სამმარცვლიანი. სიტყვათგასაყარი აქ სამმარცვლიანი და ხუთმარცვლიანი სეგმენტებთან იქმნება.

3.1 სამმარცვლიანი და ხუთმარცვლიანი სეგმენტების მიმართება ნახევარი კარდის ცვალებულში თავისუფალია, ე. ი. შეიძლება გვექნოდეს თანმიმდევრობა 3 5 ან 5 3. ეს თანმიმდევრობა განასაზღვრულია სეგმენტთა საწარმოებლად გამოყენებული სიტყვების სილაბულის ხასიათით და შეიძლება სტროფიდან სტროქონამდე ან სტროფიდან სტროფამდე იცვლებოდეს ან უცვლელი რჩებოდეს. თუ სიტყვათა სილაბური ხასიათი ნახევარკარდის ფარგლებში იმგვარია, რომ ვლტებლობთ მიმართვას 3 2 3 (ან მათ ეკვივალენტებს: 3 1 1 3, ან 1 2 2 3 ან 3 1 1 2 1 და სხვ.), მაშინ 3 და 5-მარცვლიანი სეგმენტების განუჩრეველად ორგვარი თანმიმდევრობა შეიძლება გვექნოდეს, ე. ი. შეიძლება 3 2 3 დაყოფა ამგვარად: 3 2 (=) 3 ან 3 2 3 (=) 5. ზოგჯერ სეგმენტთა შორის საზღვრის დადგენა დამოკიდებულია ლექსიკურ-გრამატიკულ და სემანტიკურ ფაქტორზე, ზოგჯერ კი მათ შორის



ნეიტრალური მიმართებები გვაქვს. არსებითად ლექსის სტრუქტურის თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს, წინაშეაღალი სამარცხვლელს მიეკუთვნება შუამავალი ბიპილაბური სიტყვა თუ ბოლოკალურს.

3.2 პირველ ნახევარკარედში მოცემული თანმიმდევრობა დაბალ შორის სეგმენტებისა მეორე ნახევარკარედში შეიძლება იმგვარად იყოს ასახული, რომ მივიღოთ ე კ ვ ი ე ა ლ ე ნ ტ უ რ ი ს ი მ ე ტ რ ი ა, ე. ი. ამოსავალი მდგომარეობისათვის დამახასიათებელი მიმართებანი. ამის ნიმუშია:

სტროფი 508,2:  $\frac{5}{3}$  **გახარებოდა ხვარაზმშას** ||  
 $\frac{5}{3}$  **სიხარულითა დიდითა;**

სტროფი 794,4:  $\frac{3}{5}$  **მიღწეიან, მომიგონებენ,** ||  
 $\frac{3}{5}$  **დამლოცვენ მოვეგონები.**


3.4 მეორე მხრივ, მეორე ნახევარკარედში შეიძლება მივიღოთ ინვერსიული სიმეტრია, როდესაც აღვლით აქვს მიმართებათა სარკისებურ ასახვას. მაგ.,

სტროფი 531,2:  $\frac{5}{3}$  **მოღმობიერდა, მომიტკა** ||  
 $\frac{5}{3}$  **გამწყარალი, გამჭისებული,**

სტროფი 1371,3:  $\frac{3}{5}$  **დამონსა ტურფა-ტურფითა,** ||  
 $\frac{3}{5}$  **ერთმანერთისა მჯობითა.**

3.5 ამგვარად, დაბალ შორიშ გვაქვს შეფარდება 3:5:8. ეს კი არის ოქროს კვეთის (sectio aurea) შეფარდება.

ოქროს კვეთი არის ისეთი დაყოფა მთელისა, როდესაც დიდი მონაკვეთი იმგვარ გეომეტრიულ მიმართებაშია მთელთან, როგორშიც მცირე მონაკვეთი დიდთან. ე. ი. დიდი მონაკვეთი არის „გეომეტრიული საშუალო“ მთელსა და მცირე მონაკვეთებს შორის. მაგ., AB მონაკვეთი რომ ოქროს კვეთზე გაიყოს,



ამისათვის საჭიროა AB ხაზის ბოლო წერტილში B-სთან აღმართოს BC ვერტიკალი AB-ს ნახევრის  $(\frac{AB}{2})$  სიმაღლისა. C-ს გარშემო შემოავლებენ წრეს

CB-ს საშუალებით. C-ს დაუეკავიერებენ  $A_1$  წერტილში რომელიც გადაკვეთს ამ წრეს D წერტილში. ამის შემდეგ A-ს გარშემო AD-ს საშუალებით შემოავლებენ წრეს, რომელიც გადაკვეთს AB ხაზს E წერტილში და გაიყოს მას ორად ოქროს კვეთზე: BC მონაკვეთი ისეთსავე მიმართებაშია AE-სთან, როგორც AE — მიუღ AB ხაზთან:<sup>10</sup> EB : AE = AE : AB.

არსებობს ოქროს კვეთის მიღების სხვა საშუალებებიც. ოქროს კვეთი ჩნდება სწორი პენტაგონისაგან მიღებულ პენტაგრამაზე, რომლის დიაგონალების საშუალებით იქმნება მცირე და დიდი მონაკვეთები იმგვარად, რომ მცირე ნაწილები ისეთ მიმართებაში არიან დიდთან, როგორშიც დიდი ნაწილები დიდისა და მცირის ჯამთან<sup>11</sup>.

3.5.1 ამ პენტაგრამას ძველ საბერძნეთსა და საშუალო საუკუნეების დასავლეთში მიეწერებოდა მისტიკური და მაგიკური ძალა, როგორც ავი სულემისაგან დასაყავ თოლისმას. ეს წარმოდგენები ასახულია გოეთეს ფაუსტში<sup>12</sup>, სადაც ნათქვამია, რომ ფაუსტის ოთახში შესული მეფისტოფელი უკან ვეღარ გამოვიდა, რადგანაც ზღურბლთან პენტაგრამა იყო მოთავსებული იმგვარად, რომ მისი ერთი მწვერვალი ოთახისაკენ იყო გაშვებული, ხოლო საპირისპირო კუთხის მწვერვალი, იმის გამო, რომ ნახაზი დაუდევრად იყო შესრულებული, ოდნავ ღია დარჩენილიყო. ამიტომ ბოროტმა სულმა ოთახში შესულა მოახვანა, მაგრამ უკან გამოსვლა ვეღარ შეძლო. ამის გამო მეფისტოფელი ეუბნება ფაუსტს:

Gesteh' ich's nur! Dass ich hinausspaziere,  
 Verbiethet mir ein kleines Hindernis,  
 1395  
 Der Drudenfuss<sup>13</sup> auf Eurer Schwelle—  
 ფაუსტი:  
 Das Pentagramma macht dir Pein?  
 Ei, sage mir, du Sohn der Hölle,  
 Wenn das dich bannt, wie kamst du denn  
 herein?  
 Wie ward ein solcher Geist betrogen?

მეფისტოფელი: 1400  
 Beschaut es recht! es ist nicht gut gezogen;  
 Der eine Winkel, der nach aussen zu,  
 Ist, wie du siehst, ein wenig offen<sup>14</sup>.

მეფისტოფელი:  
 უნდა გამოვტყდე! უკან ვასვალაში  
 ხელს მიშლის მცირე რამ დაბრკოლება,  
 ჯადოქრის ტურფი თქვენი ზღურბლის წინ.

ფაუსტი:  
 პენტაგრამაა, შენ რომ ვაწვალებს?  
 მოთხარი, ეი, ქვეყნელის შვილო,  
 თუ ეს შენ გბოჭავს, როგორ მოხვედი?  
 როგორ მოატყუედა ასეთი სული?

მეფისტოფელი:  
 სწორად განსაჯე! ცუდად შეგიბზავეს;  
 ერთ-ერთი კუთხე, გარ-მიქცეული,



როგორც ხედავ, ოდნავ დიაა.

ამის შემდეგ მეფისტოფელი დააჩინებს ფაუსტს, რომ მღრღნელებმა გალანან პენტაგრამის კუთხის მწვერვალი, რომელსაც ბორბოტი სული ვერ ეკარებოდა.

3.5.2 ოქროს კვეთის ალგებრული გამოხატულებაა  $a : x = x : (a-x)$ .  $x$ -ის მოსაძებნად მიიღება კვადრატული განტოლება  $x^2 + ax - a^2 = 0$ , რომლის გადაწყვეტა

მოგვცემს  $x = \frac{a}{2} (\sqrt{5}-1) \approx 0,62a$ , ე. ი. ოქროს კვეთის ნაწილები დაახლოებით შეადგენენ მონაკვეთის 62 და 38 პროცენტს (ზუსტი იქნება შეფარდება 0,61803 და 0,38197). ეს პრობლემა შეიძლება გადაწყვილი იქნას ამგვარად:

$$\frac{x}{a} \left(1 + \frac{x}{a}\right) = 1 \quad \text{ან} \quad x = \frac{a}{\left(1 + \frac{x}{a}\right)}$$

საიდანაც

$$x = a \frac{1}{1 + \frac{1}{1 + \frac{1}{1 + \frac{1}{1 + \frac{1}{1 + \dots}}}}}$$

ე. ი. მივიღებთ ე. წ. უწყვეტ წილადებს, რომლის შესაფერი წილადები იქნება  $\frac{1}{1}, \frac{1}{2}, \frac{2}{3}, \frac{3}{4}$ ,

$$\frac{5}{8}, \frac{8}{13}, \frac{13}{21}, \frac{21}{34}, \frac{34}{55}, \frac{55}{89}, \frac{89}{144}, \frac{144}{233},$$

$\frac{233}{377}$  და ა. შ., სადაც ყოველი რიცხვი, დაწყებული მესამიდან, უდრის წინა ორის ჯამს:  $1+1=2+1=3+$   
 $+2=5+3=8+5=13+8=21+13=34+21=55+$   
 $+34=89+55=144+89=233+144=377$  და ა. შ. ამ რიცხვს ეწოდება ფიბონაჩის რიცხვი, იტალიელი (პიზელი) მათემატიკოსის Leonardo Fibonacci-ის (დაბ. 1170 წლის ახლო ხანებში, გარდ. 1228 წლის შემდეგ) მიხედვით. რომელმაც აღმოსავლეთში მოგზაურობის შედეგად გაიგინა არაბული მათემატიკის მიღწევები და გააცნო იგი დასავლეთს.

3.5.3 პენტაგრამა უკავშირდება ძველი ბაბილონის კულტურას. უკვე ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნეში პითაგორელებისათვის ცნობილი იყო ოქროს კვეთის შეფარდება<sup>15</sup>, როგორც ეს ჩანს ევკლიდეს ელემენტების მეორე წიგნიდან<sup>16</sup>. გეომეტრიული ალგებრა, რომელიც მეორე წიგნის შინაარსს შეადგენს, ემყარება ირაციონალური სიდიდეების აღმო-

ენას, რომელსაც V ს. ძვ. წ. უნდა ჰქონოდა ევკლიდეს პირველი აღმოჩენად მიჩნიათ პითაგორას<sup>17</sup> მიხედვით პიქსაოს მეტაპოტიკელი, V ს. პირველი ნახევრის მოღვაწე<sup>17</sup>.

პითაგორელებმა აღმოაჩინეს პენტაგრამას გამოკვლევისას დიაგონალისა და გვერდის არათანაზომადობა (Inkommensurabilität) ამ მრავალკუთხედში. შემდეგ ამ ხაზების მიმართებათა დასაბუთების პროცესში ისინი მივიდნენ გეომეტრიულ დეფინიციებამდე და ოქროს კვეთამდე<sup>18</sup>.

ამ აღმოჩენამ პლატონს ბიძგი მისცა კონდის დასაბუთებისათვის, არისტოტელემ გამოიტანა იქიდან ეთიკური ანალოგიები, ხოლო საშუალო საუკუნეების ზოგიერთი სქოლასტიკოსი განიხილავდა მას როგორც ღვთაებრივ პროპორციას.

ნეოპლატონიზმის ათენური სკოლის უდიდესი წარმომადგენლის პროკლე დიადოხოსის (410-485 ა. წ.) საშუალებით წარმოდგენა ასეთ მიმართებათა შესახებ გავრცელდა ბიზანტიურ სამყაროში და საშუალო საუკუნეების ლათინურ დასავლეთში, როდესაც მისი ფიზიკის ელემენტები და თეოლოგიის ელემენტები ითარგმნა ლათინურად (XIII საუკ.).

განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა ოქროს კვეთის პროპორციამ იტალიური რენესანსის ეპოქაში, როდესაც ის მიჩნეული იყო „სრულყოფილებისა და პარმონიის უმაღლეს გამოვლინებად ბუნებასა“<sup>19</sup> და ხელოვნებაში“. ფიქრებზე, რომ ამ პროპორციას „ოქროს კვეთა“ უწოდებდნენ, რომელიც ლეონარდო და ვინჩი, ხოლო მისმა მეგობარმა, მათემატიკოსმა Luca Pacioli-მ (Luca di Borgo, დაიბ. 1445 ან 1450 — გარდ. დაახლოებით 1514 წ.) მას ტრაქტატი მიუძღვნა სათაურით De Divina Proportione (რომი, 1509), რომელშიც ამტკიცებს, რომ მსგავსად მეხუთე სუბსტანციისა, რომლის საშუალებითაც გამოწვეულია ოთხი სხვა მარტივი სხეულის, ოთხი ელემენტის — მიწის, წყლის, ჰაერისა და ცეცხლის არსებობა, ხოლო მათი შეოხებით ყველა ნივთისა ბუნებაში, წმინდა პროპორციაც, პლატონის „ტიმოისს“ მიხედვით აძლევს ფორმალ არსს თვით ზეცას, რადგან მას მიეწერება ფორმა სხეულისა, რომელსაც ეწოდება დიდეკედრი. მისი წახანებები წარმოადგენენ სწორკუთხედებს და შეუძლებელია იგი შეიქმნას ოქროს კვეთის პროპორციის გარეშე.

XIX საუკუნეში Zeising ამტკიცებს, რომ ნაწილების აგება ოქროს კვეთის მიხედვით „არის საერთოდ ძირითადი პრინციპი ყოველგვარი შემოქმედებისა, რომელიც მისიწარდის სიმშვენიერისა და მთლიანობისაკენ, როგორც ბუნების სამყაროში, ისე ხელოვნებაში“<sup>20</sup>.

განსაკუთრებული როლი ითამაშა ოქროს კვეთის პროპორციამ არქიტექტურასა<sup>21</sup> და მხატვრობაში<sup>22</sup>. ოქროს კვეთზეა აგებული ფრიგის აკლდამები და



ათენის პართენონი, პეტრეს ბაზილიკა რომში, ტიციანის „ლეთისმშობლის მოგზაურობა ზეცაში“ და ლეონარდო და ვინჩის *Monna Liza*, რაფაელის მადონა სიქსტის კაპელიდან ვატიკანში, დიურერის ავტოპორტრეტი და მელიო რიგი სხვა შედევრები მსოფლიო ხელოვნებისა<sup>23</sup>.

ჩვენს ეპოქაში ოქროს კვეთზე დააფუძნა თავისი მუსიკა გამოჩენილმა უნგრელმა კომპოზიტორმა *Béla Bartók*-მა<sup>24</sup>, ხოლო თანამედროვეობის უდიდესმა არქიტექტორმა და მხატვარმა *Le Corbusier*-მ (*Charles Édouard Jeanneret*) ოქროს კვეთზე ააგო თავისი *Le Modulor*-<sup>25</sup>, რომელმაც მსოფლიო სენსაცია გამოიწვია და რომლის შესახებ ვინსტეინი აღნიშნავდა, რომ ეს არის ზომის ახალი სისტემა, რომელიც „ძინებებს ცუდს და აძვივლებს კარგს“<sup>26</sup>. 1951 წ. 26-29 სექტემბერს მილანში „ღვთაებრივ პროპორციას“ (*De Divina Proportione*) მიძღვნილი საერთაშორისო კონგრესი, რომელსაც ესწრებოდნენ მათემატიკოსები და ესთეტიკოსები, არქიტექტორები და მხატვრები მსოფლიოს ყველა კონტინენტიდან.

პოეზიაში რუსთველი პირველია მსოფლიოში და შეიძლება ერთადერთი, რომელმაც ოქროს კვეთზე ააგო ესოდენ დიდი მოცულობის პოეტური ნაწარმოები. მისი პოემის 1587 სტროფიდან 863 — ოქროს კვეთზეა აგებული, 723 ეკვივალენტური სიმეტრიის საფუძველზე, ხოლო ერთი — ნაწერია ოცმარცვლიანი ზომით.

3.5.4 იბადება კითხვა: პოეტის გენიალური ინტუიციის საფუძველზე შეიქმნა ოქროს კვეთის მიმართება ქართულ ლექსში, თუ ავტორი იცნობდა ამ მიმართებას და შეგნებულად იყენებდა მას?

ამკამად ძნელია ზუსტი პასუხი გავცეთ ამ კითხვას, მაგრამ არსებობს საკმაოდ საფუძველი, რომ ერთგვარი ვარაუდი გამოვთქვათ.

პოეტი მიზნად ისახავდა შექმნა დიდი მოცულობის მხატვრული ნაწარმოები — პოემა ან რომანი<sup>27</sup> ლექსად. ესოდენ დიდი ზომის ნაწარმოები (1587 სტროფი, ექვსი ათასზე მეტი სტრიქონით), რომ მას ერთი ზომითა და რიტმით დაეწერა (როგორც, მაგ., ფირდოუსის შაჰ-ნამეა, თავიდან ბოლომდე მუთაჯრობით ნაწერი), ეს იქნებოდა ერთფეროვანი და მონოტონური. მეორე მხრივ, ლექსის მეტრის ცვლა სხვადასხვა ნაწილების მიხედვით ან სტროფიდან სტროფამდე პოემას მთლიანობას დაუკარგავდა პროზოდელი თვალსაზრისით.

პოეტის წინაშე იდგა ამოცანა: შეერჩია ისეთი ზომა, რომლის ფარგლებში შესაძლებელი იქნებოდა სხვადასხვა რიტმის კანონზომიერი მონაცვლეობა ისე, რომ სტრიქონთა სილაბური სტრუქტურა ან დარღვეულიყო. ამ განზრახვის განხორციელება კი შესაძლებელი იყო მხოლოდ თექვსმეტმარცვლიან ლექსში, რომლის ნახევარკარგი რვა მარცვლისაგან შედგება.

8 კი ერთადერთია რიცხვთა რიგებში, რომელშიც შეალებს იძლეოდა ამ ზომაზე ორი სხვადასხვა რიტმის ლექსი აგებულიყო. თუ ჩვენ სილაბური ლექსის ძირითად ელემენტს, ერთმარცვლედს ავიღებთ, აქედან შეგვიძლია მივიღოთ რიგები:

A: გოარკეცების გზით: 1 2 4 8 16 32 64

B: ოქროს კვეთის პროპორციით: 1 1 2 3 5 8 13

21 34 55 89. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ერთეულსა და ორმარცვლედს, რომლებიც სტრიქონებს ვერ შექმნიან, საერთო რიცხვი ორივე ამ რიგში არის მხოლოდ 8, რომელიც შეიძლება დაიყოს როგორც ოქროს კვეთზე, ისე ეკვივალენტური სიმეტრიის საფუძველზე. მხოლოდ რამარცვლიანი ნახევარკარედისაგან შექმლო პოეტს მიეღო, ერთი მხრივ, „ღვთაებრივი პროპორცია“: 8 : 5 : 3, ხოლო, მეორე მხრივ, ეკვივალენტური სიმეტრია: 8 : 4 : 4. სხვა შესაძლებლობა გამოიტყულო იყო. ამიტომ რუსთველმა თავისი ლექსის ზომად აიღო სწორედ ეს ერთადერთი რიცხვი, რომელიც მას საშუალებას აძლევდა ერთი მეტრის ფარგლებში სხვადასხვა რიტმი შეეკმინა. არც ოცმარცვლიანი ლექსი, არც ორმარცვლიანი კარედი, არც რომელიმე სხვა ზომა მას ამის საშუალებას არ მისცემდა. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ არის ვეფხისტყაოსანი ნაწერი 16 მარცვლიანი (8+8) ლექსით. ცხადია, ეს ზომა სასუსტი შეგნებულად არის შერჩეული, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთისა და იმავე მეტრის ფარგლებში ორ სხვადასხვა რიტმს პოეტი ვერ მიიღებდა.

ქართულ ლექსში დაბალი შაირის გამოყენების ცალკეული შემთხვევები რუსთველამდე გვხვდებოდა<sup>28</sup>. ასეთი რიტმით არის ნაწერი ორი სტროფი ჩახრუხადის თამარიაში, ცნობილია აგრეთვე რამდენიმე სტრიქონი ლეონტი მროველის თხზულებაში, ასევე იყალთოელის „ღაფთა აღმაშენებლის ეპიგრაფიში“, „ისტორია და აზმან“-ში და სხვ.<sup>29</sup>, მაგრამ ყველაფერი ეს შემთხვევითი ჩანს და ინტუიციის ხასიათს ატარებს. მხოლოდ რუსთველთანაა გატარებული სისტემატურად ოქროს კვეთის მიმართება, რომელიც კანონზომიერად ენაცვლება ეკვივალენტური სიმეტრიის საფუძველზე შექმნილ მაღალ შაირს. ცხადია, რუსთველი იცნობდა ორივე ამ პროპორციას და შეგნებულად იყენებდა მათ თავის პოემაში. შეველოთ თუ არა რუსთველს ჰქონოდა ცოდნა ოქროს კვეთის მიმართების შესახებ?

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ, როგორც ბიზანტიურმა კულტურულმა სამყარომ, ისე საშუალო საუკუნეების ლათინურმა დასავლეთმა პროკლ დიადოხოსის<sup>30</sup> საშუალებით გაიგო ეკლიდეს თეორია ოქროს კვეთის შესახებ. პროკლე დიადოხოსს კარგად იცნობდნენ XI-XII საუკუნეების საქართველოში. მისი ერთ-ერთი მთავარი შრომა „თეოლოგიის ელემენტები“ (= „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“) თარგმნილი იყო ქართულად და კომენტირებული XI ს.



დამლევისა და XII ს. დამდეგის ფილოსოფოსისა და მოაზროვნის იოანე პეტრიწის<sup>31</sup> მიერ. თვით იოანე პეტრიწი კი გვამცნობს, რომ ეს ძველი ქართულად სხვებისა ვიდრე უფრო ადრე, როგორც ეს ჩანს მისი სიტყვებიდან: „არამედ მიზეზი აწ კჳლად გარდმოღებად ჩემ მიერ წიგნისა ამის ესეობს: პირველ რამეთუ განმრავლეს გარდმოღებულნი და სხუასა აღუჩნდის სხჳად“<sup>32</sup>.

ძნელად საფიქრებელია, რომ XI-XII სს. საქართველოში ესოდენ პოპულარული პროკლე დიადოხოსი, ქართულად არაერთხელ თარგმნილი, არ სცოდნოდა რუსთველს, რომელსაც საშუალება ჰქონდა არა მარტო ქართულად, არამედ ბერძნულ ორიგინალშიც კი ეკითხა იგი, ხოლო ეცვლიდეს ელემენტების გაცნობა არაბულ თარგმანებშიც შეეძლო.

ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ რუსთველი, როგორც ვით ვეფხისტყაოსნიდან ჩანს, ღრმა მცოდნე იყო იმ დარგებისა, რომლების შესწავლაც ევალებოდა იმდროინდელ განათლებულ საზოგადოებას ბიზანტიასა<sup>33</sup> და საქართველოში. ეს დარგები ჩამოთვლილია იოანე პეტრიწის კომენტარების ბოლოსიტყვაობაში: „გეომეტრია (=ჭეყენის-საშოშოლო), მათემატიკა (=და თუ ვითარ რიცხუნი თან დაედასებინან), მუსიკა (=სამუსიკელოა), რიტორიკა (=რიტორიკა), გრამატიკა (=ღრამატიკოსობა), ფილოსოფია (=ფილოსოფოსობა) და ვარსკვლავთმრიცხველობა“<sup>34</sup>. ამ საგნებს ღრმად იყო დაუფლებული იოანე პეტრიწი<sup>35</sup> და ასევე განწვავლული ჩანს ვეფხისტყაოსნის ავტორი მეცნიერების ამ დარგებში. თვით პოეზიასაც იგი ფილოსოფიის დარგად (**შაირობა პირველადე სიბრძნისა ერთი დარგი**, სტრ. 12,1) მიიჩნევს<sup>36</sup>, ხოლო ფილოსოფიის ცოდნა გეომეტრიისა და მათემატიკის ვარგულ ძნელად თუ შეიძლებოდა: თვით პროკლეც ხომ ავტორი იყო არა მარტო ტრაქტატისა „თეოლოგიის ელემენტების“ შესახებ, არამედ ეცვლიდს გეომეტრიის კომენტარებისა!

ყველაფერი ეს იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ შოთა რუსთველი იცნობდა ოქროს კეეთის პროპორციას<sup>36</sup> და შეგნებულად იყენებდა მას ეკვივალენტურ სიმეტრიის პრინციპზე აგებულ ლექსის გვერდით.

ეს ისე არ უნდა გაიგებოთ, რომ ავტორი ლექსის თხზვის დროს ითვლიდა სევმენტებსა და სევმენტებში შემავალ მარცვლებს. უნდა ვიფიქროთ, რომ მარცვალთა დანაწილება სევმენტების მიხედვით ინსტინქტურად ხდებოდა, ისე, როგორც ინსტინქტურად ხდებოდა მოცარტთან გამოყენება მიმარებისა: 4 4 8, ხოლო ბელა ბარტოკთან ოქროს კეეთისა: 3 5 8<sup>37</sup>. რუსთველმა შეგნებულად ააგო თავისი პოემა ორივე ამ პროპორციის მიხედვით, მაგრამ, საფიქრებელია, რომ ლექსის თხზვის პროცესში პოეტი თავის ბუნებრივ ინსტინქტს ემყარებოდა.

4.1 ს ე გ მ ე ნ ტ თ ა ს ტ რ უ ქ ტ უ რ ა. მამაცვანის<sup>38</sup> მიხედვით, ვეფხისტყაოსნის ლექსის მუდმივი სტრუქტურული ერთეულებია ოთხმარცვლიანი სევმენტი მაღალ შაირში და სამმარცვლიანი და ხუთმარცვლიანი სევმენტები ოქროს კეეთის პროპორციაში (დაბალ შაირში).

ამ მუდმივ სტრუქტურულ ერთეულებში არ უნდა ავტორით შემთხვევითი მოვლენები, რომლებიც სევმენტის ფარგლებში ჩნდებიან და რიტმულ ვარიაციებს ქმნიან. ეს ვარიაციები მთლიანად დამოკიდებულია სევმენტის ხასიათზე, სახელდობრ, იმაზე, თუ როგორი სილაბური სტრუქტურისაა მასში შემავალი სიტყვები, რომელთა საერთო რაოდენობა, გამოკლების ჩათვლით, შეადგენს 41.990-ს<sup>38</sup>. სილაბური შედგენილობის თვალსაზრისით მთელი ეს რაოდენობა შემდგენარია არის განაწილებული:

ერთმარცვლიანი სიტყვები: 7.113; ორმარცვლიანი: 16.897; სამმარცვლიანი: 10.780; ოთხმარცვლიანი: 5.534; ხუთმარცვლიანი: 1.543; ექვსმარცვლიანი: 82; შვიდმარცვლიანი: 15; რვა მარცვლიანი: 26.

შვიდმარცვლიანი და რვა მარცვლიანი სიტყვები კომპოზიტებია, რომელთა შემადგენელი სიტყვების ქვევა ლექსის სტრუქტურაში იგივეა, რაც დამოუკიდებელი, მარტივი სიტყვებისა. ამიტომ ისინი, როგორც რთული სიტყვები, მეტრიკულ სისტემაზე გავლენას არ ახდენენ და შეიძლება მხედველობაში არ ჩნენ მიღებული. მხოლოდ ერთი შემთხვევაა მარტივი შვიდმარცვლიანი სიტყვის ხმაურისა (342,4), რომლის შესახებ ქვემოთ გვეყენება საუბარი. იგივე თქმის ექვსმარცვლიან სიტყვებზე: 82 შემთხვევიდან 60 კომპოზიტს წარმოადგენს და მხოლოდ 22 დამოუკიდებელი ექვსმარცვლიანი სიტყვაა, რომელსაც ლექსის სტრუქტურის ანალიზის დროს ანგარიში უნდა გაეწიოს. ამგვარად, 25392 სევმენტს, რომლებსაც ვეფხისტყაოსნის ლექსი მოიცავს, არსებითად შეადგენს 1, 2, 3, 4 და 5 მარცვლიანი სიტყვები. დამახასიათებელია მათი განაწილება მაღალი და დაბალი შაირის სტროფების მიხედვით.

4.2 მაღალი შაირის სევმენტები. (1) მაღალი შაირის ოთხმარცვლიანი სევმენტების შესადგენად ხშირად არის გამოყენებული ერთმარცვლიანი სიტყვები: არის შემთხვევები, როდესაც სევმენტი მთლიანად ოთხი თითომარცვლიანი სიტყვისაგან არის შედგენილი:

სტროფი 234,1: ქალმან უთხრა: || „რას შეგესწარ, ||  
 $\begin{matrix} 2 & 2 & 1 & 3 \\ 1 & 1 & 1 & 2 \\ 2 & 2 & & \end{matrix}$   
 მე <sup>1</sup>ინ ვარ და | ანუ <sup>1</sup>შნო?

სტროფი 665,4: მე ვით, ღირს ვარ | ამახ, რომე ||  
 $\begin{matrix} 1 & 1 & 1 & 1 & 1 & 2 \\ 2 & 2 & 2 & 2 & 2 & \end{matrix}$   
 თვალნი ჩემნი | გქვრტლენ მართლსა.

სტროფი 944,2: შენ მას ჰგავ და | იგი შენ გგავს, ||



1 3 1 1 2  
თქვენ ანათობთ | მთად და ბარად;

სტროფი 1039,2: მე, გლახ, რა ვარ? | მიწა ცული; ||

2 2 2 2  
თავით ჩემით | რამცა ვქმენი?

სტროფი 1178,4: რა ვქმნა, რა ვყო, | რა მერგების, ||

3 1 2 2  
სიცოცხლე მჭირს | მეტად ძნელი!

სტროფი 1193,1: „მით არ ჭერ ვარ | ქმარსა ჩემსა, ||

1 2 1 2 2  
მკლე არის და თვალად ნახი.

უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთმარცვლიანი სიტყვა ორ და სამმარცვლიან სიტყვებთან ერთად ქმნის ოთხმარცვლიან სეგმენტს.

(2). 1,1 და 2-მარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილი სეგმენტები:

სტროფი 127,1: გახსოვს, ოდეს | შენ და როსტანს ||

2 2 1 1 2  
მინდორს მხევი | დაგეზოცა,

სტროფი 134,3: მე რომ თქვენგან | მოვისმინენ ||

1 1 2 1 3  
წყალობანი, | მედიადა.

სტროფი 237,2: თუ არ მომკლავ, | არ მოვკვდები, ||

2 1 1 4  
მრთელი ვარ და | მოუკლავი.

სტროფი 237,3: რად რა გითხრა, | სადამდისცა ||

1 2 4  
ვიყო ჭირთა | უნახავი?

სტროფი 289,4: მით ვტიროდი, | მომეგონა | მე, გლახ,

1 3 4 1  
ჩემი | წარმწყმედელი.

(3) 2,1 და 1-მარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილი სეგმენტები:

სტროფი 89,4: ვერ ვახსინე | საუბარი, || მით

3 2 1 1  
დავკოვნი | ხანი მუნ, და-“.

სტროფი 118,1: ესე თქვა და | სიხარულით ||

2 2 2 2  
თამაშობა | აღიდა

სტროფი 126,4: მაგრა გითხრა | პირველ ზვალმე, ||

2 1 1 2 2  
სენი მე მჭირს | რაცა ჭირად.

სტროფი 133,4: ვითა მონა, | სამსახურად ||

4 2 1 1  
განალამცა | წავე, წა-, მე!“

სტროფი 152,1: პირველ, ყმა ვარ, | წასლვა მინდა ||

2 1 1 2 2  
პატრონისა | სამსახურად, —

სტროფი 195,1: უყოლა, თუ: | „ქმანო, ვინ ჰყოლია“

3 1 2 1  
მეკობრეთა | დაგამსჯავსენ!“

სტროფი 242,3: ყმამან ცნა, თუ: | „გონებანი ||

2 1 1 4  
ჩქარნი ჩემთვის | დააწყნარან.“

სტროფი 247,3: ღრუბელიცა | ვერ მიხვდების, ||

4 1 3 2 1 1  
მე მისრულვარ | სადა, მი-, სად!

(4) 1,2 და 1-მარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილი სეგმენტები:

სტროფი 83,2: შავი ცხენი | სადვითა ||

1 2 1 2 2  
ჭკვა ლომსა და | ვითა გმირსა,

სტროფი 145,3: ყმა ადგა და | წამოვიდა, || მას დღე

1 1 1 1  
მათი | ჩანს გაურილი;

სტროფი 240,4: ქალსა უთხრა: | „გაგარისხე, ||

2 2 4 1 1  
აწ, არ ვიცი, | ვით დავჩქე, ვა!“

სტროფი 760,2: ნუ თუ გაბრჭოს, | გული ჩემი ||

1 1 2 1 1 3  
ვით იწვის და | ვით ენთების;

სტროფი 1032,3: ერთმანერთსა | შემოსტყორცის, ||

4 2 1 2 1 2  
რვა ცხრასა და | ცხრა ჭკრის რვასა;

4.2 (5) 1 და 3-მარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილი სეგმენტები:

სტროფი 133,3: მე სიკვდილსა | მოველოდი, ||

1 3 4 4  
შენ სიცოცხლე | გამიწამე,

სტროფი 142,1: „მე წავიდე, | მოვიარო, ||

3 1 4  
ვილაშქრო და | ვინაპირო.

სტროფი 147,1: რა მოვიდა, | სიხარული ||

1 3 4 4  
შიგან გახდა | სამეფოსა.

სტროფი 158,1: რა მონამან | მოისმინა, ||

4 4  
გაუყვირდა, | შეეზარა,

(6) 3 და 1-მარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილი სეგმენტები:

სტროფი 155,1: „ლაშქრობა და | ნადირობა ||

3 1 4 4  
შენი ჩემსა | დაასახე,

სტროფი 163,2: ერთგულნი და | მისანდონო, ||

3 1 4 2  
2 2 4 4





ამას ზედან | გამოცდილონ,

სტროფი 225,3: ავთანდილ სჭერებს | გაკვირვებით; ||

მალთო ხეხა | მოფარა,

სტროფი 227,4: ეგონა, თუ: | დაბრუნდლო || პირი

ვარდი, | ბროლი-ბაკმული.

(7) ბუნებრივია, რომ ოთხმარცვლიანი სეგმენტის შესაქმნელად ძალიან მოხერხებულია ორი ორმარცვლიანი სიტყვის გამოყენება. ასეთ შემთხვევებს მართლაც მრავლად ვხვდებით:

სტროფი 83, 1-2: ნახეს, უცხო | მოყმე ვინმე ||

ჭდა მტრიალი | წყლისა პირსა,

შავი ცხენი | სადავითა || ჰყვა ლომსა და | ვითა გმირსა  
კიდევ მეტრ, ვეფხისტყაისისში გვაქვს მთელი სტრიქონები, სადაც ყველა ოთხმარცვლიანი სეგმენტი მაღალი შირის ორმარცვლიანი სიტყვებისაგან არის შედგენილი.

სტროფი 252,1: ყმამან უთხრა: | „ეგე საქმე ||

ამას ჰგავსო, | არა სხვაას:

სტროფი 752,4: მტერი მტრსა | ვერას ავანებს, ||

რომე კაცი | თავს ივანებს“.

სტროფი 868,1: ვარდსა ჰკითხვს: | „ეგზომ ტურფა ||

რამან შეგქმნა | ტანად, პირად?“

სტროფი 1247,4: ფატმან უხმო: | „მოდი, მნახე, ||

მართო ვარო, | თავის წინა“.

სტროფი 1521, 4: ხელი ხადეს | ხრამლთა მათთა, ||

არა ცულად | წელთა ეხნეს.

ვინაიდან ოთხმარცვლიანი სეგმენტში შემავალი ორ-ორი ბასილაბური სიტყვა სიმეტრიულ ჯგუფებს შეადგენენ, ინტუიციურ დონეზე იქმნება შთაბეჭდილება, თითქმის ეს ორმარცვლადებია მაღალი შირის ძირითადი მეტრიკული ერთეულები, „ტერფებს“ რომ ქმნიან. სინამდვილეში ჩვენ აქ საქმე გვაქვს რიტმულ ვარიაციის მოვლენასთან, რომელიც მხოლოდ ვარკვეულ შემთხვევებში იჩენს თავს, არსებითად კი ვერ განსაზღვრავს ლექსის სტრუქტურას. თუ ორმარცვლედებს ტერფის მაწარმოებელ ერთეულბად („ორმარცვლიანი ტერფი“) მივიჩნევდით, მაშინ ისეთ შემთხვევებში, როდესაც ნახევარკარდი შედგება 1, 3, 4-მარცვლიანი სიტყვებისაგან, მოკვებდებოდა სიტყვების დაყოფა ნაწილებად და ერთისა და იმავე სიტყვის სხვადასხვა ნაწილის განაწილება სხვადასხვა სეგ-

მენტს შორის. ეს კი, როგორც დაეხსავათ, არსებითად ეწინააღმდეგება იმ პრინციპებს, რაზედაც რუსული თეორიის ლექსის სტრუქტურაა აგებული.

ყველა, ვისთვისაც ქართული შოპოლიოგია, იგრძნობს, რომ მისი ენისათვის არაბუნებრივი და მიუღებელია მახვილების ასეთი განაწილება სიტყვებში:

სტროფი 83,2: სნადვითა | ჰყვან ლომის და  
სტროფი 145,3: ყმან ადგან და

ჩანს გაყრბლი

სტროფი 240,4: ვით დარჩენ, ვა

სტროფი 760,2: ვით იწვის და  
სტროფი 1032,3: რვან ცხრასან და

მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე დასაშვებია ორმარცვლიანი სიტყვებში (ნახეს, უცხო, მრუმე, ვინმე და სხვ.). მაგრამ არა მოგონილ, ფიქტიურ „ტერფში“, რომელიც ოთხმარცვლიანი სეგმენტის ნაწილს წარმოადგენს და მხოლოდ იმ შემთხვევაში გვევლინება რიტმულ ვარიაციად, თუ ორმარცვლიანი სიტყვას ემთხვევა. ამის გაუთვალისწინებლად მივიღებთ მახვილის ისეთ განაწილებას, როგორცაა: ადგან, გაყრბლი, დარჩენ, იწვის, ცხრასან

და სხვ. ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ სიტყვებში მახვილის ასეთი განაწილება ქართული არ არის. საქმეს ვერ უშველის მტკიცება, რომ სავალდებულო არაა ტერფისა და სიტყვის მახვილი ემთხვეოდეს ერთმანეთს. აქ ისმის საკითხი „ტერფისა“ და სიტყვის საზღვრების ერთმანეთთან მიმართებისა, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ორმარცვლელის მიჩნევა მაღალი შირის მაწარმოებელ ძირითად ტერფად იწვევს აუცილებლობას, რომ სიტყვები „ტერფების“ შირის გვეანწილოთ სტრიქონში, ხოლო თუ ამას დავეშვებთ, მაშინ აზრი აღარ ექნება სტროფების დაყოფას მაღალ და დაბალ შირებად, რადგან შესაძლებლობა ჩნდება ნებისმიერი სტროფი წაეკითხოთ ან როგორც მაღალი შირი, ან როგორც დაბალი შირი. მაგ., შეგვიძლია დაბალი შირის სტრიქონი წაეკითხოთ მაღალ შირიად:

ხელთა | ნწყედრ მათრას ხი | ჰქრნდა | უსხოსირ  
მკლავრისა!

მაშასადამე, ორმარცვლედები ოთხმარცვლიანი სეგმენტში რიტმული ვარიაციის ხასიათისა არიან და დამოუკიდებელ ერთეულებს არ ქმნიან, ისე როგორც ერთმარცვლედები არ წარმოადგენენ დამოუკიდებელ რიტმულ ერთეულებს.

(8) ოთხმარცვლიანი სეგმენტში შემავალი სამმარცვლიანი სიტყვების შემთხვევები უკვე ხეშობ ვეჭვბნად ნახვევით. მათ მხოლოდ ერთმარცვლიანი სიტყვებთან შეუღლებით შექმნან სეგმენტი: 3 1 ან 1 3.

(9) ბუნებრივია, რომ ოთხმარცვლიანი სიტყვა ყველაზე მეტად არის შესაფერი ოთხმარცვლიანი სეგმენტისათვის. მართლაც, მაღალ შირში დიდი რაოდენობა გვაქვს ოთხმარცვლიანი სიტყვებისა; ხშირია



შემთხვევები, როდესაც სტრიქონის ოთხზე სეგმენტი ოთხმარცვლიანი სიტყვებისაგან შედგება, მაგ.,

სტროფი 1055,2: იუილიან, | გაჟილიან, ||  
 მოიგებენ, | წააგებენ;

იქვე, სტრიქ. 4: უქონელნი | წელიწდამდის ||  
 საქონელსა | დაიდებენ.

სტროფი 1064, 2: მხიარულმან | უსალამა, ||  
 სიხარული | დაჩინა;

სტროფი 1276,3: გეაჭები, | საყვარელსა ||  
 შემახვეწე, | შემებარალე,

სტროფი 1282,4: გაგიტხადა | დამალული ||  
 გონებამან | დაფარულმან

სტროფი 1364,3: „გვიშველეთო, | გვიშველეთო, ||  
 მეკობრეთა | ამოგვწყვიდენის“

სტროფი 1366,2: მუზარადი | მოიხადა, ||  
 გაიღიმნა, | გაიცინა; და სხვ.

ამ სიტყვების დანაწილება ორად, ოთხო სეგმენტისაგან ორ-ორი „ტერცის“ შესაქმნელად. გამოიწვევს მახვილების გადაწევას უაღვილო ადგილას და მთელი მეტრიული სტრუქტურის დამახინჯებას.

მაშასადამე 1, 2, 3-მარცვლიანი სიტყვები ქმნიან ოთხმარცვლიანი სეგმენტის ფარგლებში რიტმულ ვარიაციებს, მაგრამ არა დამოუკიდებელ პროსოდიულ ერთეულებს, რაზედაც ლექსის სტრუქტურა არის დამყარებული. ეს ერთეულები ზოგჯერ რიტმული ვარიაციის ხასიათისა არიან და, მსგავსად ჰარმონიკებისა, გავლენას ახდენენ რიტმისა და ტემპზე, მაგრამ არსებითად არ განსაზღვრებენ ლექსის სტრუქტურას, რომლისთვისაც მადლ შაირში დამახასიათებელია ეკვივალენტური შეფარდება 4 : 4 (=8) || 4 : 4 (=8) = =16.

4.3.1 დაბალი შაირის სეგმენტები. დაბალ შაირში სეგმენტთა სტრუქტურა შედარებით რთულია, რადგან აქ მონაწილეობს ხუთმარცვლიანი სეგმენტიც, რომლის შედგენას მრავალი საშუალება არსებობს. გარდა ამისა 1, 2, 3 და 4-მარცვლიანი სიტყვებს, რომლებიც მადლ შაირში იყო გამოყენებული, აქ ემატება კიდევ ხუთმარცვლიანი სიტყვები.

განვიხილოთ სამმარცვლიანი და ხუთმარცვლიანი სეგმენტების სტრუქტურული თავისებურებანი.

სამმარცვლიანი სეგმენტის ოთხი სახეობა გვაქვს:

(1) სამი ერთმარცვლიანი სიტყვისაგან შემდგომი ნილი სამმარცვლიანი სეგმენტი: 1 1 1; მაგ.,

სტროფი 1470,4: კვლა ნუ მიქმ | ერთგულობისა ||  
 გამტეხლად, | და-ცა-მღენელად.

სტროფი 1043,3: მან დაგარჩინა; | მე რა ვარ? ||  
 მე, გლახ, რა | მომიღუნეთა!

სტროფი 574,2: დავარ თქვა: | „მქმნელი ამისა ||  
 ვინ არ დამქოლოს, | ვინ არ და-!

სტროფი 633,3: ხარ დიდი | მეფე იბნოთა, ||  
 რა ვით ვინ | მოვაწონას!

(2) 1 და 2-მარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილი სეგმენტი:

სტროფი 353,2: მიუყოლობა | არ ვარგა, ||  
 დამწამებს | უწრახობასა,

სტროფი 374,1: თვალთა დავიდევ | უხტარი ||  
 მე მისგან | მონაწილია.

სტროფი 378,4: „ესე კმა ნიშნად, | სავსე ვარ ||  
 სხვად ხელის | შესებაშითა“.

სტროფი 468,4: რაცა დაგვედრო | საქმენლად, ||  
 ქმენ, არა | საზოგნელთა.

სტროფი 491,4: კვლა წყალსა ახსამს, |  
 უშველის, | ხმა ისმის | მუნ წყანწკარისა

(3) 2 და 1-მარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილი სეგმენტი:

სტროფი 357,3: პასუხად გავცე: | „უამია, ||  
 მართალ ხარ | გაკვირვებასა;

სტროფი 358,1: „გულსა ვარქვი, თუ: |  
 „ლახვარნი | ეგრე ვით | დაგაღონებენ?

სტროფი 370,4: აწ მათნი ჭავრნი | ჩვენზედა ||  
 ჩვენგან არ | დასათმონათა!

სტროფი 452,1: „მოშინლა შევი | ხატეთს ||  
 მოვლად და | მოსთვალავად.

სტროფი 466,1: მოვიდა კაცი | მეფისა, ||



2 1 5  
ცისკრობს არ | დანაღამია;

(4) სამმარცვლიან სეგმენტში ბუნებრივია სამ-  
მარცვლიანი სიტყვა:

სტროფი 434,2: <sup>5</sup>დავეკა<sup>3</sup>შენით | <sup>3</sup>საომრად ||

<sup>3</sup>ჭაჭეთია, | <sup>5</sup>ჭავშან-ჭაფითა,

სტროფი 458,1: „<sup>5</sup>ხატეთისა | <sup>3</sup>ხელმწიფე ||

<sup>5</sup>მომყავნაღ | <sup>3</sup>შეპყრობილია.

სტროფი 470,1: „<sup>5</sup>მოვიანადრით | <sup>3</sup>მინდორი, ||

<sup>2</sup>ძირი <sup>2</sup>მთისა და | <sup>1</sup>გორისა;

სტროფი 508,2: <sup>5</sup>გახარებოლა | <sup>3</sup>ხვარაზმშას ||

სიხარულითა დიდითა;

(5) სამმარცვლიან სეგმენტში ოთხმარცვლიანი სიტყვა არ გვხვდება, იმავე მიზეზის გამო, რომელიც ხუთმარცვლიან სიტყვას გამოირჩევს მაღალი შაირის სტროფებიდან: სიტყვისაგან ნაწილის გამოყოფა და სხვა სეგმენტისათვის მიუთვინება არ შეიძლება. ეს ფაქტიც იძლევა კიდევ დამატებით საბუთს სიტყვების დანაწევრების წინააღმდეგ სეგმენტთა შორის.

მით უმეტეს, შეუძლებელია ხუთმარცვლიანი სიტყვის გამოყენება სამმარცვლიან სეგმენტში.

4.3.2 ყველაზე მრავალფეროვან სურათს იძლევა ხუთმარცვლიანი სეგმენტი. ეს ბუნებრივია, რადგან 1, 2, 3, 4, 5-მარცვლიანი სიტყვებისაგან ხუთმარცვლიანი სეგმენტის შექმნის 16 შესაძლებლობა არსებობს. აქედან უნდა გამოირჩეს შემთხვევები ხუთმარცვლიანი სეგმენტის შედგენისა ხუთი თითომარცვლიანი სიტყვისაგან. პრინციპში ეს შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად მთელი ტექსტის მანძილზე ასეთი შემთხვევა არ გვხვდება<sup>39</sup>.

(1) ხუთმარცვლიანი სიტყვების შესახებ ზევით გვექონდა საუბარი. ყველა 1543 ხუთმარცვლიანი სიტყვა, რომელიც ეფებისტყუასანში არის დადასტურებული, მხოლოდ დაბალ შაირშია გამოყენებული ხუთმარცვლიანი სეგმენტის საწარმოებლად.

აქ აღსანიშნავია მხოლოდ ერთი გარემოება. ხუთმარცვლიანი სეგმენტის შემცველ ნახევარკარედში არ შეიძლება გვექონდეს მიმართება 2 (ან მისი ეკვივალენტი 1 1) 5 1 ან 1 5 2 (ან მისი ეკვივალენტი 1 1) იმავე მიზეზების გამო, რომელიც მაღალ შაირში გამოირჩევს თანმიმდევრობას 2 4 2 ან 2 3 3, 3 2 2 და მისთ. რადგანაც ორმარცვლიანი სეგმენტი არც დაბალ შაირში არსებობს, ხოლო სიტყვა არ შეიძლება ორ ან სამ სეგმენტს შორის განაწილდეს, ამიტომ დასაწყისი ან ბოლოკიდური ორმარცვლიანი სეგმენტისაგან შეუძლებელია სამმარცვლიანი სეგმენტის მი-

ღება მომდევნო ან წინამავალი სიტყვისაგან, ეფებისტყუასანში მარცვლის მიმართება. ამიტომ 1543 შემთხვევა არა გვაქვს არცერთი მაგალითი 2 5 1 ან 1 5 2 თანმიმდევრობისა. აქედან ცხადია, რომ „ქორეული ტერგი“ სრულებით უცხოა დაბალი შაირისთვისაც.

(2) ოთხმარცვლიანი სიტყვა მხოლოდ ორ შესაძლებლობას იძლევა ხუთმარცვლიანი სეგმენტის საწარმოებლად: 1+4, ან 4+1. ამიტომ ზუსტად შეგვიძლია დავადგინოთ: თუ დაბალ შაირში ოთხმარცვლიანი სიტყვა გვხვდება, მას ან წინ უნდა მიუძღოდეს ერთმარცვლიანი სიტყვა, ან ბოლოს მისდევდეს. ამისდა მიხედვით გვაქვს:

(3) 1 და 4-მარცვლიანი სიტყვები ხუთმარცვლიანი სეგმენტის საწარმოებლად.

სტროფი 537,4: <sup>1</sup>არ <sup>4</sup>დამეხსნები, | <sup>3</sup>გაგახდი ||

<sup>3</sup>ქალაქსა | <sup>4</sup>ვითა ტრამალისა“

სტროფი 602,4: <sup>3</sup>დღედ <sup>1</sup>სიკვდილამდის | <sup>5</sup>

<sup>1</sup>სიცოცხლე || <sup>2</sup>შენ ჩემი | <sup>2</sup>დაგემონებისა.

სტროფი 746,2: <sup>1</sup>კვლა <sup>3</sup>მოახსენა: | „<sup>5</sup>რამცა

<sup>1</sup>სენა || <sup>3</sup>სიტყვითა <sup>5</sup>ესოდენითა,

სტროფი 759,4: <sup>1</sup>სჯობს <sup>4</sup>უყოფილსა | <sup>3</sup>კაცისა ||

<sup>5</sup>მომღურავისა | <sup>3</sup>ყოფასა.

სტროფი 789,4: <sup>1</sup>რა <sup>4</sup>უარეა | <sup>3</sup>მამაცსა ||

<sup>3</sup>სულ-დიდსა, | <sup>5</sup>წახვლა-გვიანსა!

სტროფი 790,4: <sup>1</sup>სჯობს <sup>4</sup>სახელისა | <sup>3</sup>მოხვეტა ||

<sup>5</sup>ყოველსა | <sup>3</sup>მოხახვეტელსა!

ისეთი შემთხვევები, როდესაც დაბალ შაირში ოთხმარცვლიან სიტყვას წინ ორმარცვლიანი სიტყვა მიუძღვის (მაგ., სტროფი 472,4 შევხედენ, დავჭკრით ელვასა დაწვთა მზეგებრ ნათელთასა) მხოლოდ იშვიათი გამონაკლისის სახით გვხვდება. ეს წყობა მაღალი შაირისა და ლექსის სტრუქტურა აქ დარღვეულია.

(4) საკმაოდ ხშირია 4 და 1-მარცვლიანი სიტყვების გამოყენება ხუთმარცვლიანი სიტყვების საწარმოებლად.

სტროფი 798,4: <sup>4</sup>სუფევითმა <sup>1</sup>ხართ | <sup>3</sup>თავითა, ||

<sup>3</sup>მტერთან | <sup>5</sup>საქრძალველითა“

სტროფი 799,4: <sup>4</sup>მოხვება და | <sup>3</sup>ატირდა ||

<sup>3</sup>ცრემლითა | <sup>1</sup>სისხლთა <sup>3</sup>ფერითა.

სტროფი 958,2: <sup>4</sup>გვეუსიხოვე და | <sup>3</sup>გვეყოფი. ||



1 4 3  
მით გუბნებით | ქებითა;

სტროფი 842,3: თუ მკვდარი მნახოს, | დამარცხდეს  
1 2 3 3  
1 3 1 3

სტროფი 1305,3: მოგუნდნო და | მორკმულო,  
4 1 4  
2 3 3

|| თქვას ვაგლაზი და | უბი,  
5 3 3

სტროფი 1252,4: „გამკუდებულად | თავისად,  
1 3 1 3

|| მტერთა სისხლისა | მჩქეფელო!  
ხუთმარცვლიანი სეგმენტის მაწარმოებელ 1 და 4 (ან 4 და 1)-მარცვლიან სიტყვებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ თუ ნახევარი კარედის დასაწყისში გვაქვს თანმიმდევრობა 1.4 ან ნახევარი კარედის ბოლოში — 4.1, ნახევარი კარედი აუცილებლად დამალი შაირის იქნება (1+4 (=5). 3 ან 3 . 4 + 1 (=5); მაგრამ თუ ნახევარი კარედის დასაწყისში გვაქვს 4 .1, ხოლო ბოლოში 1 . 4, არ შეგვიძლია ნახევარი კარედის (ხოლო თუ ეს მეორე ნახევარკარედშიც მეორედება — მაშინ მთელი სტრიქონის ფარგლებში) განვსაზღვროთ ნახევარი კარედი ან სტრიქონი დამალი შაირისა (4 + 1 . 3 ან 3 . 1 + 4), თუ მალისა (4 . 3 + 1 ან 3 + 1 . 4), ამისთვის საჭიროა გავითვალისწინოთ სხვა სტრიქონები, აგრეთვე რითმა, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

|| მის გულისა და | ძალისა“.  
(7) ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილი ხუთმარცვლიანი სეგმენტები:  
1 4 3 3

სტროფი 1227,4: ქვე დაუწინდავს | საცოლედ ||  
2 3 3 3  
როსან ცოტასა | უმისადა.  
2 3 3 3

სტროფი 1310,2: ამოდ მმსახურეს, | თქვენიძე ||  
2 3 3 3  
გული ამითთვის | სრულია!  
2 3 3 3

სტროფი 1310,4: მსგავსი ყველაი | მსგავსსა  
1 2 3 3  
შობს, || ესე ბრძენთაგან | თქმულია“.  
3 3 2 3

სტროფი 1427,2: ტარიელ | მადლსა გარდისხი ||  
2 3 3 3  
ტურფა სიტყვითა, | ენითა:  
2 3 3 3

„იღადა ვაჟმე, მეფეო, ||  
2 3 3 3  
პირველ, ნახვითა | თქვენითა,  
2 3 3 3

მერმე, ავავსენ | მრავლითა ||  
2 3 3 3  
ტურფა ფერითა | ძღვენითა,  
2 3 3 3

ვიცი, შორი-შორ | არ-ჩავლა ||  
1 2 2 2  
ჩვენ თქვენი კარგად | ვკმენითა“.  
3 3 3 3

როგორც ვხედავთ, სტროფის რვა ხუთმარცვლიანი სეგმენტიდან შედი ნაწარმოები ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი სიტყვების საშუალებით:

3 2 3 2 3 3  
2 3 3 2 3 3  
2 3 3 2 3 3  
2 3 3 1 2 2 3

ამგვარად შედგენილი ხუთმარცვლიანი სეგმენტები მრავლად მოიპოვება.

უფრო ძნელია მოინახოს მაგალითები, როდესაც სეგმენტი შედგენილია ერთი სამმარცვლიანი და ორი ერთმარცვლიანი სიტყვისაგან. ეს საკვებით ბუნებრივი, რადგან თანმიმდევრობა 3 2 3 ან 3 1 1 3 ქმნის სპეციფიკურ ვითარებას, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი, ხოლო საწინააღმდეგო თანმიმდევრობა (3 3 2 ან 3 3 1 1) სამმარცვლიანი რითმის მქონე დაბალ შაირში არც თუ საკვებით შესაფერია. წყვილმარცვლიანი ან ორი ერთმარცვლიანი სიტყვა სეგმენტის ბოლოს უპირატესად მაღალი შაირის პრი-

(5) ორი ერთმარცვლედისა და ერთი სამმარცვლედისაგან ნაწარმოები ხუთმარცვლიანი სეგმენტი.

სტროფი 798,3: ნუ სტუმნავთ ჩემთვის | მეფენი, ||  
1 1 3 3  
1 1 3 3  
ნუ ხართ მოსილნი | ბნელითა,  
1 1 3 3

სტროფი 829,2: შენ ხარ მომცემი | მიჯნურთა ||  
5 3 3  
მიჯნურობისა | სენისა,  
1 1 3 3

სტროფი 829,3: შენ გავქვს წამალი | მისისა ||  
5 3 3  
მოთმინებისა | თმენისა,  
1 1 3 3

სტროფი 867,1: „ვინ არ ყოფილა | მიჯნური, ||  
1 1 3 3  
2 1 2 2  
ვის არ სახშილნი | სდებიან?  
2 1 2 2

სტროფი 870,4: ასრე არ სჯობდეს, | არ გეტყვი, ||  
1 1 3 3  
რად მექვს რასაცა | თნებასა.  
1 1 3 3

(6) ერთი ერთმარცვლიანი, ერთი სამმარცვლიანი და ერთი ერთმარცვლიანი სეგმენტი.

სტროფი 322,2: ქვად ფაჯარი სხდა, | კუმო დგა ||  
1 3 2 1  
1 3 2 1  
იაგუნდისა, | ლაღისა,  
1 2 1 1 2

სტროფი 827,2: შენ მიშველე რა | ტყვე-ქმნისა,  
2 3 3 3  
|| გაქვნი მამიან, | რკინანი!  
1 3 1 3

სტროფი 839,1: „შენ უმართლე ხარ, | ემდურვი, ||  
1 4 3  
შენ გაუყარე | ძმიობისა,  
1 4 3



ვილევია, განპირობებული რითმისაგან. შდრ., მაგ., სტროფები:

- 297,3: მაგრა ჩემსა | რას გააბობხს, ||  
 გამოჭრილვარ | ასრე თუ რად!  
 352,4: მისგან ექვი | არა მქონდა, ||  
 სევად მაწვა | გულსა მით ხე.  
 481,3: დედოფალი | წამოვიდა, ||  
 შეეყარა | მწუხრსა დღე რა.  
 569,4: ვისგან მოვკვდე, | ვისთვის მოვკვდე, ||  
 მიხვდროს | იგი ვერ მან".  
 588,1: „გამოცადა, | ღმერთსა ჰკადრა: || „შენ  
 ასეთნი | ხენი ვით ხენი“  
 601,3: მეცა თანა | წამოგყვები, ||  
 დაიხოცნენ | იგი მუნ, და-!  
 606,2: ნავი წინა | მომეგება, ||  
 არა ვიცი, | შეიდი თუ რვა.  
 619,3: დავაპირე | შეტევება, ||  
 ვოქვი: „წავიდე | მათვე მე, წა-;  
 642,3: მონათა და | ამა ასმათს ||  
 სიტყვა ვუთხარ | შეიდი თუ რვა:  
 698,1: ყმამან ჰკადრა: | „სიახლითა ||  
 შევრთე ჳირი | შეიდა მე რვა,  
 748,4: აგრე შმაგი | არ ვაზირად, ||  
 არად ვარგზარ | არცა სხვად რად!  
 751,3: „ვით მიაბზე | წასლვა მისი, ||  
 ვინ აღვისა | მორჩი ხე წნა!  
 777,3: ჩემსა მუგსა | დავეხოვო, ||  
 გავუშვივარ | დავდგე მე რად!  
 849,1: დაო, მეტსა | საუბარსა ||  
 აღარ მომცემს | უამი და დრო,  
 1026,4: ანუ დავხოც | იმ ყველასა, ||  
 ან სიკვდილი | ჩემი დღეს-ა!

- 1066,4: ხეგს და ჰამეს, | დასაწოლად ||  
 ყმა გავიდა | ღამით ვარ, გა-  
 1133,4: აწ უმისოდ | ვით ცოცხალ ვარ, ||  
 ჰაი ჩემთვის, | ვავლახ მე, ვა!  
 1392,1: ფრედონ უთხრა: | „შემიგნია, ||  
 გამიგია, | ვიცი მე რა:  
 1410,1: ტარიელსცა | უსალამეს, ||  
 მას აღვისა | მორჩხა ვით ხეს,  
 ასეთი მიმართება დაბალ შაირში არ გვხვდება, თუმცა, გამონაკლისის სახით არის შემთხვევები, როდესაც ორა თითომარცვლიანი სიტყვა შეიძლება განვიხილოთ წინამავალ სამარცვლიან სიტყვასთან ერთად როგორც ხუთმარცვლიანი სეგმენტის დაბოლოება, ან მომდევნო სეგმენტის დასაწყისი. მაგ., 1092 სტროფის მე-2 სტროქონი შეიძლება წავიკითხოთ ამგვარად:  
 უბრძანა: „რა გჭირს, | რას იტყვი, ||  
 რისთვის ხარ | აგრე ვებული?  
 ან კიდევ:  
 უბრძანა: | „რა გჭირს, რას იტყვი ||  
 რისთვის ხარ | აგრე ვებული?  
 საერთოდ, დაბალი შაირის 3.452 კარედში (863 სტროფი) რითმისათვის გამოყენებულია 2.952 კენტმარცვლიანი სიტყვა: 1856 სამარცვლიანი და 1096-- ხუთმარცვლიანი.  
 მაღალი შაირის 2892 კარედში (723) კი — 2512 წყვილმარცვლიანი სიტყვა: 1173 ორმარცვლიანი და 1339 — ოთხმარცვლიანი.  
 (8) ასევე იშვიათია ერთი სამარცვლიანი და ერთი ორმარცვლიანი სიტყვებისაგან ხუთმარცვლიანი სეგმენტის შედგენის შემთხვევები, თუმცა გვაქვს ასეთი თანმიმდევრობის რამდენიმე აშკარად გამოხატული მაგალითი:  
 სტროფი 263,1: ამარტის ვერად | შეცვალა ||  
 ბრილი ცრემლისა | ბანამან.  
 სტროფი 874, 2: სიკვდილი მახლავს, | დამეხსენ,  
 ხანსა და დავჟოვ | მცირასა,  
 უფრო ნათლადაა გამოხატული ხუთმარცვლიან სეგმენტში შემავალ სიტყვათა ასეთი თანმიმდევრობა 1232,4 სტროფში:



«ამბავი ჩემი | სალხინო || მითხრაო | ვისმანდა  
დამანი!»

სტროფი 397,4: «მზე თუ არ ვნახო, | არ მტყუპს მტყუპს  
ვიარო | ვითა და ვითა!»

უმეტეს შემთხვევაში კი ორ სამმარცვლიან სიტყვათა შორის მოქცეული ორი მარცვლი (იქნება ეს ერთი სიტყვით წარმოდგენილი თუ ორით) შეიძლება ან წინამავალ სიტყვასთან ქმნიდეს ხუთმარცვლიან სეგმენტს, ან მომდევნოსთან ერთად.

(3) 1+2+2.  
ასეთი შემთხვევები ცოტაა იმ მიზეზების გამო, რომლებზედაც ზემოთ გვეყონდა საუბარი, მაგრამ მაინც გვხვდება შემთხვევა, სადაც ერთმარცვლიან და ორ მარცვლიან სიტყვათა თანმოდევრობა ექვს არ იწვევს.

5.3.3 ერთმარცვლიანი და ორმარცვლიანი სიტყვებისაგან ხუთმარცვლიანი სეგმენტის შესადგენად თეორიულად 7 შესაძლებლობა არსებობს: 2+2+1; 2+1+2; 1+2+2; 1+2+1+1; 1+1+1+2; 2+1+1+1; 1+1+2+1.

სტროფი 754,4: ვა, კარგი თავი | უფროო ||  
დაკვარგე | დავაშავითა!»

ყველა ეს შესაძლებლობა იშვიათად, მაგრამ მაინც გამოყენებულია ვეფხისტყაოსანში.

სტროფი 209,2: მე იმა ყმისა | საძებრად ||  
მოვფორდი | საგაზრდილოსა,  
(4). 1+1+2+1.

სტროფი 278,4: ჰგვანდეს შვიდავუ | მნათობთა,  
|| სხვადმცა რისად ვთქვი | მე და რად:

სტროფი 231,2: „თუ არ შმაგი ხარ, | დამეხსენ; ||  
შმაგი ხარ, | მოდი ცნობასა!

სტროფი 292,2: მას გავუქეცი, | ვისგანცა ||  
ჩემი არა ვცნა | ამება;

სტროფი 510,2: ასმათის მონა | შემოღდა, | მე  
ჯვე ლალი და | ჭანი საღ;

სტროფი 293,2: ტანად სარო და | პირად მზე. ||  
ნამაცდ | მსგავსი გმირისა,

სტროფი 1144,1: „ვთქვი, თუ: „არცა რა | მე  
ვიცი || ამისი | ხორციელობა,  
(5). 2+1+1+1.

სტროფი 310,3: რათგან ეგე ჰქმენ | მეფემან, ||  
ჩემებრ ინდოეთს | მპურობელმან,

სტროფი 367,4: ამას თუ ღირს ვარ, | ვერ  
ვიტყვი, || მაკლია | ღმრთისა წყალობა».

სტროფი 381,1: „ჩვენნი ძმანი და | პატრონი, ||  
თქვენგან არ | გავიშვარებით;

სტროფი 1088,3: უთხრა: „არ გიშლი, | დიაცო, ||  
ფერთა მი და მო | კრთოლასა,  
სტროფი 1101,3: უჩვენებს, ეტყვის: | „ხედაო ||  
ბანსა ზე და ქვე | მდგომელთა?

(2). 2+1+2.  
სტროფი 179,3: თქვის: „საუვარელო, | მოგფორდი,  
|| გული შენ დაგრაჩა, | ვთქვა ვისად?

(6). 1+1+1+2 .  
სტროფი 381,3: თქვენ თუ არ მოხვალთ, | ჩვენ  
მოვალთ, || ზედა არ | მოგეპარებით.

სტროფი 338,4: ჰმუნვით თქვეს: | „მგლავნი  
ცულ ქმნილან, || ვა, გმირთა მემუქარენი!»

სტროფი 391,4: თუ რას სცნობ ჩემთვის, | არა  
ვექვ || მე შენგან, | არ, დანამალსა».

სტროფი 351,4: ვთქვი, თუ „რა იცის | ამბავი, ||  
ნეტარ, ან იმან, | ან ამან?»

სტროფი 875,1: „რა სთქვი, რას იტყვი, | არ  
მესმის, || არცა მცალს | სმენად ამისად,

სტროფი 373,2: ჩემი რა გითხრა, | რა ვიუავ, ||  
ლხინი რა | დემთვალვოდა!

სტროფი 935,4: აწ მე მუნ მივალ, | მასწავლელ ||  
გზა მძად-ფიცისა | შენისა».

სტროფი 378,4: „ესე კმა ნიწნად, | სახეს ვარ ||  
სხვად ხელის | შესაბამითა».



(7). 1+2+1+1.

ასეთი თანმიმდევრობა ძალიან იშვიათია. მხოლოდ ორიოდ შემთხვევა თუ იქნება ერთმარცვლიანი სიტყვის შემდეგ გვექონდეს ერთი ორმარცვლიანი და შემდეგ ორი თითომარცვლიანი სიტყვა ხუთმარცვლიან სეგმენტში.

სტროფი 336,2: შე გარე ვღებ და | შეფემან ||  
<sup>1 2 1 1 3</sup>  
<sup>2 3 3</sup>

შევლო ფარდაგი | კარისა;

სტროფი 393,3: «არც რამე ჩვენ ვართ | ჭბანნი,  
<sup>1 2 1 3</sup>  
<sup>1 2 5</sup>

|| არც ციხე- | უმაგრონია,

სტროფი 586,1: „წედა ჭდა | შავსა ტაიხსა, ||  
<sup>2 1 2 3</sup>  
<sup>1 2 1 1 3</sup>

აწ ეს მე მითქს | რომელი,

4.4 ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მუდმივი პროსოდიული სიდიდეები არიან: A. მაღალ შაირში — ოთხმარცვლიანი სეგმენტები; B. დაბალ შაირში — სამმარცვლიანი და ხუთმარცვლიანი სეგმენტები. ეს სიდიდეები ყოველთვის უცვლელი არიან და მკაცრად ექვემდებარებიან ეკვივალენტური სიმეტრიის ან ლეთაებრივი პროპორციის კანონებს. მათ შესაძლებელად შეიძლება გამოყენებული იქნეს სიტყვათა ყოველგვარი კომბინაცია, იმ პირობით, თუ სიტყვათა საზღვრები სეგმენტის საზღვარს არ გასცდება. ისეთი მიმართება, რომელიც ამ პირობას დაარღვევს, დაუშვებელია. ამიტომ მაღალ შაირში გამოირჩეულია მიმართებანი 2 4 2, 2 3 3, 3 3 2, 2 5 1, 1 5 2 და მათი ეკვივალენტები, ხოლო დაბალ შაირში — 2 4 2, 2 5 1, 1 5 2 და სხვ. როგორც ვხედავთ, ეფხისტყაოსნის ტექსტში გარკვეული მიმართებანი საერთოდ დაუშვებელია, რადგან ისინი არც ოთხმარცვლიანი სეგმენტის შედგენის საშუალებას იძლევიან და არც სამი და ხუთმარცვლიანი სეგმენტების შესაძლებელად გამოდგებიან.

სეგმენტის ფარგლებში სიტყვათა მრავალგვარი კომბინაცია შესაძლებელია. ეს მრავალგვარობა მთელ რიგ სხვა ფაქტორებთან ერთად, რომლებს შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, ქმნის მრავალფეროვან რიტმულ ვარიაციებს შემთხვევიდან შემთხვევაამდე, მოცემული რიტმის ფარგლებში, იმისდა მიხედვით, თუ როგორი სტრუქტურისაა სეგმენტი.

5.1 ექვსმარცვლიანი და შვიდმარცვლიანი სიტყვები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეფხისტყაოსნის ტექსტში ვხვდეთა აგრეთვე რამდენიმე ექვსმარცვლიანი და ერთი შვიდმარცვლიანი სიტყვა. ეს სიტყვებია:

A. მაღალ შაირში:

(1) გაუშეცარდა.

სტროფი 86,4: იგი ტრის და | არა ეხმის ||  
<sup>2 1 1 2 2</sup>  
<sup>2 6</sup>

მისგან, გაუშეცარდა.

(2). გაიმამაცურა.

სტროფი 92,2: ხრმალ-კაპარტი | მოიმაგრა, ||  
<sup>2 2</sup>  
<sup>2 6</sup>

შელავნი გაიმამაცურნა,

(3). გაითავისწინა.

სტროფი 169,2: მონებიცა | მოიშორვა, || თავი  
<sup>4 4 2</sup>  
<sup>6</sup>

გაითავისწინა,

(4). გაათანისთანე.

სტროფი 302,3: მკედარი მნახო, | დამიტრე, ||  
<sup>2 2 4</sup>  
<sup>6</sup>

სულთქმა გაათანისთანე,

(5). გამოიბართალე.

სტროფი 449,2: აწ აგრეცა | შეპყრობილმან ||  
<sup>1 3 4</sup>  
<sup>2 6</sup>

თავი გამოიბართალე,

(6). ჩავკარაბაქე.

სტროფი 551,1: „კარვის კალთა | ჩახლართული ||  
<sup>2 4</sup>  
<sup>4 6</sup>

ჩავექერ, ჩავკარაბაქე,

(7). გაიდარბაზესა.

სტროფი 676,4: სახლ-საყოფი | არა მართებს, ||  
<sup>1 3 2 2</sup>  
<sup>2 6</sup>

ცამცა გაიდარბაზესა!

B. დაწარჩენი ექვსმარცვლიანი სიტყვები ყველა დაბალ შაირში გვხვდება.

(8). სასაუბნაროსა.

სტროფი 35,1: უბრძანა: | „გოიხვავ საქმესა, ||  
<sup>3 2 3</sup>  
<sup>2 6</sup>

ერთგან სასაუბნაროსა:

(9). დანაბეჭდულევი.

(10). ნაუფლისწულევი.

სტროფი 52,2,3: უბრძანა: | „ჩემი საჭურჭლე, ||  
<sup>3 2 3</sup>  
<sup>2 6</sup>

შენგან დანაბეჭდულევი,

მომართვი | ჩემი ყველაი, | ჩემი  
<sup>3 2 3 2</sup>  
<sup>6</sup>

ნაუფლისწულევი“.

(11). სიამაყენია.

სტროფი 190,3: გასცულეზოდეს | მკლავნი და ||  
<sup>5 2 1</sup>  
<sup>2 6</sup>

მისნი სიამაყენია,

(12). სახარაჯონია,



სტროფი 370,3: ხატეთს | მყოფნი ყოველნი ||  
<sup>3</sup> <sup>2</sup> <sup>3</sup>  
<sup>2</sup> <sup>6</sup>  
 ჩვენნი სახარაჲონია,

სტროფი 448,2: ერთობ სავსენი | მოვიდეს, ||  
<sup>2</sup> <sup>3</sup> <sup>3</sup>  
<sup>2</sup> <sup>6</sup>  
 თავი ავაღაღებინე,

- (14). მესაზაროების.
- (15). მესაღამოების.

სტროფი 635,1,3: „მე ფრიდონს ვუთხარა: |  
<sup>1</sup> <sup>2</sup> <sup>2</sup>  
<sup>2</sup> <sup>6</sup>  
 „ესე დღე || ვითა მესაზაროების,  
<sup>2</sup> <sup>2</sup> <sup>1</sup>  
<sup>3</sup> <sup>2</sup> <sup>6</sup>  
 უშენოდ მყოფსა | ღამე და ||  
 დღცა მესაღამოების

- (16). იანაზღენითა.

სტროფი 746,4: მართალ ხართ, | თუმცა რისხვანი  
<sup>2</sup> <sup>1</sup> <sup>2</sup> <sup>3</sup>  
<sup>2</sup> <sup>6</sup>  
 || ჩემთვის იანაზღენითა“.

- (17). ნაგუშინდელივი.

სტროფი 807,1: კვლა მოახსენა | ვაზირმან ||  
<sup>1</sup> <sup>4</sup> <sup>3</sup>  
<sup>2</sup> <sup>6</sup>  
 სიტყვა ნაგუშინდელივი,

- (18). მულაზანზარისა.

სტროფი 966,3: მან უთხრა: | „ფრიდონ  
<sup>1</sup> <sup>2</sup> <sup>2</sup>  
<sup>3</sup> <sup>6</sup>  
 ხელმწიფე, || მეფე მულაზანზარისა,  
 (19). გამესისხლებია.

სტროფი 986,1: „ქვანნი წაუხმან | დევთათვის, ||  
<sup>1</sup> <sup>3</sup>  
<sup>2</sup> <sup>6</sup>  
 სრულად გამესისხლებია;

- (20). გასამსალებისა.

სტროფი 1014,4: შენ ხარ მიზეზი | სოფლისა ||  
<sup>1</sup> <sup>1</sup> <sup>1</sup> <sup>3</sup>  
<sup>2</sup> <sup>2</sup> <sup>6</sup>  
 ასრე გასამსალებისა“.

- (21). გახელოვნებულნი.

სტროფი 1235,2: კაცნი გძრძნებისა | მცოდნელნი,  
<sup>2</sup> <sup>3</sup> <sup>3</sup>  
<sup>2</sup> <sup>6</sup>  
 || ზედა გახელოვნებულნი,  
 (22). მულაზანზარისა.

სტროფი 1446,1: მივიდეს, სადა | ქალაქი ||  
<sup>3</sup> <sup>2</sup> <sup>3</sup>  
<sup>2</sup> <sup>6</sup>  
 დიდი მულაზანზარისა;

სიტყვა  
 (23). გამაბელუბელითა.

სტროფი 342,4: მუყანი მოახსენს, | სენითა ||  
<sup>2</sup> <sup>3</sup> <sup>3</sup>  
<sup>1</sup> <sup>6</sup>  
 მთქვეს გამაბელუბელითა.

5.2 როგორც ვხედავთ, 41.990 ერთეულიდან შემდეგ  
 ლოდ 23 სიტყვა სცილდება სეგმენტის (25.392 სეგ-  
 მენტი) ფარგლებს. ეს იმდენად უმნიშვნელო პრო-  
 ცენტია, რომ შეიძლება მხედველობაში არც კი  
 მიგვეღო, მაგრამ საყურადღებოა, რომ ამ გამოწე-  
 ლისშიც შეიმჩნევა გარკვეული კანონზომიერება.  
 შემთხვევით არ უნდა იყოს ის გარეობა, რომ ოც-  
 დასამივე სიტყვა სტრქონის ბოლოს არის მოთავსე-  
 ბული და გამოყენებულია რითმის საწარმოებლად. ეს  
 რითმებია: (1) არდა; (2) ურნა; (3) ინა; (4) ანე; (5)  
 ალე; (6) ავე; (7) ზესა; (8) ნაროსა; (9, 10) უღვევი;  
 (11) ყენია; (12) ონია; (13) აღებინე; (14), (15) ოგბის;  
 (16) დენითა; (17) ეღვევი; (18) არისა; (19) ხლებია;  
 (20) სამსალებისა; (21) ებულნი; (22) ზარისა; (23)  
 ზელითა. როგორც ჩანს, მეტრიკულ-პროსოდიული  
 სტატუტი სიტყვისა, რომელიც რითმას აწარმოებს,  
 გარკვეული მხრივ განსხვავდება მისი ქვეყისაგან  
 სტრქონის სხვა სეგმენტებში და შეიძლება ეს გარე-  
 მოება ერთგვარად ხელს უწყობდეს ასეთი სიტყვე-  
 ბის მოთმენას ხსენებულ სტროფებში. აქ შეიძლება  
 გარკვეულ როლს თამაშობდეს აგრეთვე რითმა და  
 მიჯნის ფაქტორი, რომლის შესახებ ქვემოთ ვგვეჩნება  
 საუბარი. მიუხედავად ამისა, ტექსტის კითხვისას აშ-  
 კარად იგრძნობა, რომ სტრქონი „ხატეთს მყოფნი  
 ყოველნი ჩვენნი სახარაჲონია“ და მისთანანი ვეფხის-  
 ტყაოსნის სრულყოფილი სიმეტრიული სტრუქტურის  
 მქონე ლექსის დონეზე არა დგას. ამიტომ, თუ გა-  
 ნოვრცხვით მერმინდელ დამახინჯებებს, ზოგიერთ  
 შემთხვევაში მაინც, შეიძლება ვიფიქრობო, რომ ამ  
 მაგალითებში გვაქვს ნიმუში, როდესაც ნახევარკარე-  
 დი სეგმენტებად კი არ არის დაყოფილი, არამედ  
 წარმოადგენს ერთ მთლიან სეგმენტს, ე. ი. რუდი-  
 მენტალურად ასახულია მეტრიკული სისტემის გან-  
 ვითარების წინა საფეხური, რომელიც ვეფხისტყაოს-  
 ნის რთული პროსოდიული სისტემის ჩამოყალიბებას  
 უძღოდა წინ. ეპიკური ხასიათის პოეტური ნაწარმო-  
 ების თხრობისას მისი ჩამოყალიბების პროცესში,  
 კარდის ასეთი სტრუქტურა, საფიქრებელია, პირვე-  
 ლად უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ დამახასიათებელია,  
 რომ ეს ექვსმარცვლიანი სიტყვები განურჩევლად  
 გეგვდება როგორც მაღალ შაირში (7 შემთხვევა),  
 ისე დაბალ შაირში (15 შემთხვევა), ოღონდ განსხვავ-  
 ება მაღალ შაირსა და დაბალ შაირს შორის ამ შემ-  
 თხვევებში არსებითად აღარ არსებობს.  
 აქ ზედმეტი არ იქნება გავისხენოთ, რომ იტა-  
 ლიურ სილაბურ ლექსისწყობაში და ფრანგული ალექ-  
 სანდრიული ლექსის კლასიკურ ნიმუშებში სეგმენტ-





ბად დაყოფა ნახევარკარედისა ან იშვიათად ან სრულებით არ გვხვდება.

5.4 დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთი გამონაკლისი. მაგ., მეჩვიდმეტე სტროფის პირველ სტრიქონის პირველ ნახევარში ვხვდებით:

<sup>3</sup> <sup>2</sup> <sup>2</sup> <sup>1</sup> <sup>4</sup> <sup>4</sup>  
**მესამე ლექსი კარგი არს** || **სანადმიოდ, სამღერულად**

პირველ ნახევარკარედში სიტყვები ისეა განაწილებული, როგორც ეს დაბალ შაირს შეეფერება (3 2 2 1), მიუხედავად იმისა, რომ სტროფი მთლიანად მაღალ შაირსა რიგს ეკუთვნის. ეს, ფიქტობ, ან შემოსხვევითა, ან შეიძლება სიტყვებია გადასმული. და იქნება მართალი იყო ნ. მარი, როდესაც სიტყვების სხვაგვარ განლაგებას გეთავაზობდა: არს მესამე ლექსი კარგი, როგორც მაღალ შაირს შეეფერება.

6. 1 გარდა ამისა, ვეფხისტყაოსანში არის ერთი ოცმარცვლიანი სტროფი, 762:

<sup>2</sup> <sup>3</sup> <sup>2</sup> <sup>3</sup> <sup>2</sup> <sup>2</sup> <sup>1</sup>  
**შეკრა წითელი ასი ათასი, || პირად მუხმან და**  
<sup>2</sup> <sup>3</sup>  
**ტანად სარომან,**  
<sup>3</sup> <sup>2</sup> <sup>2</sup> <sup>3</sup>  
**სამასი თავი სტავრა-ატლასი || უხვმან, ნიადაგ**  
<sup>5</sup>  
**მიუმცთარომან,**  
<sup>3</sup> <sup>2</sup> <sup>1</sup> <sup>4</sup> <sup>4</sup> <sup>2</sup> <sup>1</sup>  
**სამოცი თავლი ლალ-იაგუნდი, || ფერად მართ**  
<sup>3</sup> <sup>5</sup> <sup>2</sup>  
**ვითა მიუმხვდარომან**  
<sup>2</sup> <sup>3</sup> <sup>5</sup> <sup>2</sup> <sup>3</sup> <sup>2</sup>  
**კაცი გაგზავნა ვაჟირისასა, || ესე ყველია მისთვის**  
<sup>2</sup> <sup>1</sup>  
**არო მან.**

ჩახუბახუბლის ზომით დაწერილი ეს სტროფიკ აგებულია დიქტომიურ პრინციპზე. კარედი შედგება ოცი მარცვლისაგან და იყოფა ორ ნახევარკარედად ათ-ათი მარცვლით თითოეულ ნახევარში. ნახევარკარედი, თავის მხრივ, სიმეტრიულად არის გაყოფილი ორ სეგმენტად, თითოეული ხუთი მარცვლით. ხუთმარცვლიან სეგმენტში ზოგჯერ თავს იჩენს რიტმული სიჭარბის მოვლენა, რის გამო იგი შეიძლება ორ ასიმეტრიულ ნაწილად გაიყოს, რაც მეტრიკულ

სტრუქტურაზე გავლენას არ ახდენს (**შეკრა წითელი, |**

<sup>2</sup> <sup>3</sup>  
**ასი ათასი** და სხვ.); არის შემთხვევები ხუთმარცვლიანი სეგმენტის შედგენისა 1 4 და 2 2 და 1 მარცვლიანი სიტყვებისაგან, როგორც აწას დაბალ შაირში აქვს ადგილი. რითმა დაბალი შაირისა, ე. ი. კენტ (-სამ) მარცვლიანი, კარედში გამოყენებული კენტ (ხუთ)-მარცვლიანი სეგმენტების შესაბამისად (ამის შესახებ იხ. ჩემი მოთ.).

ამგვარად, პრინციპი, რაზედაც ოცმარცვლიანი სტროფის სეგმენტებია აგებული, ზუსტად იგივეა, რაც თექვსმეტმარცვლიანი კატრენების ხუთმარცვლი-

ანი პროსოდიული ერთეულებისათვის. ასეთებში <sup>3</sup> <sup>2</sup> <sup>2</sup> <sup>1</sup> <sup>4</sup> <sup>4</sup> თმაც.

7.1 მახვილი, მარცვალი, მიჯნა. მახვილს<sup>40</sup> ქართულში დისტინქციური ფუნქცია არა აქვს, თუმცა სიტყვაში ყოველთვის გამოირჩევა ერთი მარცვლი არტიკულაციის სიძლიერითა და ტონის სიმაღლით, განსაკუთრებით პათოსით თუ ფსევდო პათოსით წარმოთქმულ რიტორიკულ მეტყველებაში. სპეციალურ ლიტერატურაში არაერთხელ აღვნიშნავთ, რომ ქართული მახვილი სუსტია და რომ თითქოს იგი ამით განსხვავდება სხვა ენათა მახვილისაგან. მაგრამ მთავარი ეს არ არის. ამაზე უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ქართული მახვილის ფუნქციონალური დატვირთვაა მინიმალური<sup>41</sup>, დამოუკიდებლად იმისა, თუ როგორი სიძლიერით წარმოითქმის იგი. ამიტომაც, რომ ქართული იცნო ერთგვარად იტანს მახვილის გადანაცვლებას „უადგილო“ ადგილას (ხშირად ერთისა და იმავე სიტყვის ფარგლებში)<sup>42</sup>, რის გამოც ინტუიციურ დონეზე იქნება შეთბეკდილება. თითქოს მახვილი მოძარავია და თავისუფალი. სინამდვილეში ქართული მახვილი საერთოდ ფიქსირებულია და დეკავშირებულია ბოლოდან მეორე მარცვლიან ორმარცვლიან სიტყვებში და ბოლოდან მესამესთან — სამმარცვლიან სიტყვებში ოთხმარცვლიან სიტყვებში მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე მოდის, თუმცა, ზოგიერთი გამოკვლევების მიხედვით, მესამე და მეოთხე მარცვლები ერთნაირი მახვილით წარმოითქმის<sup>43</sup>. ამავე ერთმარცვლიან ასეთსავე ერთნაირ მახვილს ატარებენ მესამე, მეოთხე და მეხუთე მარცვლები ხუთმარცვლიან სიტყვებში.

მონოსილაბური სიტყვები ქართულში მსგავსად ჩეხურისა, ამპიკონენტური არიან და მათ მიერ მახვილის ქონა-არქონა (ერთისა და იმავე სიტყვის ფარგლებში) დამოუკიდებელია მიჯნისა და მიველ რიგ სხვა ფაქტორებზე. ამ მხრივ ქართული არსებითად განსხვავდება ინგლისურისაგან, სადაც ერთმარცვლიანი სიტყვათა ორი ტიპი გვაქვს: მახვილიანი და უმახვილო, რომელთა აქცენტუალური ღირებულება რიტმში იმთავითვეა განსაზღვრული.

ენებს, რომელთაც მახვილი ყოველთვის გარკვეულ მარცვალზე მოდის (ქართულს, ჩეხურს, ფრანგულს, პოლონურს) თითქოს სიტყვათა ტიპების ნაკლები რაოდენობა მოეპოვება, ვიდრე იმ ენებს, რომლებსაც თავისუფალი მახვილი აქვთ. ამის გამო კარედი მარცვლითა გარკვეული რაოდენობით გაცილებით უფრო მეტ კომბინატორულ შესაძლებლობას ქნის თავისუფალი მახვილის მქონე ენებში, ვიდრე ისეთ ენებში, სადაც მახვილი გარკვეულ ადგილზეა ფიქსირებული<sup>44</sup>.

ზემოთ დავინახეთ, რომ ვეფხისტყაოსნის ტექსტში (და საერთოდ ქართულში) სამმარცვლიანი სეგმენტის შესადგენად ოთხი შესაძლებლობა არსებობს (3, 2+1, 1+2, 1+1+1). ეს რომ სხვა ენების კომ-



ბინატორულ ვარიანტებს შევადართო, შემდეგ სუ-  
რათს მივიღებთ<sup>15</sup>.

ქართული	ჩეხური	რუსული	ინგლისური
x' x x	x' x x	x' x x x' x/x	x' x x x' x/x x' /x' /x'
x' x/x	x' x/x	x x' x x x' /x	xx' x xx' /x x' /x' /x
x/x' x'	x/x' x'	xxx' x' x' /x	xxx' x' x' x' x' /x' /x'
x/x/x	x/x/x	x/xx'	x/xx' x' /x' /x'
		x/x/x	x' x/x' x' /x' /x

4 შესაძლებ- 4 შესაძლებ- 8 შესაძლებ-  
ლობა ლობა ლობა

19 შესაძლებლობა

მასსადავ, ქართული n-მარცვლიანი სეგმენტის კომბინატორული ვარიანტების რიცხვისათვის, მსგავსად ჩეხურისა<sup>16</sup> გამოდგება ფორმულა  $v = 2^n - 1$  ინგლი-  
სური და რუსული ლექსის ზოგიერთი ვარიანტისათ-  
ვის უფრო რთული ფორმულაა საჭირო.

კიდევ უფრო დიდა განსხვავება ოთხმარცვლიან და ხუთმარცვლიან სეგმენტთა კომბინატორული ვა-  
რიანტების წარმოებისას.

7.2 მეორე მხრივ, თუმცა ქართულში შეზღუ-  
დულია კომბინატორულ ვარიაციის რაოდენობა, სა-  
მაგიეროდ, მეტად მრავალფეროვანია მარცვლის  
სტრუქტურა და მასში შემავალ თანხმოვან ფონემათა  
დისტრიბუციის შესაძლებლობანი. ამ მხრივ ქართულ  
ენას ძნელად თუ შეიძლება მოეპოვოს პარალელი.  
ქართული ენის მარცვლის თავისებურება უფრო  
თვალსაჩინო იქნება, თუ მას რომელიმე სხვა ენის,  
მაგ., არაბული მარცვლის სტრუქტურას შევადარებთ.

არაბულში შეიძლება გვექონდეს მარცვლის შემ-  
დეგი სახეობანი (1). CV (თანხმოვანი და მოკლე ხმო-  
ვანი); ba (ლია, მოკლე მარცვალი); (2).C.V (თანხმოვა-  
ნი და გრძელი ხმოვანი); bā (ლია, გრძელი მარცვა-  
ლი); (3).CVC (დახურული მარცვალი მოკლე ხმოვ-  
ნით, რაც გრძელ მარცვალს უდრის); (4).CVCC (ორ-  
მაგად დახურული მარცვალი, რაც აგრეთვე გრძელია).

არაბული მარცვლის ორ ტიპს (მოკლე მარცვა-  
ლი — გრძელი მარცვალი) ქართულში ფონოლოგიურ  
ღონეზე შეესაბუთებისა მარცვლის ერთი სახეობა,  
მაგრამ ოთხი ფონეტიკური ვარიაციის ნაცვლად ქარ-  
თულში სამოქმედ ვარიანტი გვაქვს. ქართულში მარ-  
ცვალი შეიძლება ხმოვნით დაიწყოს და დამთავრდეს  
კიდევ, განსხვავებით არაბულისა, სადაც მარცვლის  
დასაწყისში აუცილებლად თანხმოვანი (არა უმეტეს  
ერთისა) უნდა იყოს. ხმოვანს შეიძლება თანხმოვანი  
უძღოდეს, არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე, ორი,  
სამი, ოთხი, ხუთი, ხოლო ზოგჯერ ექვსი, შვიდი და  
რვა თანხმოვანიც კი.

ასევე მარცვლის ბოლოს, ხმოვნის შემდეგ, თუ

არაბულში სულ დიდი, ორი თანხმოვანი შეიძლება  
გვექონდეს (ორმაგად დახურული მარცვალი) — მარტო  
თულში ხშირად სამი და ოთხი თანხმოვანია გამოყე-  
ნებული. მარცვლის წარმოების ეს შესაძლებლობები  
მრავალფეროვან სურათს იძლევა და არსებითად გა-  
ნასხვავებს ქართულს სხვა ენებისაგან.

ეფესისტყანასშიც, რა თქმა უნდა, მარცვლის  
მრავალფეროვანი სახეობანი გვხვდება:

(1) V — მარცვალს ერთი ხმოვნით არის წარ-  
მოადგენი: ა — ცენია; კლდენია-ა; სიბრძინისა-ა;  
(შუქი შენი იფიად ა) და სხვ.

(2) VC — ხმოვანი და თანხმოვანი: ათ; ან; აწ; არ

(3) VCC — ხმოვანი და ორი თანხმოვანი: არხ

(4) VCCC — ხმოვანი და სამი თანხმოვანი: აქვხ;

ექვხ-ნი

(5) CV — თანხმოვანი და ხმოვანი: და, ნუ, მი  
(მი-და მო)

(6) CCV — ორი თანხმოვანი და ხმოვანი: ვლა  
(ვლა არ გვინდა გზათა შორთა); დგა, ემა  
და სხვ.

(7) CCCV — სამი თანხმოვანი და ერთი ხმოვანი:  
ფრთა, მძღე, ბრძენი,

(8) CCCCV — ოთხი თანხმოვანი და ხმოვანი  
მქმნე-ლი, მკლვი-და

(9) CCCCCV — ხუთი თანხმოვანი და ხმოვანი:  
მფრქვე-ვე-ლი; მზღვრე-ბი-თა; მკედრი-სა.

(10) CVC — თანხმოვანი, ხმოვანი, თანხმოვანი:  
შვხ, ვინ, სად, რად, სით, ვით, ხარ.

(11) CCVC — ორი თანხმოვანი, ხმოვანი, თან-  
ხმოვანი: მწედ; დგახ.

(12) CCCVC — სამი თანხმოვანი, ხმოვანი, თან-  
ხმოვანი: მძღედ, მკლავ- (მაგარსა).

(13) CCCCVC — ოთხი თანხმოვანი, ხმოვანი,  
თანხმოვანი. მკრთალ-თა; ბრძნად.

(14) CCCCCVC — ხუთი თანხმოვანი, ხმოვანი,  
თანხმოვანი ვსკურეტ-დი.

(15) CVCC — თანხმოვანი, ხმოვანი, ორი თან-  
ხმოვანი: ხამხ; მუხლ-თა

(16) CCVCC — ორი თანხმოვანი, ხმოვანი, ორი  
თანხმოვანი კმარხ.

(17) CCCCVC — სამი თანხმოვანი, ხმოვანი, ორი  
თანხმოვანი მკლავხ.

(18) CCCCVC — ოთხი თანხმოვანი, ხმოვანი,  
ორი თანხმოვანი სკვრეტხ

(19) CCCCCVC — ხუთი თანხმოვანი, ხმოვა-  
ნი, ორი თანხმოვანი ვსკურეტ-თ.

გარდა ამისა, თეორიულად ქართულში შესაძლე-  
ბელია თანხმოვანთა და ხმოვანთა კიდევ სხვა მრავა-  
ლი კომბინაცია, რომელიმე პრაქტიკულად დადას-  
ტურებულია ზოგიერთი: CCCCCVC (მწვრთნე-ლი,



ფრცქვნა, ბრდღვნა); CCCCCCV (გვწრწნა, გვრცქვნა-  
 C, გბრდღვნა); CCCCCCVV (გვფრცქვნა, გვბრდღვნა)  
 CCCCCV (ფრცქვნის, ბრდღვნის); CCCCCVC  
 (გვწრწონის, გვრცქვნის, გბრდღვნის); CCCCCVCV  
 (გვფრცქვნის, გვბრდღვნის); CCCCCVCC (მწწრწინლს,  
 მწწრწინელს); CCCCVC (მთხრებლს); CCCCVC (მსხვერპლს,  
 მსხვერპლო); CVCCCC (მარწყვს, ნერწყვს)  
 და მისთ.

ამასთან შეიმჩნევა ერთგვარი წონასწორობა. თუ  
 ეოკალური ფონემის წინაპავალი თანხმოვანთა ჯგუფი  
 მრავალწევრიანია, პოსტეოკალურ პოზიციამ იშვია-  
 თად გვაქვს მრავალწევრიანი ჯგუფი. მაგ., არ შეიძ-  
 ლება შეგვხვდეს მარცვლი CCCCCCVCCCCC, ან თუნდაც  
 CCCCCCVCCCC, ან კიდევ CCCCC  
 CCCCC და სხვ. როგორც წესი, როდესაც ხმოვნის  
 მიმდევრო ჯგუფი მრავალწევრიანია, ანალოგიური თითო-  
 ირობა თანხმოვანი გვაქვს მხოლოდ. საერთოდ თავ-  
 კიდურა და ბოლოკიდურა თანხმოვნების წამი არ აპარ-  
 ბებს იმ თანხმოვნების მაქსიმალურ რაოდენობას, რომ-  
 ლები ხმოვნის წინ შეიძლება შეგვხვდეს. ბოლოკი-  
 დური ჯგუფის წევრთა რაოდენობა უკუპროპორციულ-  
 ლია თავკიდურა ჯგუფის წევრთა რაოდენობისა<sup>47</sup>.

მეტად რთულია აგრეთვე თავკიდურა და ბოლო-  
 კიდურა ჯგუფების ფონოლოგიური სტრუქტურა, რომ-  
 ლები დამოკიდებულია მათ შორის თანხმოვანთა  
 გარკვეულ კანონზომიერ განაწილებაზე<sup>48</sup>. თანხმოვან-  
 თა განაწილების ეს მრავალსახეობა სხვადასხვაგვარ  
 ელერაობას აძლევს მარცვალს, რაც გარკვეულ გავ-  
 ლენას ახდენს რიტმზე. ამასთან დაკავშირებულია აგრ-  
 ეთვე მარცვლის სიგრძე-სიმოკლის საკითხი.

7.3 ქართულში მარცვალთა და ხმოვანთა სიგრ-  
 ძე-სიმოკლე, მსგავსად მახვილისა, როგორც ცნობი-  
 ლია, არ არის ფონოლოგიური ღირებულების მქონე.  
 შეიძლება ერთი და იგივე ხმოვანი წარმოითქვას  
 გრძლად და მოკლედ, მახვილითა და უმახვილოდ,  
 გრამატიკული ფუნქციის ან სიტყვის მნიშვნელობის  
 განსხვავებისათვის ამას მნიშვნელობა არა აქვს.

მთელ რიგ ენებში (მაგ., არაბულში, ბერძნულ-  
 ში) მოკლე ხმოვნებს ან მარცვლებს უპირისპირდება  
 გრძელი ხმოვნები ან მარცვლები და ეს განსხვავება  
 იწვევს სიტყვათა მნიშვნელობის განსხვავებას. მაგ.,  
 არაბ. *šadākat* „მეგობრობა“, *šadākat* „მოწყობა“,  
*‘alam* „სამყარო“, *‘alam* „ალამი“, „ნიშანი“ და სხვ.

ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ხმოვანთა  
 და მარცვალთა სიგრძე არაბულ, ბერძნულ, ლათინურ  
 და მთელ რიგ სხვა ენათა მეტრიკულ სისტემაში. სეგ-  
 მენტების სტრუქტურა მნიშვნელოვანად არის დამოკი-  
 დებული იმაზე, თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან  
 სიტყვაში შემავალი გრძელი და მოკლე მარცვლები.  
 მაგ., ერთი გრძელი მარცვლი (ე. ი. თანხმო-  
 ვანი გრძელი ხმოვნით ღია მარცვალში ან მოკლე  
 ხმოვნით დახურულ მარცვალში) ზოგჯერ უდრის ორ  
 მოკლე მარცვალს, ისე რომ ერთეული — — მე-

ვიკალენტურია — — მიმართებისა. ასევე უნდა  
 ქართულს არ ახასიათებს. გრძელი და მოკლე მარცვ-  
 ლები ქართულში არ უპირისპირდება ერთმანეთს  
 და სულ ერთია, ხმოვანი გარტყელებულად წარმოით-  
 ქმის სიტყვაში თუ მოკლედ, სიტყვის მნიშვნელობა  
 ამით არ შეიცვლება. ასევე არ უპირისპირდება ერთ-  
 მანეთს ღია დახურული მარცვლი, თუნდაც იგი  
 ორმაგად, სამმაგად და ხუთმაგად იყოს დახურული,  
 როგორც, მაგ., *მარწყვს* სიტყვაში გვაქვს.

მაშასადამე, ხმოვანთა და მარცვალთა სიგრძე-  
 სიმოკლე ქართულში ფონოლოგიური ღირებულება  
 არა აქვს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფონეტი-  
 კურად და აუსტიკურად მათ შორის განსხვავება არ  
 არსებობს. მაგ., სრულებით არ არის ერთი და იგივე  
 ხანგრძლიობა ისეთი მარცვლებისა, როგორიცაა ერ-  
 თის მხრივ CV (მაგ., და სიტყვა, ხმოვანი, ხშული თან-  
 ხმოვნით) და მეორე მხრივ CCCCCC (მაგ. სიტ-  
 ყვა მსხვერპლს). ორივე სიტყვა ერთმარცვლიანია.  
 ორივეში თითო ხმოვანია, რომლებიც ცოტად თუ ბევ-  
 რად თანაბარი სიგრძისა არიან. მაგრამ მაშინ, როდეს-  
 ეაც პირველ სიტყვაში ერთი ხშული თანხმოვანია,  
 რომლის წარმოსათქმელად სეჟუნის 1/18-ია საკმა-  
 რისი<sup>49</sup>, მეორე სიტყვაში რვა თანხმოვანია, ოთხი —  
 ხმოვნის წინ და ოთხი — ხმოვნის შემდეგ, რომელთა  
 წარმოითქმას გაცილებით მეტი დრო სჭირდება, ვიდრე  
 და სიტყვას ერთი ხშული (დ) თანხმოვნით. შეც-  
 დომა ამ იქნება, თუ ვიტყვი, რომ მსხვერპლს სიტ-  
 ყვის წარმოითქმას 10-ჯერ და 15-ჯერ მეტი დრო სჭირ-  
 დება, ვიდრე ისეთი მარცვლისა, სადაც მხოლოდ  
 ერთი თანხმოვანი გვაქვს და ერთი ხმოვანი. ეს განს-  
 ხვავება დადასტურებულია ექსპერიმენტალურად და  
 იგრძნობა აუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვითაც.

ამ განსხვავებას, რა თქმა უნდა, არა აქვს ფონო-  
 ლოგიური ღირებულება, იგი არც ლექსის მეტრის  
 თვალსაზრისით არის რელევანტური, მაგრამ ეს სხვა-  
 დასხვა ხანგრძლივობის მქონე მარცვლები, იმისდა  
 მიხედვით, თუ რამდენი და როგორი თანხმოვნებისა-  
 ვანია არიან შედგენილი, არ შეიძლება გავლენას არ  
 ახდენდნენ ლექსის ტემპსა და რიტმზე. ამას უნდა  
 დაემატოს თვისება და ბუნება იმ თანხმოვნებისა,  
 რომლებიც გამოყენებული არიან მარცვლის შესად-  
 გენად. სხვადასხვა რაოდენობის მეტრში, ზოგიერთი  
 მათგანის ქარზონული შეხამება სიტყვებსა და სეგ-  
 მენტებში, ალიტერაციას რომ ქმნის, ზოგჯერ კონტრ-  
 რასტები, გამოწვეული ამ შედგენილობის თვალსაზ-  
 რისით განსხვავებული მარცვლებისა და სეგმენტების  
 გარკვეული შეფარდებით, ქმნის მუსიკალური ფერე-  
 ბის მთელ სპექტრს, რომელიც რუსთველის ლექსს  
 პოლიფონიური ქართული მუსიკის ელერაობას ანი-  
 ქებს. ამას უნდა დაემატოს ე. წ. მჭნის ან გაღასაგ-  
 ლელის დაქტორი, რომლის შესახებ ქვემოთ გვაქნება  
 საუბარი.

7. 4 ორი ფონემა თანმიმდევრულად წარმოთქმის დროს, როგორც ცნობილია, სხვადასხვაგვარად შეიძლება დაუკავშირდეს ერთმანეთს: 1. გადასვლა წინა-შეკვეთი ფონემიდან მომდევნოზე არის ნარანარი (плавный) და ფონეტიკური სეგმენტები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან ისე, როგორც მუსიკაში ორი ნოტი — legato-ს საშუალებით. ასეთ კავშირს ეწოდება დახურული მიჯნა; 2. ერთი მორფემის ბოლოფონური ფონემასა და მეორე მორფემის თავიდანური ფონემას შორის იგრძნობა სასწავარი, რომელსაც განაპირობებს პაუზა, რიტმი და მახვილია<sup>52</sup>. ასეთ კავშირს ეწოდება ღია მიჯნა, რომელიც თანმედროვე საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება /t/ ნიშნით (ზოგი ასხვევებს ფონემათა გამყოფ ნიშანს /t/ პაუზების — წინადადებების — გამყოფი ნიშნისაგან /=t/).

მიჯნა (ინგლ. juncture) ან გადასასვლელი არის კონტაქტის სახეობა, წესი, რომლის მიხედვითაც ორი წარმოთქმა უკავშირდება ერთმანეთს<sup>53</sup>, ერთი წარმოთქმის დასასრულისა და მომდევნო წარმოთქმის დასაწყისის შეხვედრის ადგილი, რომელიც დაკავშირებულია რიტმთან და მახვილთან<sup>54</sup>. ამ წარმოთქმათა საზღვრების გარკვეული კავშირი (ღია მიჯნა) ქმნის დისტინქტიურ კონტრასტებს სუბრასეგმენტულ დონეზე და ამდენად მას ფონოლოგიური ღირებულება ენიჭება<sup>55</sup>.

მიჯნის ფენომენი ყველა ენაში ივრატეიული ხასიათისაა. პირველ საფეხურზეა მორფემის მიჯნა, უმაღლეს დონეზე — პაუზალური მიჯნა, ხოლო მათ შორის ყველაფერი დანარჩენი — (მაგ. სიტყვები). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველა მიჯნა არის ყოველ შემთხვევაში მორფემის მიჯნა, ყველა პაუზალური მიჯნა არის ამავე დროს მიჯნა სიტყვებს შორის, მაგრამ არცერთი უფრო დაბალი საფეხურის მიჯნა არ შეიძლება იყოს პაუზალური მიჯნა<sup>56</sup>.

/t/-ის ფაქტორის დადასტურება ინგლისურსა და სხვა ენებში თავის დროზე აღმოჩენად იქნა მიჩნეული. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში და, მით უმეტეს, ლიტერატურაში ლექსიწერების შესახებ, ეს მოვლენა არაფერ აღინიშნავს, მონუსხავდა იმისა, რომ მას ქართულშიც ისეთივე ფონოლოგიური ღირებულება აქვს, როგორც ინგლისურსა და მთელ რიგ სხვა ენებში.

ასე, მაგ., ერთი და იგივე არ არის არც ფონოლოგიურად და არც რიტმის თვალსაზრისით, ერთი მხრივ, მითხარ წარმოთქმა და, მეორე მხრივ, სიტყვები მით ხარ (=იმიო, იმიო ხარ შენ). პირველ შემთხვევაში გვაქვს დახურული გადასასვლელი ო და ხ ფონემათა შორის, გადასვლა ერთი ფონემიდან მეორეზე არის ნარანარი (плавный, гладкий) მსგავსად მუსიკის ორი ნოტისა, რომელსაც legato აერთებს. ამ სიტყვის ორ მარცვალს არაფერი ჰყოფს ერთმანეთისაგან და ისინი ერთი მახვილის ქვეშ არიან გაერთიანებუ-

ლი: მითხარ მეორე მხრივ იგივე ორი მარცვალს წარმოთქმაში მით ხარ გათიშული არიან ერთმანეთისაგან პაუზით, რიტმითა და მახვილით. ამ შემთხვევაში თითოეული ეს მარცვალი დამოუკიდებლად ატარებს მახვილს (მით ხარ) — განსხვავებით მითხარ სიტყვისა; ამავე დროს მათ შორის იგრძნობა პაუზა.

ასევე აშკარაა განსხვავება, გამოწვეული მიჯნის ფაქტორით, სიტყვებში: და გულსა (ქალსა შეხვედნად, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა, სტროფი 337,2) ერთი მხრივ და მეორე მხრივ წარმოთქმაში: და-გულსა (მოვიდა, მივსენე დურაჯნი, მოხოვა ცეცხლითა დაგულსა, სტროფი 337,3). პირველ შემთხვევაში ორივე სიტყვა ატარებს მახვილს: და გულსა მეორე სიტყვაში კი ერთი მახვილია: დაგულსა. ასეთივე მდგომარეობაა გამოთქმაში:

1. დანსა (მოუნდის გულსა დაცემა, ზოგჯერ მიმართის დანსა, სტროფი 177,2),
2. და ნანსა (მოვშორდი ლხინსა ყველსა, ჩანსა, ბარბოთსა და ნანსა, 177,4).

როგორც ვხედავთ, მახვილი კი არ აერთიანებს სიტყვებს „დაქტილური ტერფის“ შესაქმნელად ერთი სეგმენტის ფარგლებში, არამედ პირიქით, პაუზასთან ერთად ხელს უწყობს მათ გამოჯანსა ერთმანეთისაგან.

/t/-ის მოვლენა მარტო მაჯამებს კი არ განასხვავებს ერთმანეთისაგან, იგი გამოყოფს აგრეთვე სიტყვებს, ხოლო ზოგჯერ მორფემათა შორისაც ქმნის გასაყარს. სწორად ასეთი შემთხვევები გვაქვს ზმნის-წინის ხმოვნებისა და მომდევნო ხმოვნების მიჯნაზე. მაგ. /t/ გვაქვს გაუფეცარდა სიტყვაში, რომელიც გამოითქმის გა/ქ/უ/ქ/ უმეცარდა, აგრეთვე სიტყვებში: შე/ქ/ო/ქ/ურეგებს (755,2); შე/ქ/უ/ქ/ტყუცოცა (81,3); გა/ქ/ა/ქ/თანისთანე (302,3); ი/ქ/ა /ქ/ნაწლენითა (746,4); ნა/ქ/უ/ქ/ფლისწულივი (52,3) და სხვ. შეიძლება ამ მოვლენამ ხელი შეუწყოს იმას, რომ ასატანი გამხდარიყო ექვსმარცვლიანი და შეიღმარცვლიანი სიტყვები ზოგიერთ ნახევარკარედში, რომელთა შესახებ ზემოთ გვქმნდა საუბარი.

სწორი არ იქნება ვიფიქროთ, რომ ოთხმარცვლიან სიტყვებში, თუ სიტყვის დასაწყისში ორი ხმოვანი მეზობლობს ერთმანეთს, მახვილი მესამე ადგილიდან ბოლოდან მეოთხეზე გადაინაცვლებს, მაგ., გაციონა სინადალეულში ასეთ შემთხვევებში ჩვენ გვაქვს გა/ქ/-იონა დატენური პაუზით ა-სა და ი-ს შორის, რომელთაგან შეიძლება ორივენი ატარებენ მახვილს: გაციონა.

ეს არის, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ზმნისწინის მომდევნო ხმოვანი ი შემოგენება ზმნის ფარგლებში: გაიციონა, გაილიმა, გაიტანა და სხვ. ეს ფორმები რომ ერთი მახვილით (ბოლოდან მეოთხე მარცვალზე) ყოფილიყო წარმოთქმული (გაციონა, გაილიმა, გაიტანა) მიჯნის გარეშე, მომდევნო ი აუცილებლად შესუსტდებოდა და ბოლოს სულ დაიკარგე-

ბოდა, როგორც ეს დამეძრათა სხელობითის ი დაბოლოებას ხმოვნით დამთავრებული ფუძეების შემდეგ (მამა-ი > მამა-ა > მამა) ან ნათესაობითი ბრუნვის აფიქსის ი ხმოვანს ი და უ-ზე დაბოლოებული ფუძეების შემდეგ (ხახო-ისა > ხახობა > ხახობის), სადაც მახვილი მანკდამანკ ხელს არ უწყობდა მომდევნო ხმოვნის დასუტებასა და დაკარგვას, რადგან წინამართლი ფუძისეული ბოლოკიდური ხმოვანი მას არ ატარებდა. და თუ, მუხედვად ამისა, ამ ი-მ ვერ გაძლო უმახვილო ხმოვნის შემდეგ, მთ უმეტეს ვერ გაძლებდა პრევერბისეული „მახვილიანი“ ხმოვნის შემდეგ. ამიტომ წყაობვა გაციანა, გაციანა არ შეიძლება გამართლებულად ჩაითვალოს.

მიჯნის ფაქტორით გამოწვეული მინიმალური წყვილები ვეფხისტყაოსანში და საერთოდ ქართულში მრავლად მოიპოვება. მეხატებების მთელი პოეზია არსებითად ამ ფაქტორით არის განპირობებული. საერთოდ წარმოთქმათა დიდი ნაწილი, რომლებიც სიტყვებად არის მიჩნეული, როგორც წესი, ემიჯნებიან ერთმანეთს ამ მოვლენის წყალობით. როგორც აღვნიშნეთ, /t/ თავს იჩენს პაუზებში, წინადადებათა შორის, სიტყვების მიჯნაზე და სიტყვის ფარგლებში, მორფემათა საზღვრებზე. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიტყვის მორფემები ან სხვადასხვა სიტყვები აუცილებლად /t/-ის მოვლენით უნდა იყვნენ ერთმანეთსაგან გათიშული. არის მთელი რიგი მორფემათა და სიტყვების შეხვედრის წერტილები, სადაც /t/ არ ისმის, მაგრამ ზოგ შემთხვევაში, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, /t/ ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანია, რომელსაც ფონოლოგიური ფუნქცია აქვს დაკისრებული. ასევეა ერთმანეთზე მიჯრით წართქმული ერთმარცვლიანი სიტყვები. ამიტომ რიტმისა და პროზოდის თვალსაზრისით სრულებითაც არ არის ერთი და იგივე ნახევარკარელი:

**იყიდიან, | გაჰყიდიან. || მოიგებენ, | წააგებენ**

სადაც თითოეული სეგმენტი შედგება ოთხმარცვლიანი სიტყვისაგან მახვილით ბოლოდან მესამე მარცვალზე: — 1 — — ან ბოლოდან მესამე და მეოთხე მარცვალზე: 1 1 — — ერთი მხრივ, და მეორე მხრივ სეგმენტი, რომელიც ოთხი თითომარცვლიანი სიტყვისაგან შედგება:

**რ ა ვჳნ, რ ა ვჳრ**

ან **მით არ ჳრ არ ვჳრ**

ან კიდევ **ჳნ მას ჳვან დან** და სხვ.,

სადაც შეიძლება ოთხი მახვილი გეჰონდეს: 1 1 1 1  
ლატენტური პაუზებით, რომლებსაც /t/ ქნის.

ამგვარად, იმისდა მიხედვით, თუ როგორი შემადგენლობისაა სეგმენტი, გეჰენება მახვილისა და ლატენტური პაუზების სხვადასხვაგვარი განაწილება მის ფარგლებში.

ერთმარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილი სეგმენტი შეიძლება გეჰონდეს ოთხი მახვილით: — 1 — —; ორმარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილი ოთხმარცვლიანი სეგმენტში გეჰენება ორი მახვილი 1 — 1 — —; სამმარცვლიანი და ერთმარცვლიანი სიტყვებისაგან შედგენილი სეგმენტში შეიძლება გეჰონდეს: 1 — — 1 ან 1 — — —; ერთი ორმარცვლიანი სიტყვისა და ორი თითომარცვლიანი სიტყვისაგან შედგენილმა სეგმენტმა შეიძლება ასეთი სახე მიიღოს: 1 — 1 1 ან 1 1 — — და ასე შემდეგ, იმდენი ვარიანტი, რამდენი შესაძლებლობაც არსებობს სხვადასხვა სილაბური სტრუქტურის მქონე სიტყვების საშუალებით ოთხმარცვლიანი სეგმენტის შესადგენად.

ამგვარად, ცხადია, რომ ვეფხისტყაოსნისა და საერთოდ ქართული პოეტური ნაწარმოების კითხვის დროს სიტყვები უნდა წავიკითხოთ ისე, როგორც ეს ჩვეულებრივია და ნორმალური ქართულისათვის, ბუნებრივი, მახვილებით, იმისდა მიხედვით, თუ როგორი სტრუქტურისაა სიტყვა:

**ნახეს ოცხო | მრუმე ვინმე || ჳან მტრალი ||**  
**წყლნა პირსა,**

**ჳვი ცხენი | სანდვითა || ჳყვან ლჳმსა და | ვითა**  
**გმირსა,**

და არა ფსევდო-ქორეებისა და ლატენტების გავლენით აღმოცენებული თეორიების საფუძველზე, სიტყვების განაწილებით არარსებულ „ტრეფებს“ შორის და არაბუნებრივი მახვილებით ბოლოდან პირველ მარცვალზე:

**ნახეს | ოცხო | მრუმე | ანმე || ჳან მტი | რალი |**  
**წყლნა | პირსა,**

**ჳვი | ცხენი | სანა | ვითა || ჳყვან ლომ | სან**  
**და | ვითა | გმირსა,**

ჩვენ დავინახეთ, რომ მახვილი კი არ განსაზღვრავს სეგმენტის სტრუქტურას, არამედ პირიქით, თითონ განაწილება სეგმენტის ფარგლებში იმისდა მიხედვით, თუ როგორი სტრუქტურისაა სეგმენტი. აქედან ცხადია, რომ სეგმენტებად და „ტრეფებად“ დანაწილებას მახვილი ვერ დაედება საფუძვლად. იგი მას აძლევს მხოლოდ ტემბრს, ექსპრესიულობას და სხვ. ისე, როგორც სეგმენტში შემავალი სხვა კომპონენტები: /t/ პაუზები, სხვადასხვა სტრუქტურის მარცვლები, სიტყვები და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ /t/ ბუნება მეტად რთულია და იცვლება მოსაუბრიდან მოსაუბრემდე და შემთხვევიდან შემთხვევამდე. კიდევ მეტი, ერთი და იგივე პირიკი შეიძლება სხვადასხვაგვარად იყენებდეს მას. ასე რომ არ იყოს, შემუშობული იქნებოდა, როგორც სამართლიანად აღნიშნავს H. A. Gleason-ი, ლეტერატურული ნაწარმოებების ჳპირი ინტერპრეტაცია და შერჩევა იმ ვარიანტისა, რომელიც წამკითხველს მიაჩნია ყველაზე შესაფერად მო-



ციმული კონტექსტისათვის. მაშინ მხატვრული კითხვა დაპყრობავდა ექსპრესიულიზმის და შეიცვლებოდა მექანიკური კითხვით, რადგან მისი განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა<sup>56</sup>.

8.1 რუსთველის ლექსის სტრუქტურული თავისებურება მეტად საყურადღებოა ლექსთწყობის თეორიის ერთი მეტად მნიშვნელოვანი საკითხის შესასწავლად. ეს არის პრობლემა მეტრისა და რიტმის მიმართებისა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ავტორს ეს პრობლემა დაეძვლებოდა და დრომოქმედულად მიაჩნა<sup>57</sup>, ლიტერატურაში ლექსთწყობის შესახებ დღემდე გრძელდება დია. მკვლევართა ნაწილსათვის ეს ერთი და იგივე ცნებებია, მაშინ, როდესაც სხვები რიტმსა და მეტრს მკვეთრად განარჩევენ ერთმანეთისაგან<sup>58</sup> და ამ განსხვავებას უღებენ საფუძვლად ლექსთწყობის საკითხების კვლევა-ძიებას<sup>59</sup>.

ზოგიერთი მკვლევარის<sup>60</sup> აზრით, რიტმი ისეთი მიმართებაშია მეტრთან, როგორც ალოფონი ფონემასთან, ე. ი. მეტრი არის ერთგვარი იდეალური სქემა, რომელიც ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ფაქტობრივად რეალისტული ელემენტებისაგან.

ამჟამად აქ არ შეეხებით ამ პრობლემის განხილვას. აღენიშნავთ მხოლოდ, რომ რუსთველის ლექსის ანალოზი, რომელიც ზემოთ არის წარმოდგენილი, აშკარად გვიჩვენებს, რომ ვეფხისტყაოსანში ერთი მეტრის ფარგლებში გვაქვს ორი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული რიტმი, რომლებიც კარგად სხვადასხვაგვარ სეგმენტაციაზე არიან დაყოფილებული. აქედან ნათელია, თუ როგორი ურთიერთობაა მეტრსა და რიტმს შორის ქართულში. ასეთი მიმართებები სხვაგვარად გვხვდება<sup>61</sup>, თუმცა, შეიძლება, არც ისე ჩამოყალიბებულად, როგორც ვეფხისტყაოსანში. ეს დაპირისპირება ლექსთწყობის ზოგიერთ სისტემაში ასე აშკარად გამოისახული არა ჩანს. შეიძლება იყოს ლექსთწყობის ისეთი სისტემები, სადაც საერთოდ არ არსებობდეს ასეთი დაპირისპირება. ამიტომ იქნებ უფრო მართებული იყოს, რომ საკითხი მეტრისა და რიტმის ურთიერთობის შესახებ სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვაგვარად გადაწყვიტოს, იმისდა მიხედვით, თუ ლექსთწყობის როგორი სისტემასთან გვაქვს საქმე. ყოველ შემთხვევაში რუსთველის ლექსში ამ მოვლენათა სხვადასხვა ხასიათი ექვს არ უნდა იწვევდეს.

9.1 რუსთველის ლექსისა და საერთოდ ქართული ლექსთწყობის სილაბური ხასიათი ბევრ მკვლევარს აღუნიშნავს<sup>62</sup>. ამჟამად, ვფიქრობთ, სადავო აღარ უნდა იყოს, რომ რუსთველის ლექსი არის არა *stress-timed rhythm* არამედ *syllable-timed rhythm* ე. ი. კლენციები, რომლებიც დახასიათდება მარცვალთა ტანდენციით გამეორებული იქნენ დროის ამა თუ იმ განზომილების ინტერვალებში, დამოკიდებულად იმისა, თუ რა რაოდენობა გვაქვს ბგერებისა მარცვალში ან რა რაოდენობა გვაქვს მახვილებისა სეგმენტებ-

ში<sup>64</sup>. ეს არის რეგულირებული სილაბური ტექნიკა, რადგან სავალდებულოა, რომ ნახევარკარდინალური გაიყოს ორ სეგმენტად, სულერთია, თანაბრად (4+4=8) თუ ოქროს კვეთზე, (3+5 ან 5+3=8). ამ მხრივ რუსთველის ლექსის სტრუქტურა ვაცილებით უფრო მეტად განვითარებული და რთული ჩანს, ვიდრე ფრანგული ექვსისა და დრამის დამახასიათებელი მეროიციული ალექსანდრიული ლექსისა, რომელიც უკვე 1180 წლის ახლი ნახებშია ჩამოყალიბებული და პოეზიის უმაღლესი დარგების კუთვნილებად ითვლებოდა მთელი საუკუნეების მანძილზე:

ალექსანდრიულ ლექსში<sup>65</sup> სავალდებულო არ არის, რომ თორმეტმარცვლიანი სტრიქონის ნახევარკარდი კიდევ დაწაფილდეს სეგმენტებად (შდრ. *je vois, je suis, je crois, || je suis désabusée, კორნელი*), თუმცა იქაც გვხვდება შემთხვევები, როდესაც ნახევარკარდი კიდევ ორად არის გაყოფილი სამ სამმარცვლიანი სეგმენტებად (რასინი), ან მთელი კარდის სამი ოთხმარცვლიანი სეგმენტისაგან შედგება (პიუგო). ზოგჯერ ცეზურა (მახვილით მეექვსე მარცვალზე) სულ ქრება ნახევარკარდელთა შორის ისე, რომ ელემენტობთ ერთ მთლიან, დაუნაწევრებელ კარდს (როდენბახი). გარდა ამისა არის შემთხვევები, როდესაც წმინდა სილაბური ფრანგული ლექსის კარდებში მარცვალთა რაოდენობა იცვლება<sup>66</sup> (ლფონტენი).

10.1 ვეფხისტყაოსნის ტექსტის ანალოზი, დამყარებული მთელი პოემის შესწავლაზე, საფუძველს იძლევა დაეასკენათ, რომ ერთეულები, რომლებიც საფუძვლად უდევს რუსთველის ლექსის ზომას და ქმნიან პროზორიულ მიმართებათა დიდ რაოდენობას, მსგავსად ზოგიერთი სხვა ლექსთა სისტემების<sup>67</sup>, ამჟღავნებენ მკიდრო კავშირს მეტრიკულ-გრამატიკულ ელემენტთა შორის. სტროფის საზღვარი ემთხვევა პოემის თემატიკურად და კომპოზიციურად დამთავრებულ ნაწილს<sup>68</sup>, კარგი მთავრდება იქ, სადაც მთავრდება წინადადება ან ფრაზა, თუნდაც იგი კომპონენტური წინადადება იყოს, ე. ი. უფრო რთული წინადადების შემადგენელ ელემენტს წარმოადგენდეს, ხოლო სეგმენტის საზღვარი, როგორც წესი, ემთხვევა სიტყვის საზღვარს. მთელ ამ რთულ მიმართებებს მარცვლების, სიტყვების, სეგმენტების, კარდებისა და სტროფების შორის საფუძვლად უდევს სიმეტრია და „ღვთაებრივი პროპორცია“, რომელიც ვეფხისტყაოსანში სრულყოფილების საზღვარს აღწევს.

ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს მათემატიკოსს H. Weyl-ს თავის ცნობილ შრომაში სიმეტრიის შესახებ მოჰყავს პოეტი ქალის ანა ვიკჰამის (Anna Wickham) სიტყვები:

„ღმერთო, შენ დიდი სიმეტრია! რომელმაც შთაძღ მწველი ენებანი, საიდანაც ჩემი სევდა წარმოიღინდება,



ნიველად ყველა დაკარგულ დღეთა, უსახურ ვხვებზე რომ დამიხარავს, მომეც მე ერთი სრულყოფილი რამა<sup>69</sup>.

რუსულენოვან პოეზიაში მოგვცა ჩვენ სრულყოფილი სიმეტრია, მსგავსად იმისა, როგორც ტიციანმა, რაფაელმა და ლეონარდო და ვინჩიმ მხატვრობასა და საერთოდ, ხელოვნებაში, და ახლა, როდესაც ეს სრულყოფილება გამოვლენილია, ქართველი პოეტის ადგილი მსოფლიო პოეზიის ისტორიაში სრულებით განსაკუთრებულად გვესახება.

**შენიშვნები:**

1 რუსულენოვან ლექსის შესახებ იხ. **ს. გორგაძე**, ქართული ლექსი, თბილისი, 1930; **კ. ჭიჭინაძე**, ვეფხისტყაოსანი (გამოცემისათვის დართული გამოცემა); 1934, გვ. 304, შმდ: **კ. ბერძენი**, შოთა შატერიაშვილის, ნინოჭის მოთხე, 111, 1938, გვ. 167 შმდ; **კ. ბერძენი**, ქართული ლექსის ბუნებისათვის, მნათობი, 1944, 3, გვ. 142-143; **ა. გაწერელია**, ქართული კლასიკური ლექსი, თბილისი, 1953; **ს. გაჩეჩილაძე**, ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბილისი, 1953, გვ. 338-339; **ბ. ინგოროვა**, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 539 შმდ; **შ. ლდონიძე**, ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის სპეციფიკურობის პრობლემა, სოხუმი, 1961; **აღ. ბარამიძე**, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბილისი, 1966, გვ. 354-358; **ს. ცაიშვილი**, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბილისი, 1966, გვ. 116 შმდ; **გ. გაჩეჩილაძე** *Грузинский стих в сопоставительном плане*, Литературная Грузия, 9-16, 1969, გვ. 139 შმდ; 11-12, 1969, გვ. 106 შმდ; იოსებ, ქართული ლექსი ინგლისურთან შედარებით, მნათობი, 10, 1970, გვ. 145 შმდ; **ა. ხინთიბაძე**, ვეფხისტყაოსნის პოეტრიკა, თბილისი, 1969; **ა. პლიაია**, ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები, თბილისი, 1971, გვ. 496; **გ. ჩხლაძე**, საქართველოს ისტორიული სამყარო, 1966; ადრინდელი გამოცემების (1955 წლამდე) სრული ბიბლიოგრაფია იხ. **გ. იმედაშვილის** შრომაში, რუსთაველოლოგიური ლიტერატურა, თბილისი, 1957.

2 ვეფხისტყაოსნის სხვადასხვა გამოცემაში სტროფების შემაჯდებლობა ასეთია: **ვახტანგის** გამოცემა, 1712 წ. — 1587; **ბ. ბროსი**, **წ. ფლავიანიშვილი**, და **ჩუბინოვი**, 1841—1637; და **ჩუბინოვი**, 1846—1637; და **ჩუბინოვი**, 1860 — 1593; **გ. ქართველიშვილი**, 1888 — 1576; და **კარქაშვილი**, 1903: — 1576; **ს. კავთახაძე**, 1913 — 1761 (+ 598 ჩანართი სტროფები); **ი. აბულაძე**, 1914: — 1519 (+ 5 ჩანართი სტროფები); და **კარქაშვილი**, 1920: — 1576; **ი. აბულაძე**, 1926: — 1526 (+ 32 ჩანართი სტროფები); **ს. კავთახაძე**, 1927: — 1553 (+ 53 ჩანართი სტროფები); **კ. ჭიჭინაძე**, 1934: — 1745; სათუბილო გამოცემა, 1937: — 1669; **ს. ინგოროვა**, 1953: — 1669; **ს. ყუბანეიშვილი**, 1956: — 2126 + 102 ვარიანტებისა და ჩანართის ჩაიღლი; 1957: — 1669; **ბ. წერეთელი**, 1963: — 1224; **გ. წერეთელი**, **ი. აბაშიძე**, 1966 — 1587; სათუბილო გამოცემა, 1966: — 1587; **ა. შანიძე**, **აღ. ბარამიძე**; 1960: — 1598; **ბ. ინგოროვა**, 1971: — 1511+15+2.

3 ვეფხისტყაოსნის გამოცემაში სტროფული შემაჯდებლობის შესახებ იხ. **სოფ. ყუბანეიშვილი**, ვეფხისტყაოსნის ბეჭდვის ისტორიდან, თბილისი, 1966; **ს. ცაიშვილი**, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. 1-11, თბილისი, 1970.

4 ვეფხისტყაოსანი, ტექსტი მოამზადეს გამოსცემად **გიორგი წერეთელმა**, სარგის ცაიშვილმა, გურამ კარტოიამ; რედაქტორები: **გიორგი წერეთელი**, **ირაკლი აბაშიძე**, თბილისი, 1966.

5 ამ გამოცემას ეწყობა არსებითად 1966 წლის სათუბილო გამოცემა, რომელშიც მტკობრივი ცვლილებებია შეტანილი.

6 ქართველი აქ ნახშირია სტრაჰონის (ლათ. *versus*) ირანულ ნახშირსა და შემდეგ ასტროქონის, ასტროქონის (სტრუქტურა) სისა, რუს. *СТНХ*) აღნიშნავად, რისთვისაც არაბულში გამოყენებულა არქიტექტურული ტერმინი *bayt* (*bayt*) „სახლი“, ხოლო სპარსულში *xāna*. ამ სპარსულ ტერმინს (ხანა) ზოგიერთი ავტორი უმარბეთულად ხმარობს ქართულში სტროფის მნიშვნელობით. ხანა (*xāna*) სპარსული თარგმანია არაბული ბაჰათის (ბეთ-ისი) (*bayt*) და „სახლს“ ნიშნავს (შღრ, ჩან-ხანა „ჩანის სახლი“, აყა-ხანა „აყვის სახლი“, ქარხანა „სახლშეი სახლი“, „ფაზრიკა“ და სხვ.). არაბულ *bayt*-ის პირვანდელი მნიშვნელობა იყო კარგი, რომლის შესასვლელი ორი ნახევარი კარსავან შედგებოდა. ამიტომ *bayt*-ი ამ მნიშვნელობით იქნა გამოყენებული *‘arud*-ში (მეცნიერებაში ლექსთწყობის შესახებ) როგორც ტექნიკური ტერმინი სტრაჰონის (ლათ. *versus*) აღნიშნავად. ნახევარი სტრაჰონისათვის იხმარებოდა აგრეთვე არქიტექტურული ტერმინი *misra*, რაც „სადღეს“, „ნახევარ კარს“, „ნახევარ კარს“ ნიშნავს. სპარსულში ეს ტერმინი უმეტეს შემთხვევაში პირდაპირ ვადგენს არაბულად, ხოლო ზოგჯერ თარგმნის (არაბ *bayt*, სპარს. *xāna* „სახლი“ და როგორც ლექსთწყობის ტერმინი — „სტრაჰონი“).

7 აქედან ცხლად, რომ ხანა ტერმინის ხმარება სტროფის მნიშვნელობით გაუგებრობის შედეგია.

8 სიმეტრიის შესახებ საერთოდ იხ. **В. И. Вернадский**, *Химическое строение биосферы земли и ее окружения*, Москва, 1965, გვ. 174, შმდ; **А. В. Шубников**, *Симметрия (законы симметрии и их применение в науке, технике и прикладном искусстве)*, Москва, 1940; მისევე; *Симметрия и антисимметрия конечных фигур*, Москва, 1951; *Module, Proportion, Symmetry, Rhythm*, Edited by György Kepes. New York, 1966; **H. Weyl**, *Symmetry*. Princeton University Press, 1952. რუსულ თარგმანი, მოსკოვი, 1968; სიმეტრიის შესახებ ლექსთწყობაში იხ. **Roman Jakobson**, *The Modular Design of Chinese Regulated Verse*. *Echanges et communications. Mélanges offerts à Claude Lévi-Strauss*, Mouton, p. 597.

9 ტერმინის შესახებ იხ. **А. В. Шубников**, *Симметрия и антисимметрия конечных фигур*, გვ. 31, შენიშვნა 1.

10 **ჭ. ჩხრ** კიდევ 1910 წ. **Б. შარა** გაყვით აღნიშნა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე (იხ. *Вступительные и заключительные строфы Витязя в Барской коже Шоты из Руставы*, ბეტრებურე, 1910, გვ. 21-22), რომ დაბალ შაირში გაეკეს „დაყოფა ხუთ- და სამმარცვლიან ტერმებად“. ხოლო მაღალ შაირში „ოთხმარცვლიან ტერმებად“. ასეთივე დაყოფა აქვთ მოცემული **ს. ინგოროვას** (გ. მერჩულე, გვ. 562, 568), **გ. გაჩეჩილაძის** (მნათობი, 10, 1970, გვ. 154), *Литературная Грузия*, (9-10, 1969, გვ. 106) და მთელ რიგ სხვა ავტორებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღეს საყოველთაოდ მიღებულად ითვლება, რომ „დაბალი შაირის საფუძველი სამმარცვლიან ტერმე, მაღალი შაირის ტერმე ორმარცვლიანია“ და რომ დაბალ შაირში „სიტყვები დაჯგუფებულია სამ- და ორმარცვლიან ტერმებად“ (**აღ. ბარამიძე**, *შოთა რუსთაველი და მისი პოემა*, 1966, გვ. 355. **შღრ**, აგრეთვე **ბ. ბერძენი**, ქართული ლექსის ბუნებისათვის, მნათობი, 3, 1944, გვ. 142-143; **ს. გაჩეჩილაძე**, ლიტერატურისმცოდნეობის საფუძვლები, თბილისი, 1953, გვ. 338-339).

11 ასეთი შემთხვევა მხოლოდ ერთია, რაც ამჟამად დარღვევაა (იხ. ქვემოთ).

12 **შღრ**, **გ. გაჩეჩილაძე**, მნათობი, 1970, 10, 148, შმდ.

13 **O. Hagenmaier**, *Der Goldene Schnitt. Ein Harmoniegesetz und seine Anwendung*. Heidelberg and Berlin, 1958, გვ. 5 შმდ.

14 **O. Hagenmaier**, *Der Goldene Schnitt. Ein Harmoniegesetz und seine Anwendung*. Heidelberg and Berlin, 1958



გვ. 14; იხ. აგრეთვე გ. C. M. Кокстер, Введение в геометрию; 1966, თავი Золотое сечение и фибонакис, გვ. 236-252.

<sup>12</sup> ამის შესახებ იხ. H. E. Timerding, Der Goldene Schnitt. Mathematisch-Physikalische Bibliothek, herausgegeben von W. Lietzmann und A. Witting, 32, Leipzig und Berlin; რუს. თარგმ. Золотое сечение, პეტროგრადი, 1924, გვ. 11 შუბ.

<sup>13</sup> Drudenfuss „ჯაღოქრის, ექლიანი ქალის ტერტიჟი“ ასეთა პეტრაგრაძის სინონიმად იხმარება.

<sup>14</sup> Goethes Werke, herausgegeben von K. Heinemann. 5. Band, bearbeitet von O. Harrnack, Leipzig und Wien, S. 71 (1393-1402).

<sup>15</sup> ამის შესახებ იხ. Siegfried Heller, Die Entdeckung der stetigen Teilung durch Pithagoreen. Abhandlungen der Deutschen Akademie der Wissenschaften zu Berlin. Klasse für Mathematik, Physik und Technik. 6. Berlin, 1958.

<sup>16</sup> Euclidis Elementa, ed. J. L. Heiberg, V. Leipzig 1988.

<sup>17</sup> S. Heller, op. cit. S. 6.

<sup>18</sup> S. Heller, op. cit., S. 5.

<sup>19</sup> ენობლია, რომ  $\frac{11}{8}$ -ის სახის წილადები, რომლებიც შე-

ესატყვისებიან მცენარის ღეროზე ფოთლების ხრახნისებრ განაწილებას, წარმოადგენს ფიბონაჩის რიგებს, რომლებიც მიიღება ირაციონალური რიცხვის  $\frac{1}{2}(\sqrt{5}-1)$  დაყოფისაგან უწყვეტ

წილადებად. იხ. H. Weyl, Symmetry. Princeton University Press, 1952. რუს. თარგმანი, მოსკოვი, 1968, გვ. 98-99. ოქტონის კვების პროპორციას ხელაღწევი ადამიანი სხეულის აგებულებაში, მცენარეთა სტრუქტურაში და, საერთოდ, ბუნების ბევრ ქმნილებაში.

<sup>20</sup> Zeising, Die neue Lehre von den Proportionen des menschlichen Körpers, Leipzig, 1854.

<sup>21</sup> P. H. Schofield, Theory of Proportion in Architecture, 1958.

<sup>22</sup> H. E. Timerding, op. cit., S. 66 f.

<sup>23</sup> O. Hagenmaier, op. cit., S. I f.

<sup>24</sup> Ernő Lendvai, Duality and Synthesis in the Musik of Béla Bartók. Module, Proportion, Symmetry, Rhythm, edited by Gyorgy Kepes, New York, 1966, p. 174-193. ზ. ბარტოკთან გვაქვს შეფარდება: 1. ლიტმოტივი—3+5=8 (მსგავსად ვეფხისტყაოსნის დაბალი შაირის); 2. მთავარი თემა—5+8=13; 3. შორალი თემა—13.21 (შე. E. Lindvai, გვ. 177).

<sup>25</sup> The Modulor, A Harmonious Measure to Human Scale Universally Applicable to Architecture and Mechanics by Le Corbusier. Translated by Peter de Francia and Anna Bostock, London, mcmlxiii.

<sup>26</sup> O. Hagenmaier, op. cit., S. 39.

<sup>27</sup> ვეფხისტყაოსნის ეანრის განსაზღვრისათვის იხ. აღ. ბარამიძის ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. V. თბილისი, 1971, გვ. 67-90; აგრეთვე მისევე, შოთა რუსთაველი და მისი პოეზია, თბილისი, 1966; ს. ცაიშვილი, სს. ნაშრ.

<sup>28</sup> ამის შესახებ იხ. ა. ვაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, თბილისი, 1953, გვ. 246, შობ.

<sup>29</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფილაზე ბეთლემის საგლობელი (იხ. ნ. მარი, Вступительные и заключительные строки, გვ. VI) არ არის დაბალი შაირი, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს. ეს არის თექვსმეტბოლოანი ლექსი, აგებული ოთხმხრივლიან სვეტებზე (4+4+4+4=16), მსგავსად მაღალი შაირისა, მაგრამ მისგან განსხვავებით, არ არის

სტროფებად დაყოფილი და ატარებს თავიდან ბოლომდე (ყველა მუსიკალურ სტრუქტურაში) სავალი, ერთმარცხლიან რითმს. მისი რითმის გარეგანი ასპექტები, რომლებიც ატარებენ ეს არაბული ლექსისათვის იყო დამახასიათებელი. შობ.

**ფსონტა მთავან | ოქროვანთა | შემეკული ხარ | შენ ქალწულო, იაკონე | ძირველი | სამისოდ და ვაქუს | ღმობის-შობობლო, ღამართა მით | ბრუნვანადიათა | მოცეგებით | დიდოვალლო და სხვ.**

ასევე ვერ კიდევ არაა მოღიანად ნათელი თამარისში ჩართული ლექსი (თამარ წუნარი, შესაწუნარი და სხვ.) მაღალი შაირით ნაწერი 16-მარცხლიანი სტროფაა, თუ ერთმარცხლიანი ლექსი. ამის შესახებ იხ. ს. ცაიშვილი, ლიტერატურული წერილები, 1966 წ., გვ. 184; შობ. ა. ვაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, გვ. 247-248.

<sup>30</sup> პროკლეს ფილოსოფიისა და მათემატიკის შესახებ იხ. ამჟამად Stanislas Breton, Philosophie et mathématique chez Proclus, suivi de principes philosophiques des mathématiques d'après le commentaire de Proclus aux deux premiers livres des Elements d'Euclide par N. Hartmann, traduit de l'Allemand par Geneviève de Pesloüan, Paris, Beauchesne, 1969.

<sup>31</sup> იოანე პეტრიწის შრომები, შ. ნუსხებისა და ს. ყუხუხიშვილის გამოცემა, ტ. I, პროკლ დიალოზისისა პლატონური-ისა ფილოსოფიისა კეპორნი, თბილისი, ტ. II, განმარტება პროკლეს დიალოზისისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის, თბილისი, 1937.

<sup>32</sup> იოანე პეტრიწი, ტ. II, გვ. 219; შობ. აგრეთვე გამოცემულთა შენიშვნა, ტ. I, გვ. XVIII, 86 შუ.

<sup>33</sup> Ф. Успенский, Очерки по истории византийской орфографии, Петербург, 1891, გვ. 159, 174.

<sup>34</sup> ი. პეტრიწი, შრომები, I, წინასიტყვაობა, გვ. XIII, ტექსტი, 11, 215-224.

<sup>35</sup> ამის შესახებ იხ. ვ. ბერიძე, შოთას პოეტიკისათვის, ენისტიკაში, 111, 1938, გვ. 169.

<sup>36</sup> ამასთან დაკავშირებით საფიქრებელია, რომ ოქროს ევფესი იყოს აგებული მცხეთის სიონი და ბაგრატის ტაძარი, ყინფისის ანგლოსი და ქართული ხელოვნების სხვა ძეგლები, რომელთა სიმეტრია მკვლევართა ატყუბებს იწყებს. ამ კითხვას ალბათ ჩვენი ხელოვნების ისტორიკოსები გასცემენ პასუხს.

<sup>37</sup> Ernő Lendvai, სს. ნაშრ., გვ. 189.

<sup>38</sup> ზღმდები არ იქნება ამ მხრივ ვეფხისტყაოსანი შევადართო მთლიანი ლიტერატურის სხვა ძეგლებს.

ვეფხისტყაოსნის 1587 სტროფის 6348 სტრიქონში გვაქვს 41.900 სიტყვა (სიტყვები აქვს და სხვაგანაც გამოთვლილი ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენი კომისიის თანამშრომელთა მიერ ჩვენი ხელმძღვანელობით), ნაწარმოებთ დაახლოებით 8000 სალექსიკონო ერთეულსკან (სალექსიკონო ერთეულების რაოდენობა მოგვყავს შ. ლლონტის წიგნის მიხედვით) ე. ი. სიტყვათა მხარების სიხშირე უდრის დაახლოებით 5,25-ს.

დანტეს „ღვთაბერივი კომედია“ (ცნარებლობით გამოცემით Dante Alighieri, La Divina Commedia, commentata da G. A. Scartazzini, sesta edizione riveduta e corretta da G. Vandelli, col rimario edizione di L. Polacco, Milano, 1911) შედგება სამი ნაწილისაგან: 1. Inferno (რომულში არის XXXIV canto), 2. Purgatorio (XXXIII canto) და 3. Paradiso (XXXIII canto). ეს სამი კანი შეადგენს 14.233 კარეს და ჩვენი გამოანგარიშებით მოიცავს დაახლოებით 100.000 სიტყვას.

მაგალი ალექსის ტექსტების (მხედველობაში გვაქვს ეზრათა ორგანილი) 23.100 მუსულებში ნახშირია დაახლოებით 300.000 სიტყვა, შედგენილი 7.500-8.000 ერთეულსკან (არა მარისიდან, არამედ სალექსიკონო ერთეულსკან), ე. ი. სიტყვის ხარისხის სიხშირე უდრის 35-40-ს.





ბოლოს ინგლისურ თარგმანში ნახშირია ნახევარ მილიონამდე სიტყვა. ებრაულ დღდასთან შედარებით სიტყვების ასეთ სიმაკლეს ხსნიან ამ ენის ანალიტიკური ხასიათით.

ყურანის 6.200 მუხლდში (ააშო) E. Ullendorff-ის გამოანგარიშებით იხმარება 77.934 სიტყვა, ნაწარმოები 2.000 ძირისაგან.

შექსარის ნახშირი აქვს ერთ მილიონამდე სიტყვა (იხ. E. Ullendorff, Is Biblical Hebrew a Language? BSOAS, vol. xxxiv, part 2, 1971, pp. 243-244).

39 მაღალ შვირში არის შემოხვევა ხუთი ერთმარცვლიანი სიტყვის ერთმანეთზე მიკრით ხმარებისა 1 1 1 1 1 (1778,4), მაგრამ აქედან ერთი მომდევნო სემანტის კუთვნიის, ისე რომ სინამდვილეში აქ ოთხმარცვლიანი სემანტი გვაქვს.

40 მახვილის შესახებ ქართულში იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 127 შმდ.; ა. გაწერლია, ქართული კლასიკური ლექსი, გვ. 111 შმდ.; ს. თლანტი, ქართული სალიტერატურო ენის აქცენტუაციის ძირითადი საკითხები. იბერულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IV, 1953, გვ. 125 შმდ.; ა. აღმაშვილი, Порядок слов и интонация в простом повествовательном предложении грузинского языка. Фонетический сборник, Н. Vogt, Grammaire de la langue Géorgienne, Oslo, 1971, pp. 15-16.

41 როდესაც ვამბობთ „მინიმალურიზა“, ვგულისხმობთ, რომ ზოგჯერ იგი ერთგვარად ექსპრესიულბოძის აძლევს წარმოთქმას და გარკვეულ როლს თამაშობს მიჯნის, ტემპრის, ტემპისა და სხვ. ფაქტორებში. სხვა მხრივ შეიძლება ითქვას, რომ მისი ფუნქციონალური დატვირთვა ნელს უდრის.

42 ასეთი წარმოთქმის არახუნებრივობა ყოველთვის იგრძნობა და არ შეიძლება იგი ქართული ენობრივი შეგრძნებისათვის (Sprachgefühl) მისაღებად ჩათვალოს. მიუხედავად ამისა, ქართული ლექსთწყობის ზოგიერთ მკვლევარს შესაძლებლად მიიჩნია, რომ მახვილი უადგილო ადგილას დასვას ისე, რომ ვერა გრძობს უხერხულობას. ამის მიზეზია სწორედ მახვილის უმნიშვნელო როლი ქართულში.

43 ს. თლანტი, ხს. ნაშრ., გვ. 146.

44 იხ. G. Herdan, The Mathematical Theory of Verse. Zeitschrift für Phonetik, Sprachwissenschaft und Kommunikationsforschung, B. 22. H. 3, Berlin, 1969, S. 226.

45 ჩეხური, რუსული და ინგლისური მასალები მოგვყავს Herdan-ისა (ხს. ნაშრ., გვ. 226) და J. Levy-ს მიხედვით (იხ. J. Levy Kombinacni možnosti verse. Ceskoslovenska Rusistika VII, 1962, 2, p. 77 შმდ.).

46 G. Herdan, ხს. ნაშრ., გვ. 226.

47 იხ. H. Vogt, Structure phonémique du Géorgien. Etude sur le classement des phonèmes et des groupes de phonèmes. Norsk Tidsskrift for Spragvidenskap, Bind XVIII, Oslo, 1958, § 86; ქართული თარგმანი, თბილისი, 1961, გვ. 73.

48 ეს საკითხები კარგადაა შესწავლილი H. Vogt-ის ბრწყინვალე გამოკვლევაში ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის შესახებ, საიდანაც მითხველს შეუძლია სრული წარმოდგენა იმონის თანმიმდევრით დისტრიბუციის შესახებ. სპეციალურად ზმერთი ფუძეების ფონოლოგიური სტრუქტურის საკითხები დეტალურადაა განხილული ფ. ერთელშვილის ნაშრომში: ზმერთი ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები. ქართულში, თბილისი, 1970.

49 იხ. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949, გვ. 51.

50 ალტერაციის შესახებ ვე: ისტორიასში იხ. კ. ტენენაძე.

51 მიჯნა (juncture), რა თქმა უნდა, სულ სხვა მოვლენაა, ვიდრე ბგერათ შეერთების წყესები (sound-junction), რომლებიც ფონეტიკის სახელმძღვანელოებში არის ხოლმე განხილული.

52 B. Bloch and G. L. Trager, Outline of Linguistic Analysis, Baltimore, 1942, 34.

53 G. L. Trager and B. Bloch, The Syllabic Phonemes of English, Language, 17, 1941, 224.

54 G. L. Trager and B. Bloch, იქვე, 226.

55 Robert T. Harms, Introduction to Phonological Theory, New Jersey, 1968, p. 111.

56 H. A. Gleason, An Introduction to Descriptive Linguistics, New York, 1956, გვ. 44-45; რუსული თარგმანი, მოსკოვი, 1959, გვ. 83 შმდ.

57 John Hollander, The Metrical Emblem. Style in Language, edited by Thomas Sebeok, Cambridge, 1966, p. 191 (The old and by now outmoded distinction between „meter“ and „rhythm“).

58 შტრ. L. Klages, Vom Wesen des Rhythmus, 1931; B. Hrushovski, On Free Rhythms in Modern Poetry. Style in Language, p. 178 შმდ.

59 მეტრისა და რიტმის განსხვავების თავგამომდებელი დამკვირვებელი იხ. ა. გაწერლია, ქართული კლასიკური ლექსი, გვ. 136 შმდ.

60 H. Whithall, Style in Language, p. 201.

61 B. Hrushovski, op. cit., p. 179.

62 ქართული ლექსის სილაბური ხასიათის შესახებ იხ. ა. ვ. ფეოდოროვი (A. В. Федоров) О путях и средствах передачи грузинского стиха. Грузинская романтика, Ленинград, 1940, გვ. 227-228); გ. გაჩილაძე, მნათობი, 10, 1967, გვ. 145 შმდ. იქვე ლიტერატურა; სხვადასხვა ავტორთა შეხედულებანი ამ საკითხებზე დაწერილბოძითა განხილული ა. გაწერლია (ქართული კლასიკური ლექსი, გვ. 38) და გ. გაჩილაძის (ხს. ნაშრ., გვ. 150, შმდ.) გამოკვლევებში.

63 K. L. Pike, Phonemics, Ann Arbor, 1966, p. 147, 250-2.

64 მეტრულ ტიპოლოგიის შესახებ იხ. John Lotz, Metric Typology. Style in Language p. 135 შმდ.

65 აღმსანდრედული ლექსის შესახებ იხ. Л. Поливанов, Русский Александрийский стих. წიგნი Гофляя (Athalie) трагедия Ж. Расина, მოსკოვი, 1892, გვ. XVI; დრანგული ლექსის შესახებ Lr. t. I.

66 R. Jakobson, op. cit., p. 598.

67 V. Zhirmunski, The Versification of Majakovski, Poetics, II, Mouton, 1966, p. 217-218.

68 აკ. გაწერლია, ხს. ნაშრ., გვ. 201.

69 God, Thou great symmetry,  
Who put a biting lust in me  
From whence my sorrows spring,  
For all the frittered days  
That I have spent in shapeless ways  
Give me one perfect thing.



# კანსუნი ნიკოლოზ ჭიაურელი

გიორგი გოგიჩაძე

გამომგონებელი წიგნების ავტორები ყოველთვის მოუთმენლად ელიან სპეციალისტთა სამართლიან და დასაბუთებულ კრიტიკას. ჩემი წიგნი — „ქართული ენის თავისებურებანი და სასიმღერო ხმის დაყენება“ 1969 წელს გამოქვეყნდა და მხოლოდ 1971 წელს იქცა კრიტიკის საგნად. ეს მისია თავს იღო ნ. ჭიაურელმა წერილში „ქართული ენისა და სიმღერის ურთიერთდამოკიდებულებისათვის“ („საბჭოთა ხელოვნება“, 1971 წ., № 8).

ბუნებრივად იბადება კითხვა: რამდენად კომპეტენტური პიროვნებაა ნ. ჭიაურელი იმისათვის, რომ იმსჯელოს ისეთ სპეციფიკურ საკითხზე, როგორცაა სასიმღერო ხმის დაყენება? ნ. ჭიაურელს ერთხელაც არ უუჩინია ის განსხვავება, რომელიც სამეტყველო და სასიმღერო ხმოვანთა შორის არსებობს. ნ. ჭიაურელი არ არის სპეციალიზით პედაგოგი-ვოკალისტი.

ვფიქრობთ, რომ უკვე ეს ფაქტი სადავოდ ხდის ნ. ჭიაურელის მოსაზრებებს ჩემი წიგნის მიმართ. მიუხედავად ამისა, ჩვენ უუაროდებოდ მაინც არ დავტოვებთ ნ. ჭიაურელის მიერ წამოყენებულ მთელ რიგ ბრალდებებს.

ნ. ჭიაურელს უკვირს: რატომ არ შეიძლება სამეტყველო ხმოვნების გამოყენება პროფესიულ სიმღერაში? წიგნში ეს საკითხი საკმაოდაა გაშუქებული, მაგრამ იძულებული ვართ მაინც მივუთითოთ მას სათანადო ლიტერატურაზე — სახელდობრ, რამდენიმე საუკუნის წინ დაწერილ კანონის, მანრილის, ტონის, გარსიას, ლამპერტისა და სხვათა კლასიკურ შრომებზე. ნ. ჭიაურელი წერს: „აი ამ აზრისა გახსნაზე გოგიაძე ქართულ ხმოვანებზე, ე. ი. მეტყველების იმ ბერებზე, რომლებზეც მთლიანად და სასეზებით დამყარებულია სასიმღერო ხელოვნება“ („საბჭოთა ხელოვნება“, 1971 წ., № 8, გვ. 24). პროფესიული სახის სიმღერა სამეტყველო ხმოვნებს კი არ ემყარება, არამედ ვოკალურ ხმოვნებს. თუ ამ მეკეტარ განსხვავებას არ გავივალთ წინაშე, მაშინ ჩვეულებრივი მეტყველება და პროფესიული სიმღერა ერთი და იგივე იქნებოდა. მაშინ ყრუმუნჯთა გარდა ყველა ვახდებოდა პროფესიონალი-მომღერალი. ამიტომ აღნიშნულ საკითხზე დავა უხერხულადაც კი მივავჩინა.

იმავ გვერდზე ნ. ჭიაურელი გვეკითხება: „მამ როგორ მოვიქცეთ ამ „მიუღებელი“ ქართული ბგერების მიმართ, როგორ ვაქციოთ ისინი სიმღერისათვის ვარჯისად?“. ამ შეკითხვით კრიტიკოსს სურს დააჯეროს მეკითხველი, რომ მე ქართულ ხმოვნებს „უვარჯისად“ ვთვლი, ოღონდ სად, მეტყველებაში თუ სიმღერაში? — ამას არ აზუსტებს. თუ მომღერალი ამ გამოყენებულ ვოკალურ ხმოვნებს, რომელთაც უნდა ექნეთ გარკვეული გრძობა, სიმალე, სიმღიერე... და მთლიანად დაემყარება სამეტყველო ბგერებს, მას სიმღერა კი არა, მეტყველება გამოუვა, იგი სიმღერის მაგიერ ილაპარაკებს. რაც შეეხება ნ. ჭიაურელის კითხვას, თუ როგორ ხდება ვოკალური ხმოვნების გამომუშავება, ამისათვის საჭიროა სიმღერის შესწავლა, ვოკალური პედაგოგიის საფუძვლების ცოდნა. ჩემი წიგნი განკუთვნილია პედაგოგ-ვოკალისტთა და მოსწავლე-სტუდენტთათვის, რომლებიც ენერჯივანა ვოკალური პედაგოგიის სპეციფიკაში და, ამდენად, მათთვის მისაწვდომი ხდება ჩემს მიერ აღწერილი ვოკალური ხმოვნების გამომუშავების პროცესი.

იმავ გვერდზე ნ. ჭიაურელი გვთავაზობს ყოველად მიუღებულ დასკვნას: „მაშასადამე, საჭირო ყოფილა ქართულ „ს“-ს რუსულის მსგავს ბგერად გარდაქმნა“. ე. ი. თითქოს მე ქართული ენა შემყავს ევროპულ ენათა წრეში და ამ გზით მუსკა „გაეგაფეთღებობილა“ ჩვენი დედენა. ჩემს წიგნში თუ სხვა ვინმე მიავნებს ამის დამადასტურებელ ერთ სიტყვას მაინც, მაშინ საჯაროდ ვალიარებ ამ უაღრესად დიდსა და გამოუსწორებელ შეუღობას. მაგრამ ეს აშკარა ცილისწამებაა პატრიცეზული კრიტიკოსის მხრიდან.

პირაქით, წიგნის 21-ე გვერდზე, აკადემიკოს გ. ახვლედიანის ფონეტიკური ანალიზის საფუძველზე დაყრდნობით, მე ვწერ: „...დებულება იმის შესახებ, რომ ქართული ხმოვანი პ უფრო ნათელი და ღია ელერაობისაა, ვინმე რუსული ს, შეგვიძლია, დასაბუთებულად ჩაითვალოს“.

იმავ გვერდზე ნ. ჭიაურელი მომყავს ციტატა ჩემი წიგნიდან: „...თუ კარგად არ იქნა გარკვეული და დადგენილი ზოგადი იმის წინააღმდეგობა, რომლებიც ამ ორი

(ქართული და რუსული) ენის ფონეტიკურ თავისებურებათა შორის არსებობს, შეიძლება პედაგოგიკა-გოგალისტრად დაუშვას ისეთი უხეში შეცდომები, რომელთა გამოსწორება ყოველთვის როდი იქნება შესაძლებელი“ (გვ. 53). როცა, აქ ლაბარაკია იმ ზოგიერთ დაუშვებელ შეცდომასზე, დიდაკ სასიმღერო ხმის დაყენების პროცესში ქართულ ხმოვნებს უკარგავდნ მათთვის დამახასიათებელ ფონოლოგიურ-აუსტრალიურ თვისებებს, რის შედეგადაც მოსწავლე-გოგაბატარები მღერის რუსული აქცენტით. მე სწორედ ამის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ 5. ჭიკაურელმა ეს უკუბრუნა გოგო.

შემდეგ კი 5. ჭიკაურელმა თავს იღო „პრაქტიკული თვალსაზრისით“ დაედგინა და გადააწვრიბა, თუ „რა გმართება ხმოვნებს სიმღერის დროს“. მან მიიზიდა და განეხილა სხვაგვარად სწავნი „ს“-ს ქვერადობა ლენსკის ცნობილ ხედაზში — «В нашем доме» და მალხაზის არიაში „თავი ჩემო“. ახლა ენახთ რა მოჰყავს ასეთ „გამოკვლევებს“. 5. ჭიკაურელმა „ადვილად“ შეაჩინა, რომ ლენსკის არიაში „ს“-სთვის ქვერს უფრო წინ და ნათლად, ხოლო „მალხაზის“ „ს“-ს კი მართლაც „ო“-ს ელფერი გადააკარგავს... ასეთი პრიმიტიული წესითა და სიმეცხურით სურს 5. ჭიკაურელს ამოხსნას ის ობიექტური ჭეშმარიტებები, რომლებიც ემბო ქართული და რუსული სამეცნიერო ბეგრების ფონოლოგიურსა და აუსტრალიურ თავისებურებებს. ყოველივე ამის შესახებ არსებული კომპლექტური მეცნიერული გამოკვლევები და ამ შემთხვევაში მხოლოდ აქცენტორ აუტრებს არ უნდა ეწოდოს ადამიანი.

5. ჭიკაურელი თავის წერილში არ ეთანხმება თვით კ. ს. სტანილაესკისაგ. მოგვყავს წიგნის მე-14 გვერდზე მოთაყენებული ჩემს მიერ გამოფრული კ. ს. სტანილაესკის აზრი: „ხმოვნება ნაირ-ნაირ ელფერით ხვდება კ. ს. სტანილაესკისი ვოკალური „განმარტებების საიდუმლოების“. თუ თანხმობანი ბეგრია „ჩარჩო“ ან „ჩონჩხია“, მარცვლის ბუნება მიუქვლია ხმოვანში“ — ამბობდა კ. ს. სტანილაესკი. «Произносите какое-либо слово, — წერს იგი, — положим «морез». Смотря по тому, какое море, в этом «О» будет либо затише, либо шумо».

აზრავდ, სტანილაესკისთვის მომდურებობან მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვანს და პრივილეჯ საკითხს წარმოადგენდა სიტყვის საშუალებით გახსნილ აზრის სწინწელამდ დაყვანა. თურმე ნუ იტყვი, ეს აზრიც მდარია. რა გაწყობა, მარტო მე კი არა, კ. ს. სტანილაესკისაც, მაგრამ მოხდა 5. ჭიკაურელისაგან.

კრიტიკოსი არ ეთანხმება აგრეთვე იმ საყოველთაოდ დადგენილს და აღიარებულ დებულებას, რომელიც ამტკიცებს, რომ სიმღერის პროცესი ეწყობება სასიმღერო ხმოვნებს, ხოლო სიტყვების სმენადობა (დეცია) მონღერლის შესრულებაში სათანადო სიმაღლეზე უნდა იდგეს. ე. ი. საჭიროა თანხმობანი ბეგრების მოკლად და მკაფიოდ გამოთქმა. ეს აბანური ჭეშმარიტება სპეციალისტებისთვის.

5. ჭიკაურელს მაინცია, რომ ხმოვნების „შემრგვალების“ იდეა მე ლევიდივის შრომამდ მივისაუბრებ და ჩემს აღმორჩენად ვასაღებ. საინტერესოა, რატომ არ მივიტოვებ პატივსაცემად რეცენზენტმა, თუ წიგნის რომელ გვერდზე ვაყვავებ პრეტენზიას ხმოვნის „შემრგვალების“ იდეის ჩემს მიერ „ამორჩინის“ შესახებ. ხმოვნის შემრგვალება, როგორც მეთოდური ხერხი, არსებობს პროფესიული ვოკალური ხელოვნების ჩასახვის დიდან. ეტყობა, 5. ჭიკაურელი არ იცნობს იტალიელ კლასიკოსა შრომებს და მათ შორის მანუელ გარსიას (1805-1906) ყველაზე მნიშვნელოვანს და პოპულარულ ტრატატებს „სიმღერის სკოლა“.

კრიტიკოსის მოჰყავს აკადემიკოს შერბას აზრი (ჩემი წიგნის 54-ე გვერდიდან), რომელიც სრულიად აბათილებს

5. ჭიკაურელის „ლოგიკას“. მიუხედავად ამისა, იგი მათვე არ იხედავს უკან და ისე მსჯელობს, რომ „ხმოვნის შემრგვალება“, „შემრგვალება“ კი არ განაპირობებს, არაა ვოკალურ სკოლას, არამედ პირველ, სწორად დაყენებულ სასიმღერო ხმის თვისება მომრგვალებული ქვერა და სამეცნიერო ბეგრების სწორი წარმოთქმა“ (გვ. 25). მაშასადამე, 5. ჭიკაურელის აზრით, ჯერ სასიმღერო ხმა უნდა იქნება სწორად დაყენებული და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ლაბარაკი სიმღერაში შექნას და ნათელ ხმოვნებზე ეს კი მართლაც რომ პირველი. ნუთუ 5. ჭიკაურელმა არ იცის, რომ ყოველად შეუძლებელია სასიმღერო ხმის დაყენება ხმოვნებზე ვარჯიშისა და თავიდანვე მათი შექმნა ნათელი ელფერის გამომუშავების გარეშე (იმისდა მიხედვით, თუ რა ნაკლი აქვს გამოსასრულებელ მოსწავლე-გოგალისტს)? საკვირველია, ნუთუ ერთხელაც არ დასწრებია 5. ჭიკაურელი პედაგოგიკისტიკა გაკვეთილს და არ დაჰკვირვებია სასიმღერო ხმის დაყენების პროცესს. მივიღო კონსერვატორია გამაგრებული სიმღერითა ა-ა-ს და o-o-ს გაიძინა და ეს მანაც ვერ გაიგონა 5. ჭიკაურელმა? ვინ იფიქრებდა, რომ ესეც საკამათო გახდებოდა.

ამის შემდეგ 5. ჭიკაურელი გვთავაზობს ასეთ დებულებას: „ნამდვილად დიდი ობტაქტების ერთ-ერთი დამახასიათებელი დადებითი თვისებაა სწორედ შემუშავებული და ღია ბეგრადობის სრულყოფილი დაუფლება“ (გვ. 25). ჩვენ კი ვუპასუხებთ: არც ერთ მიმღეროს არასოდეს არ უშეფრია და არც იმღერებს „ღია“ ბეგრი პროფესიული სიმღერაში. ღია ბეგრებით სარგებლობა დადებითი კი არა, უარყოფითი და ყოველად მიუღებელი მოვლენაა. პროფესიონალი მიმღერლის მისამართით გამოთქმული ერთ-ერთი ყველაზე საწყნარი აზრი სწორედ ის არის, როცა ამბობენ „ღია“ ბეგრებით მღერისო. ეს იმას ნიშნავს, რომ მას სასიმღერო ხმა არა აქვს სწორად დაყენებული. როგორც ჩანს, 5. ჭიკაურელი ერთმანეთში აერთიანებს „ღია“ და ნათელი ბეგრების მარცხ ხედვას მათ შორის განსხვავებით. სახე და ხასიათი ვერც ხმების ღია და შეკე ფერებით კი არ იქმნება — როგორც ამას 5. ჭიკაურელი ფიქრობს (გვ. 25), არამედ მელოდიისა და სიტყვის ერთობლივი შინაარსის შესაბამის მხატვრულ ფორმების გადაკეობით. სწორედ ამიტომ სასიმღერო ხმოვნების შექმნა და ნათელ ფერებს, და არა ღია ხმოვნებს, იყენებენ ვოკალურ-ტექნიკურ საშუალებადა.

5. ჭიკაურელის აზრით, ჩვენ სუნთქვის საკითხზეც ვცდებით. ვეჭვარებთ რა მეცნიერულად დასაბუთებულ აზრს, რომ გამოთქმული ფონიციური ბეგრების გამოთქმა პაერის დიდი პარალელიზმით ამოსუნთქვას მოითხოვს, მიგვაჩინა, რომ ეს გარეგნობა არ უნდა დარჩეს პედაგოგიკა-გოგალისტიკაში უმოდლებს მიღმა. აქედან გამომდინარე, გამოთქმაში უმოდლე აზრს: „ვეყვალთ, რაც შეიძლება მტკიცე და მყარი სუნთქვა გამოუმუშაოთ მათ“ (მოსწავლე-გოგალისტისგან). ამის საპასუხოდ 5. ჭიკაურელი წერს: „რაც შეიძლება მტკიცე და მყარი სუნთქვით“ ბეგრება წარმოებდა უკიდრად ირვეს ყვირილს, უკეთეს შემთხვევაში — ფორსირებულ მღერას. სამწუხაროდ, გოგონაძის ეს გატაცება არ არის შემთხვევითი და განმარტებით. ეს საჭირო სუნთქვა და ჩვენს პროფესიონალ მიმღერლებს მოსწავლე ასალავარდებიც არ ჩამორჩებიან“ (გვ. 26). ე. ი. ეს საერთო სენი — „ყვირილი“ და „ფორსირება“ სიმღერა, რომელიც ესაღებ გავრცელებულია ჩვენს პროფესიონალ მიმღერლებში და, რომლებსაც „არ ჩამორჩებიან მოსწავლე ასალავარდებიც“, სულ იმათი ბრალაა, ვინც მათ ზრდის. ე. ი. იმ პედაგოგიკა-გოგალისტიკისა, რომელიც ამჟამად მოღვაწეობენ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. ჩვენ კი მიგვანჩია, რომ არც ერთი ჩვენი სახელოვანი მიმღერალი — მედვა ამირანაშვილი, ნათელი

ტულეში, ლამარა ჭყონია, პეტრე ამირანაშვილი, შურაბ აბჯაფიანი, ნოდარ ანდლუაძე, შურაბ სოტიკილაძე, თენგიზ მუშველიანი, შოთა კიკნაძე, ირაკლი მუშანიძე და სხვები კი არ ყვირიან, არამედ მღერაან. რაც შეეძება მისწავლ აბალავარდობას (რომლებიც, თურმე, ყვირილში არ ჩამორჩებიან პროფესიონალ მომღერლებს) კი არ ყვირის, არამედ მღერის. მისწავლეთა ის ტექნიკა, რომელიც ჯერ არ არის დაუფლებული ვოკალურ ტექნიკას, ცდლობს იმღეროს და ამა იყვიროს.

არც ახას დაჯერდა 6. ჭიკურელი. იგი დაუპირისპირდა 1954 წელს ლენინგრადში ჩატარებულ საკავშირო პედაგოგ-ვოკალისტთა კონფერენციას, რომელშიც მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის 800-ზე მეტი მოწინავე პედაგოგი-ვოკალისტი, ლარინგოლოგი, ფიზიოლოგი და ცნობილი მეცნიერი-ფონეტიკოსები. ჩვენ რაღა გვეთქმის, როცა 6. ჭიკურელი არ ეთანხმება საკავშირო კონფერენციის მიერ გამოთვალავებულ მუხმდე დებულებას: „თანამედროვე პროფესიული ვოკალური შემსრულებლობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ხახისა და ხორხის მაქსიმალურად თავისუფალ მდგომარეობაში ყოფნა და რბილი სასის მაღალი, აწვეული მდგომარეობა ფონიანის დროს“. 6. ჭიკურელის აზრით, ეს დებულებაც მცდარია. თურმე, ნუ იტყვიან, „ხახისა და ხორხის მაქსიმალურად თავისუფალი მდგომარეობა უცილობლად იწვევს ხმაში ტრემოლიაციას, რეაგისტრების უკიდურეს ტერლ ხმოვანებას და სხვა მეტად მნიშვნელოვან დეფექტებს სიმღერაში“ (გვ. 26). აქ კი, როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია. არა მგონია, რომ მთელ მოსოვლითში მოიძებნოს ისეთი პედაგოგი-ვოკალისტი, რომელმაც თავის მოწაფეს უჩივოს ხახისა და ხორხის დაძაბვა-დაჭიმვა.

6. ჭიკურელს რატომღაც გამოურჩა ჩვენი წიგნის 54-ე გვერდზე მოყვანილი ლევიდილის შემდეგი აზრი, რომელსაც ჩვენ საყვებით ვეთანხმებით: „როცა ლაპარაკია სასიმღერო ხმოვნების სწორ და კარგ ქლერადობაზე, უნდა ვიგულისხმობთ საარტიკულაციო აპარატის აქტივობის იპეით მდგომარეობა, რომელიც, ერთი მხრივ, წინ აღუდგება მის მოღრუნებას, ხოლო, მეორე მხრივ, არ გადავა დაჭიმვა-დაძაბულობაში, რაც იწვევს ხმოვანთა დამახინჯებას და ამდენად უარყოფით გავლენას ახდენს სიმღერის პროცესზე“.

ბოლოს 6. ჭიკურელი გვეუბნება: „რა ვუყო ქართულ ბრუტატივებს (3-ტ-წკ) და დასაკუთრებით კი „ჟ“-ს...“ სრულიად არაფერია, ვარდა იმისა, რომ გამოეთქვამთ სიმღერაში ისინი მოკლედ და მკაფიოდ, არ შეეჩერდეთ და არ გაუახანგრძლიოთ თანხმოვანთა ქლერადობა, რათა სიმღერის პროცესი მთლიანად ეწყარებოდეს ხმოვნებს. ამასუცა ავტეული მკაფიო დიქციის თორია სიმღერაში და ამ აზრისა ყველა პედაგოგი-ვოკალისტი, მკვლევარი-თეორეტიკოსი და თვით კ. ს. სტანისლავსკი.

ვინაც გუვლდასმით წიკიითსა 6. ჭიკურელის კრიტიკული წერილი ჩემი წიგნის მიმართ, აუცილებლად შეამჩნევდა, რომ ის ქართული ენის ქომავალ გვევლინება. ვახას სჭირდება დიდ ქართულ ენას იმნიეს ქომავლობა? რა თქმა უნდა, არა. 6. ჭიკურელი ფიქრობს, რომ ვინაიდან თანხმოვან „ჟ“-ს იმპლოზია „მოითხოვს ენის ძირისა და ხა-

ხის კედლების აქტიურ შევუმშულ მოძრაობას“ (წიგნის 38-ე გვ.) და რომ ქართული ფსემიფიფი თანხმოვანების წარმოქმნის დროს ისარგებო ბაერის დიდი მარაგი და სხვა, ყოველივე ეს ერთგვარ ჩრდილს აყენებს ქართული ენის ფონეტიკურ თვისებებს. დადაენის ჭეშმარიტი პატრიოტები ღრმად და საფუძვლიანად სწავლობენ მის ყოველგვარ თვისებას და მარტო მის სიყვარულზე როდი გააჰყვირან.

კიდევ ჩავათვალიეროთ წიგნის ფურცლები. მის 58-ე გვერდზე გამოთქვამთ აზრს, რომ ნებისმიერი ენის საძირკვე გელო ხმოვნების ნატურალური ქლერადობის გამოყენება მიუღებელია თანამედროვე პროფესიული სიმღერისათვის; ჩვენ ვწერთ: „ეს გარემოება არ უნდა იქნეს გაგებელი ისე, თითქმის ქართული სამეცნიერო ხმოვნები მოკლებულია ვოკალურობას და ამიტომ გამოუსადეგარაა პროფესიულ სიმღერაში. ვინაიდან სამეტყველო ბგერები, როგორც წესი, მოითხოვენ მათი ფიზიოლოგიურ-აუსტეტიკური თვისების რამდენადმე შეცვლას, რათა იქცევი ე. წ. ვოკალურ ბგერებად. ამდენად, არ არსებობს ისეთი ენა, რომლის სამეტყველო ხმოვნები არ საჭიროებდეს ცოტად თუ ბევრად სახეცვლას, რათა მათზე ავაგოთ თანამედროვე პროფესიულ სიმღერაში მიღებული და დაღვნილი ბგერათმარეობა“ („მყარი და შესრული ხმოვნებით სარგებლობა“) ამ მხრივ არც ქართული ენის ხმოვნები წარმოადგენენ გამოუსადეგარს.

აი, კიდევ ერთი ჩვენი აზრი ამ საკითხის გარშემო: „ქართული ენის ხმოვანთა დადებით თვისებებს წარმოადგენს მათი ნათელი ბგერადობა და აგრეთვე ის, რომ ქართული ენის ხმოვნები არ განიცდიან ცოტად თუ ბევრად ცვლილებას როგორც მახვილისაგან, ისე მეშობულ თანხმოვანთა გავლენით. ქართული ენის დადებით თვისებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ოროფარინგისა და ორონების სიზნალოვე. ეს თვისებებიც კი ენის კოკალურობის ნიშანთვისებებია“ (წიგნის 59-ე გვ.).

და ბოლოს, კიდევ ერთი ციტატა წიგნიდან (გვ. 60): „აქვე საჭიროდ ვთვლით აღვინიშნოთ, რომ ქართული ხმოვნების შემრგვალება არ უნდა გამოიწვიოს 3:ით ზედმეტი გაღრმავება, რამაც შეიძლება დააკარგინოს მათ ყველაზე უფრო ძვირფასი თვისება — ნათელი ქლერადობა. თუ ქართული ხმოვნების შემრგვალების შედეგად მათ დაჰკარგეს ნათელი ქლერადობა და შეიძინეს ქლერადობის ყრუ ელფერი, ეს იმას ნიშნავს, რომ შემრგვალების პროცესი არ მიმდინარეობდა სწორად. შემრგვალება უნდა მოხდეს ნათელი ქლერადობისთანავე შემრგვალებით და მისი სახეცებით შენარჩუნებით იმ მიზნით, რომ თვით ტექნიკურ პროცესში დაცული იქნას ზომიერება. ჩვენ ვხმა-ობით სიტყვას „შემრგვალება“ და არა „მომრგვალება“.“ ამ ფრიად ძნელ საკითხს — იმას, თუ რამდენად და რა ზომით უნდა შემრგვალდეს მოწარმის მიერ ესა თუ ის ხმოვანი, სწვევებს გამოცდილი პედაგოგის ვოკალური სმენა, მისი ნიჭი, ცოდნა და მხატვრული გემოვნება.“

ამ თვისებების გარეშე არც კრიტიკული წერილის დაწერა მიზანშეწონილი.





რუსულან ნიკოლაძე.

# მეცნიერი და მოქალაქე

ალექსანდრე სიგუა

მბრძოლვენი, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩაზე, № 21 სახლში, სადაც ორი მემორიალური დაფაა გაკრული (ნიკო ნიკოლაძისა და მისი შვილის — გიორგი ნიკოლაძისა), მამისეულ ბინაში ცხოვრობს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი რუსულან ნიკოლაძე. ამ სახლში წამდარსებულ იმის ტელეფონის წყარაილი, ხას სადარბაზო შემოსასვლელიდან ხარს რვეენ და მიღებას თხოულობენ.

ვის არ ნახავთ აქ — მწერლებს, ხელოვნების მუშაკებს, მეცნიერებს, ურნალისტებს. ზოგი დისერტაციას იცავს და მასალებს თხოულობს, ზოგს კი უკვე დაუკავს დისერტაცია და მადლობის სათქმელად მოდის. აქ შეხვდებით სტუმრებს მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ხარკოვიდან, ურალიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან. ჩამოსულნი რუსულანს პოლიტიკური ინსტიტუტშივე მოინახულენ — ბენ ხოლმე, სადაც იგი ორმოც წელიწადზე მეტია ლექციებს კითხულობს ქიმიამ. ინსტიტუტში იგი ინახულა შვეიცის ურნალ „Femina“-ს კორესპონდენტმა, რომელსაც თარჯიმნად ახლდა ახალი ამბების სააგენტოს ჩრდილოეთ ევროპის განყოფილების უფროსი რედაქტორი თამარ ტუმარკინა. კორესპონდენტის ინტერვიუს აღებიდან რამდენიმე დღის შემდეგ რუსულანმა მოსკოვიდან ტუმარკინასაგან ასეთი შინაარსის წერილი მიიღო:

„პატივცემულო რუსულანს!

რამდენიმე დღის წინათ ვუკავი თქვენთან შედ ურნალისტთან და ფოტოკორესპონდენტთან ერთად. მოვისმინეთ თქვენი მეტად საინტერესო მოგონებანი ლენინზე, კოლონატისთან შეხვედრაზე, სკანდინავიაში თქვენს მოგზაურობაზე.

ახალი ამბების პრესის სააგენტო სტოკჰოლმში სცემს ურნალს „საბჭოთა კავშირის ახალი ამბები“. ჩვენი ურნალის მკითხველებისათვის საინტერესო იქნებოდა თქვენი მოგონებების გამოქვეყნება. ამიტომ ძალიან ვთხოვთ დაგვიწეროთ სტატია თქვენს

შეხვედრებზე ლენინთან, ალექსანდრა მიხეილის ასულ კოლონატისთან ნაცნობობაზე და ყოველივე იმაზე, რაც კი დაკავშირებულია სკანდინავიათან, უმთავრესად შვეიციათან. ახლა, როდესაც ახლოვდება ლენინის დაბადების 100 წლისთავი, ჩვენ ვაქვეყნებთ ბევრ მასალას და თქვენს მოგონებას უადრესად დიდი მნიშვნელობა ექნება.

ძალიან ვთხოვთ ნუ გვეტყვიან უარს. სტატიის მოცულობა შეიძლება იყოს ნებისმიერი, — თუ დიდი იქნება, ორ ნომერში მოვათავსებთ. დაბეჭდიებით ვთხოვთ გვაცნობოთ თანახმა ხართ თუ არა დაგვიწეროთ მოგონება. დიდად დაგვაკვლებთ, თუ არ დაუყოვნებთ პასუხს. სამწუხაროდ, არ ვიცი თქვენი ტელეფონის ნომერი, ოთრზე დაგირგვკავილი.

გულითადი სალამით თამარ მიხეილის ასული ტუმარკინა.

ახალი ამბების პრესის სააგენტოს ჩრდილოეთ ევროპის განყოფილების უფროსი რედაქტორი“.

რუსულანი თავის სახელზე მიღებულ ყველა წერილსა და წიგნს შენიშვნას უკეთებს და ამ წერილსაც მიაწერა:

ჩემი ნაცნობობა კოლონატისთან ტუმარკინას იმიტომ აინტერესებდა, რომ მას ჯერ კიდევ 1910 წელს შვეიცდრი რუსეთის ქალთა პირველ ყრილობაზე, სადაც მეც ვიყავი დელეგატად ქართველი ქალებისაგან. კოლონატის ბიოგრაფიის ეს მომენტი მათთვის, როგორც ეტყობა, უცნობი ყოფილა. ხოლო ჩემი და ჩემი მეუღლის მიხეილ პოლიევქტოვის მოგზაურობა სკანდინავიაში, შვეიცია-ნორვეგიაში იმასთან იყო დაკავშირებული, რომ მაშინ ევროპაში ის იყო ვითარდებოდა ელექტროფიკაცია და ჩვენ უნდა გვეჩანა შევცაიში განთქმული ტროლჰეტის ელექტრისადგური, რომელიც ენერგიით ამარაგებდა მთელ სამხრეთ ნორვეგიასა და მის ცნობილ აზოტის ქარხანას, რომელიც პირველი იყო ცნობილი. გარდა ამისა, ეს მოგზაურობა დამეძგვა სამხრეთ პოლუსიდან ნორვეგიაში ამუნდსენის დაბრუნებას,

რომელსაც სწავებთან ერთად თვით ნახენი მუხვდა. იგი პირველი ავიდა გემზე და გადაეხვია ამუხდენს.

ყოველდღე ათობით წერილი და წიგნი მიდის რუსუდან ნიკოლაძის სახელზე რუსეთისა და ევროპის სხვადასხვა ქალაქიდან, რომელთაგან არც ერთს არ ტოვებს უსასუოდ.

გვიანი ღამეა. თბილისი ძილს მისცემია. რუსუდანი კი დიდი დარბაზის კუთხეში მამის სამუშაო მაგიდას უხის, გაყვითლებული კაბადღების თილე შევარა დაუდია წინ და გატყვებით ეძებს რაღაცას. რუსუდანს კედლებიდან დაპყრობენ მამის — ნიკოსა და დედის — ოლა გურამიშვილის სურათები. იქვე ჰკიდია მისი და-ძმის — ვამოციგინილი საზოგადო მოღვაწისა და მეცნიერის გიორგისა და თამარ ნიკოლაძის სურათები.

დიდი ბედნიერებაა ცხოვრობდე იმ სახლში და ენებოდე ძვირფას ნივთებს, წიგნებსა და წერილებს, რომლებისთვისაც ნიკოსა და გიორგის არაერთხელ მოუკიდიათ ხელი. სწორად ასეთი ადგილის, ასეთი ისტორიული სახლის შესახებ წერდა გიორგი: „წმიდათაწმიდა ის ადგილები, სადაც დიდი ადამიანი ცხოვრობდა. ასეული წლების შემდეგ შთამომავლობისათვის აქ ახალ სიყვარულს იძებს მისი საჭმე და ნახარვე“.

ამიტომ იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამარჯობის პირველი დღიდან ნიკო ნიკოლაძის ბინაზე ზრუნვა იკისრა საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა, რომელმაც 1921 წლის 28 მარტს პროფესორ გიორგი ნიკოლაძის სახელზე გასცა მისი ბინის დაცვის სიგელი.

გარდა ამისა, 1922 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის — ივანე ჯავახიშვილის ხელმოწერილი თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე აღძრულ იქნა შემდეგი შუამდგომლობა: „განსაკუთრებულ შუამდგომლობას აღძრავთ საბინაო განყოფილების წინაშე, რათა ბინა განიჟოს ქუჩაზე, № 21, 7 თბისი მთლიანად დატოვებულ გქნას ოთხ ჩვენს პროფესორს და ასისტენტს: პროფ. მიხ. პოლივეტოვს, დოქ. გ. ნიკოლაძეს, ასისტ. რ. ნიკოლაძეს და მუშათა ფაკულტეტის რექტორის ო. ნიკოლაძის მათი ორი ოჯახით, ვინაიდან ამ ბინის ოდნავ მაინც შეიწროება დიდ ზიანს მოუტანს იმ რთულ და მრავალნაირ მეცნიერულ და პედაგოგიურ მუშაობას, რომელიც ანწყვეტილიც წარმოებს აქვლა ამ ოთხ პირთაგან დაკავშირებულ კომისიებში, რისივე სხვაგან გადაკანა არ შეიძლება, მრავალ საცნობო წიგნების და ხელთნაწერ მასალებს გამო, რომელიც ამ ოთხ პირს ეკუთვნის“.

და აი, სამსახურის შემდეგ, შინ რომ ცოტას დავისვენებ, რუსუდან ნიკოლაძესთან მივდივარ — იქნებ რაიმე დღემდე უცნობი ამბავი გაიხსენის ილიასთან და აკაკისთან, აიროვი წერეთელთან და კირილე ლორთქიფანიძესთან, სირიი მესხთან და იონა მუხარაგიასთან შესვედრებზე. ისინი ხომ ხშირი სკუპრები იყვნენ ნიკო ნიკოლაძის ოჯახისა როგორც თბილისში, ისე ფოთისა და ჯიხაშიში.

რუსუდანი ცოცხალი მოწმე და მონაწილეა ბევრი მეტად საინტერესო ისტორიული მოვლენისა. იგი ლენინს შესვედრია აქნებავში და უსაუბრია კიდევ მასთან. შემდეგ კი პეტროგრადში — ოქტომბრის რევოლუციის წინა ქარიშხლიან დღეებში — თავირიდის სასახლეში ლენინთან უსაუბრია და მისი ტელეფონის შორიკაც ყოფილა.

ეღვაწარ დიდი დარბაზის კუთხეში.

აი, სავარძელი, რომელშიც ნიკო იჯდა ხოლმე.

ამ სახლში წერდა ნიკო ნიკოლაძე თავის კლასიკურ წერილებს ლიტერატურისა და ფილოსოფიის საკითხებზე, მამხილებელ, გამანადგურებელ პასუხებს ქართველი ერის მტრებისა და პროვოკატორების წინააღმდეგ. ამ სახლში ეწიო შემოქმედებითი წვის უქრობი ცეცხლი. ხან მამა და

შვილი კამათობდნენ, ხან სიძე და ქვისლები, ხან მეგობრები და თანამოქალაქნი. ეს სახლი ნამდვილად ჯიხაშია იყო, სადაც ლექტირებიც დირსებული იყვნენ და მოწვევებიც. ნიკო ნიკოლაძე ამ სახლში მართავდა თათბირებსა და სხდომებს ცნობილი ქართველი მეწიერების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების მხურვალე მონაწილეობით.

რუსუდან ნიკოლაძის მეუღლე პროფესორი მიხეილ პოლივეტოვი, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი მაღალ შეფასებას აძლევდა, ამ სახლში ეწეოდა დიდ მეცნიერულ შემოქმედებით მუშაობას.

აქვე ცხოვრობდა და მეცნიერული ნათლობა მიიღო ამჟამად მსოფლიოში სახელგანთქმულმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ნიკო მუსხელიშვილმა, რომელსაც ცოლად ჰყავდა ნიკო ნიკოლაძის ქალიშვილი თამარ ნიკოლაძე. აქ დაეუკაცდა და მეცნიერებას ეზიარა ნიკოს შვილი, ფიზიკოსი გურამ მუსხელიშვილი. დღეს ორი დისწილი, ორი ფიზიკოსი — ნიკოლაშვილი პოლივეტოვი და გურამ მუსხელიშვილი სახელოვნად აგრძელებენ მეცნიერების იმ დიდ გზას, რომელსაც მათი ბიძა გიორგი ნიკოლაძე მეთურობდა.

ამ სახლში ინახება მასალები მივლი XIX საუკუნის აზრიანების ისტორიისა, რომელიც დაწერილია მკაცრ საცენსურ პირობებში. ზოგი მათგანი, ლეგალურად თუ არა ლეგალურად, რუსეთსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაშია შექმნილი და იქიდან ჩამოტანილი.

ამიტომ იყო, რომ ივანე ჯავახიშვილი თავის მიმართავში თბილისის საბინაო განყოფილებისადმი ხასკასმით წერდა: ნიკოლაძის ბინიდან საბუთებისა და წიგნების სხვაგან გადატანა არ შეიძლება.

ერთხელ რუსუდანმა მიამბო: ჯიხაშიში მამამ და ირაკ-

თამარ, გიორგი და რუსუდან ნიკოლაძეები. 1904 წ.



ლი წერილებმა რაღაცაზე დაუა დაიწყეს, რომელიც თანდათან ცხარე კამათში გადაიქცა. მამას რომ თავისი აზრი დაემტკიცებინა, ირავლის სისხლი, ანუ და ადგილს, მამა და ამ თაროზე, ესა და ეს წიგნი დებს და მომბეჭდენ. მამას ჰქონდა ფენომენალური მენსიურება, — დასძინა რუსუდანმა, — მან იცოდა თავის მდიდარი ბიბლიოთეკაში სად რომელი წიგნი იოდა და რომელ კვერდზე რა ეყრება. მართლაც, წიგნი იმ ადგილას აღმოჩნდა, სადაც მამამ მიუთითა.

ღამეა, ზარმა დარეკა. შემოდის ამ ოჯახის მკვებობარი თამარ მაჭავარიანი. ეს სწორედ ის თანამარი, რომელმაც განავითარა ქართული მეცნიერული ბიბლიოთეკაფია, გააკაცხა ჩვენი ძველი ჟურნალ-გაზეთების მრავალი თანამშრომლის დღემდე უცხოთა ფსევდონიმები და ინიციალები. მანვე იყო ტომად აღწვარი ნიკო ნიკოლაძის უნიკალური არქივი, რომელიც დაასლოებით 10.000 დოკუმენტისაგან შედგება. ეს ხომ ძალზე შრომატევადი და კეთილშობილური საქმეა.

თამარს წიგნები და წერილები უჭირავს. მას ხომ ვერ ნახათ უწიგნო, ისევე, როგორც ვერ ნახებდით იმხდელ გრ. მაშვილის ხარფუხის აღმართზე უწიგნო მამაკაცს.

— აი, ქალბატონო რუსუდან, — თავისებური მიმოხილვით ღიმილით ამბობს იგი, — რუსეთის სხვადასხვა ქალაქიდან გამოგზავნილი ეს წიგნები და წერილები საჯარო ბიბლიოთეკაში მივიღეთ თქვენს სახელზე, ცნობისმოყვარეობის დამძლევა და წიგნის ავტორი და დასახელდა წვეიკითხვ: *Е. Л. Рудницкая, «Н. П. Огарев в русском революционном движении»*.

ავტორი ამ წიგნს რუსუდანს ნიკოლაძეს უგზავნიდა მეტად გულთბილი წარწებით. მეორე წიგნი იყო: *И. С. Куликowa, «Сюрреализм в искусстве»*.

ტელეფონი ისევ ახმაურდა და უკვე დარბაზში რუსუდანის შვილი, ცნობილი ფიზიკოსი ნ. პოლივეკტოვიც შემოვიდა.

— დედა, — მორიდებით უთხრა მან რუსუდანს, — მოსკოვიდან რეკავენ, ტელეფონთან გათხოვენ. — ეს აღმათ აკადემიკოსი ნეჩკინა იქნება, — ჩაილაპარაკა რუსუდანმა და სალამაპარაკო გაიკიდა.

საქართველოში არ მეგულება მეორე ოჯახი, რომელსაც ქართველი ერისთვის იმდენი ნიჭიერი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მიეცეს, რამდენიც ნიკო ნიკოლაძის ოჯახმა. სამუშაოდ, გიორგი ნიკოლაძის მეცნიერულმა და საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ მეტეორიკით გაიჭროლა, მაგრამ ქართველ ხალხს და მეცნიერების სამყაროში მისმა ნიჭმა და შემოქმედებამ უნიკალური კვალი დატოვა. დიდი გეომეტრი, გამოჩენილი ინჟინერ-მეტალურგი, ქართული ტექნიკური და სპორტული ტრენინგების ერთ-ერთი შემქმნელი, ქართული აპლიზონის მამა, რომელმაც ჯერ კიდევ 1901 წლის 13 წლის ბიჭმა შეიკარაჩინა თავისი დები — რუსუდანი და თამარი ვალისის კანტონის ალუმინის ტექტდეჟენის (ბუმბერაზის თავი) მწვერვალზე ავიყვანა.

უხვად დაჯალღოვა გიორგი ნიკოლაძე ბუნებამ. მისი იშვიათი გარეგნობა მოგვაგონებდა ძველბრძნულ ბრინჯაოს ქანდაკებას. მეგობართან მეგობარი იყო, მოყვარულთან — მოყვარე, დინჯი და აუწყარებელი მსჯელობა იცოდა. იგი რაღაც არაჩვეულებრივი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, სიცილით აჯადოებდა ადამიანს.

თამარ ნიკოლაძე — მეცნიერი, სპორტმწიფი, ბრწყინვალე პედაგოგი, მოსწავლეების უსზომო მოსიყვარულე იყო. იგი გაკვეთილების გადაცემის ხელოვნებას იყო ფლობდა, რომ შედეგით შედეგარებინა მხოლოდ ვარალა ხეროთიმა (შეურთობაში ვარალამ მალაქიაშვილი) და ვარალა გელლოვანისთვის. ამიტომ მოწაფეებს გვიხაროდა გაკვეთილებ-

ზე მისი შემოსვლა და სულგანაბლური ვისხედით მერხებზე. ეს უცნაურად მომდიმარი ქალი ისე მარტვად დაგასაგებებდალ ხანდა გაკვეთილებს, რომ იქვე გსწავლობდით.

მაგონება ერთი შემთხვევა. თამარ ნიკოლაძე ახალ გაკვეთილს გვისხსიდა, ბათუ კრავევიშვილმა, რომელიც დღემდე ერთად მე-14 შრომის სკოლაში სწავლობდა, დაბნელობაზე წაიღოდნა. მოწაფეებმა ბათუს შემხედეს, იცოდნენ, რომ კარგი ხმა ჰქონდა. მასწავლებლებმა კი შვედოდ განაგრძო გაკვეთილის ასხნა, თითქოს არაფერი ვერცოხს. მაგრამ დაიგრეკა ზარი და რამდენიმე წუთის შემდეგ ბათუ სასწავლებლოში გამოიძახეს. როდესაც იქიდან დაბრუნდა, მიითრა: — საშა, მასწავლებლებს თურმე გაუგია ჩემი წაღუდუნება, ცალკე გამიხმძი და ჩემად მიიხრა: — კრავევიშვილი, სიმღერა კარგია, მაგრამ გაკვეთილის დროს არ მღერობანი.

ბათუ კრავევიშვილი, ჟურნალ „დროშის“ რედაქციოში რომ შემოვიღოდა ხოლმე, ხშირად იგონებდა ამას. — გახსოვს, ჩემო საშა, ჩემი წაღუდუნება თამარ მასწავლებლის გაკვეთილზე? ეს, რა კარგი მასწავლებლები გვყავდა, — და ჩამთვლიდა იმით, ვინც თავისი ცოდნითა და განათლებით ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებლებსაც კი დაამშვენებდა.

რუსუდანს ნიკოლაძემ, როგორც ნიკო ნიკოლაძის ყველა შვილმა, მეტად საინტერესო სკოლა გაიარა, ჯერ თავის სახლში, მერე კი რუსეთისა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლოში.

ცნობილია, რომ მეფის რუსეთში ქალისთვის უმაღლესი განათლების მიღება და ისიც უნივერსიტეტის დამთავრება ძნელი, თითქმის შეუძლებელი საქმე იყო. რუსუდანი კი 1896-1898 წლებში სწავლობდა ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის ქალთა გიმნაზიაში, შემდეგ (1898-1904 წწ.) — თბილისის ქალთა პირველი გიმნაზიაში, რომელიც ოქტობრის მდელით დაამთავრა. 1909 წელს რუსუდანი პეტროგრადის ქალთა პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ამთავრებს, ხოლო 1913 წელს — პეტროგრადის უნივერსიტეტის ფიზიკა-ქიმიური განხარით და იქვე ტოივინს საშენიერო მუშაობისათვის. იმ დროს აქ უმაზბდნენ გამოჩენილი ქიმიკოსები ვლადიმერ იბატივი და სერგეი ლებედევი.

იმ ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც რუსეთის განათლების მინისტრმა კასიმ გამოსცა, ვაყვებთან ერთად ქალღუნაც ენიჭებოდათ სახელმწიფო გამოცდების ჩაბრუნების უფლება უმაღლეს სასწავლებლოში მათთვის პირველად შექმნილი კომისიისათვის.

რუსუდანს ნიკოლაძე, ალბათ, პირველი ქალი იყო მთელი რუსეთის იმპერიაში, რომელმაც 1913 წელს ბრწყინვალედ ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები, მიიღო დიპლომი და უფლებმა მოიპოვა მამაკაცებისათვის განსუთნული საუნივერსიტეტო სამკრედი ნინოს ტარებისა. გამოცდების შემდეგ რუსუდანი დროებით ჩამოვიდა სამშობლოში.

1913 წლის ივნისში თბილისში გაიმართა ბუნებისმეტყველთა მე-13 კრილობა, რომლის საპატიო თავმჯდომარე იყო ცნობილი ექიმი, კურორტ აბასთუმის, მამაა ილია ვერაძე. ყროლობას კი ხელმძღვანელობდა ცნობილი მოსკოვლი ქიმიკოსი პროფესორი კაბლუკოვი, რომლის წინადადებითაც ყროლობის მორტიც სხდომის საპატიო მდივანდ არჩეულ იქნა რუსუდან ნიკოლაძე. აი, რა განაცხადა ამასთან დაკავშირებით პროფესორი კაბლუკოვმა: „აქამდედ ქართველ ქალებს ფიზიკური სილამაზით ვიყენებდით ლერონტოვთან და მსატარა ზონის წყალობით, ახლა კი ამას გონებრივი სრულყოფაც ემატება“.

რასაკვირველია, კონებრე სრულყოფაში რუსუდანის ხელს უწყობდა მამამისი — ნიკო ნიკოლაძე. რუსუდანის

დედა ოლთა გურამიშვილიც ბრწყინვალე პედაგოგი და მოწინავე ქალი იყო, რომელიც ბევრ რუსსა და ევროპელ მწერლსა და პოლიტიკურ მოღვაწესაც აცოდებდა თავისი მხნეული კონტაქტით, ცოდნითა და სილამაქით. გარდა ამისა, რუსუდანი ბავშვობიდანვე ტრიალებდა მწერალთა და საზოგადოებრივ მოღვაწეთა წრეში. ესენი იყვნენ ნიკოს ახლო ნათესავები და მეგობრები: მწერალი გიორგი წერეთელი, რომელსაც პირველ ცოლად მკაცრად რუსუდანი მამიდა ოლიმპიდა ნიკოლაძე. ნიკოს მთორე და, ფროსიკო, გათხოვილი იყო ცნობილ პედაგოგსა და საზოგადოებრივ მოღვაწე ალექსი ჭიჭინაძეს. შესანიშნავი მხატვარი და საზოგადოებრივ მოღვაწე დიმიტრი გურამიშვილი მძა იყო ოლთა გურამიშვილისა.

რამდენადაც ფართოდ შეეხებოდა რუსუდანი ნიკოლაძის ნაცნობობას და ურთიერთობას ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებთან მეფისინდროსიდელო რუსეთში.

მეფის რუსეთში 1907 წლამდე უნივერსიტეტის კარი დაკეტული იყო ქალებისათვის. ნიკო ნიკოლაძემ, რომელსაც დიდი ავტორიტეტი და ფართო ნაცნობობა ჰქონდა არა მარტო საქართველოსა და რუსეთში, არამედ მთელ ევროპაში, მოახერხა რუსუდანი მოწივით ორი წლით ადრე პეტერბურგის ქალთა პედაგოგიურ ინსტიტუტში (ამჟამად გერცენის სახელობის), რომელსაც სათავეში ედგა დიდი ინტელიგენციის პლატონოვი. ამ ინსტიტუტში, რომელსაც „ქალთა უნივერსიტეტი“ ერქვა, რუსუდანი, მის მიერ არჩეული საცილობის გარდა (ფიზიკა და ქიმია), ხელოვნების სხვადასხვა დარგის გასაგებობადაც ფართოდ გაუღო კარი. და აი, რატომ — ამ სასწავლებლის ახალგაზრდა, ნიკიტო პროფესორთა მოწინავე (მოსთესალიტოვს) ჯგუფი ახლის იდგა მოსკოვისა და პეტერბურგის ინდროსიდელო ყველაზე მოწინავე საზოგადოებასთან — მწერლებთან, კომპოზიტორებთან და თეატრალური ხელოვნების მოღვაწეებთან. ეს პროფესორები: ქიმიკოსები — ვერხოვსკი და ს. ლეგენდელი, მუსიკათმცოდნე, ფილოსოფოსი ლაშჩინი და ისტორიკოსი პოლივექტოვი, რომელიც ხელოვნების ისტორიის პროფესორიც იყო, იზარებდნენ სტუდენტთა მოწინავე იდეებს და თანაუგრძობდნენ მათ. თხიფივე პროფესორი თავდასწრე დაინტერესდა ოქროს მედლისთან ქალთა ჯგუფით, რომლებიც არც ერთ საინტერესო კონცერტს, წარწოდებას, ან გამოფენას არ ტოვებდნენ უყურადღებოდ. სტუდენტთა ეს ჯგუფი მთლიანად გაიორცხა ინსტიტუტისა და 1905 წლის 9 იანვრის დემონსტრაციის თანაგრძნობისთვის, მაგრამ მათ მამინევი დაბრუნდნენ მოწინავე პროფესორთა ჯგუფში და ოცნევი აღადგინეს ინსტიტუტი.

ამრიგად, რუსუდანი პირველივე კურსიდან გაეცნო ხელოვნების ისეთ საინტერესო კუროებს და მიმართულებებს, როგორიც იყო, მაგალითად, კომპოზიციური ახალგაზრდათა თეატრი, ვიკისი, ჩხვივის, ანდრეჟოვის და იმების რეპოლიტიკური სტრუქტურების მქონე პიესები — „მოგარაჟები“, „მზის შილოები“, „თოლია“, „ვარსკვლავებისაკე“, „ცხოვრება ადამიანისა“, „მშენებელი სოფელი“ და სხვა. ან კიდევ აღდმარხვის, სუხოხისათვის მოსკოვიდან ჩასული სამხატვრო თეატრი. სადაც იმაჟამდ ორი ქართველი მუშაობდა რეჟისორად: ვანტანე მჭედლიშვილი და აკაკი ფაღვალი. ამ თეატრის „გერმანოლიტები“ — სტანისლავსკი, ნემროვი და დანქინოვი, კანალიზი და ლუქსი პოლივექტოვისათვის მისწავლის ობიექტი წრესთან ახლოს იდგნენ და მისკვიტიდან პეტერბურგში ჩამოსვლისას მისი და პროფ. პანსინისათვის მხარი სტუმრები იყვნენ. ვერხოვსკისა და ლებენიკის შემწეობით რუსუდანი ახლო გაეცნო ხელოვან ხალხს: სომოვსა და დობოუჩინსკის, სორინსა და სუდეიკინს, სტრუტოვსა-ლუბენიკის, ლიდა ვერხოვსკისა და სხვებს. ეს უფრო ხან ერთი ოჯახში იყრდნენ თავს, ხან — მთორემი. ვერხოვსკის ურთობა და — ოლთა, აგრეთვე მხატვარი,

ცნობილი მუსიკალური კრიტიკოსის კარატიგინის მუღუღი იყო და მათთან პარასკეობით რეველუციისწინა პეტერბურგის ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლებს შეხვდებოდა; შოგი თვატრიდან გამოდგება, შოგი — სხდომიდან. აქ შაოლიანისაც ნახავდით და კიდევ მოისმენდით (თუ პეტერბურგში მდგომარე იმ დღეებში), სკრიანინისა და რამბანინოვისათვის აქ მუდამ მზად იყო ორი რიალი მნიშვნელოვანი ნაწარმოების შესასრულებლად. მაგალითად: სწორედ ამ ხანად რუსუდანი ბედი ეწია და მოისმინა სტანისკის მიერ საპარო ბიბლიოთეკიდან გამოტანილი მუსიკის „სორინის ბაზრობა“ კარატიგინისა და ლაშჩინის შესრულებით, რომელიც კარატიგინმა გადააკეთა ორი რიალისთვის.

ამის შემდეგ ეს ოქრეა პირველად მოსკოვის დიდ თეატრში დაიდაცა 1913-1914 წლის წამოხრის სესონში.

იმ პარასკეობებზე ახალი მიმართულების მწერლებიც იკრებოდნენ პოეტ ოური ვერხოვსკის (ოლთა, ლიდა და პროფესორი ვადიმ ვერხოვსკის ძმა) ხელმძღვანელობით. რუსუდანი ნიკოლაძე აქ ხშირად ხვდებოდა რემეზოვს, დე-მინ ბედისს, ვსელოვოდ ივანოვს, თვედროს სოლოვოვს, კუზნეცს. მასთან მეგობრულდნენ მხატვრები — სორინი და სუდეიკინი. კარატიგინის პარასკეობებზე რუსუდანი ისმენდა ახალგაზრდობის საინტერესო კამას; ერთ ოჯახში მუსიკის სმენი იმდობა, მთორემ — ცხარე კამათი, აზრთა გაზიარება, „მრწამსთა შეტაკება“. საერთოდ ამ წლებში პეტერბურგში ბევრი მოწინავე ოჯახი წარმოადგენდა მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის ცოცხალ კერას იმაჟამდ შემოდებული ევროპული რეპუტაციის ქართველების (ე. ი. დანიშვილი დღეების) მადლით. კარატიგინებთან ეს იყო პარასკევი (ორ კვირაში ერთხელ). ვერხოვსკებთან — შაბათი, ლუბენიკებთან — ოთხშაბათი, ქიმიკოს პატიკეტიანთან — ხუთშაბათი. მუსიკის საზოთ კი, მემუილ ცასკ წარმოადგენდა კომპოზიტორ რისკი-კორსაკოვის ოჯახის „ღია შაბათობა“. და აი, იმ ღია შაბათობაზე რუსუდანი ფართოდ გაღო კარი; მით უფრო, რომ კომპოზიტორ რისკი-კორსაკოვის უფროსი ვაჟი — მიხეილ რუსუდანი სოლოვოვის კურსს უკვირებდა. რაც მთავარია, კომპოზიტორი რისკი-კორსაკოვი დიდ პატივს სცემდა რუსუდანის მამას ნიკო ნიკოლაძეს.

შობლები წყალბობით რუსუდანი ბავშვობიდანვე გზიარ ვეროულ კულტურას, ოჯახის სხვა წევრებთან ერთად მან შემოიარა ევროპის დიდი ქალაქები — პარიზი, ბერლინი, ჟენევა, ვენა და სხვები. შინ შეისწავლა ფრანგული, გერმანული, ინგლისური, აგრეთვე იტალიური და ჩეხური ენები.

იმ დავასა და ცხარე კამას, რომელიც იმართებდა ხოლმე ნიკო ნიკოლაძისა — თბილისსა თუ ქუთაისში, ფთოსა თუ ჯიხაშიში, მოსკოვსა თუ პეტერბურგში, პარიზსა თუ ლონდონში, ჟენევასა თუ ბერლინში, ციურებისა თუ რომში, ისმენდა ცნობისმომყვარე და ნიჭიერი რუსუდანი და დღიურებსაც კი ადგენდა. 1893 წელს 8-9 წლის გოგონამ თავის დღიურში დიდი ასოებით წაწერა ასეთი სტროქონები: „გუშინ საოცარი ამბავი მოხდა: 50 წლის გვედარი პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილი განჯიდან თბილისში ჩამოასვენეს და აქ დამარხეს“. დედის მეთვალყურეობით ასე განგაზრდობდა იგი დღიურების წერას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. და დღეს მის განჯიანში აწყვიტა გაყვითლებული ქრუელები — ბრწყინვალე მოგონებები, რომლებიც დღეს ქართულ ჟურნალ-გაზეთში იმეჭდება და დიდ გამომხატურებას პოულობს ფართო საზოგადოებაში.

როდესაც ვიკონებ რუსუდანი ნიკოლაძის დამადების თარიღს — 1884 წელს, ამ ციფრებს ირონიულად შევეყურებ. რუსუდანი თაბის ენერჯობით, შობის ნაყოფიერებით, ფე-





ნომინალური მესხიერებით ახალგაზრდაა. ამა მოუხმინეთ მას, როდესაც შორეულ ამავს ყვება, თუნდაც, შეხვედრის ილიანთა, აკავისთან... და დარწმუნებით, რომ წელთა სინჯველ ვერაფერს აკლბს მის ცოცხალ აზროვნებას, უნეველო ცნებებს. რუსუდანს ისევ ისეთი სიხალისე და ენერჯია აქვს, როგორც მოწაფეობისა და სტუდენტობის დროს. რუსუდანის ეს დამაბრუნებელი ენერჯია კარგად შეინახა უკრაინის აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ალექსი ბოგოლეუბოვმა. აი, რას სწერს იგი 1970 წელს თავის პირად წერილში რუსუდან ნიკოლაძეს:

«Ваши мемуары, в той части, в которой они печатаются в литературной Грузии, я читаю и восхищаюсь Вашей работоспособности».

რუსუდანმა გაიმარჯვა დროსთან ჭიდილში და მას პოლიტიკური ინსტიტუტის კათედრაზე ისევე მებრძოლსა და ანთერულს ვხვდეთ, როგორც აქ ორმოცდაათი წლის წინათ პეტერბურგში — იპატრივსა და ლებედევის ქიზორი ლაბორატორიაში. რუსუდანს იღვწის ისევე ახალ აზრთა სამყაროში ტრიალებს და ახალ-ახალ შემართო გვემებს სახავს. ისევ ზრდის სტუდენტებს, ისევ ექიმდება მათ და გამოყავს ცხოვრების დიდ დაზავს. ვერ წარმოგიდგინია რუსუდანის ინსტიტუტისა და მისი საყვარელი სტუდენტების გარეშე.

რუსუდანს ნიკოლაძის ბიოგრაფია მამამისის, ნიკო ნიკოლაძის ბიოგრაფიის გაგრძელებაა. ნიკო ნიკოლაძის გარდაცვალების შემდეგაც (1928 წ.) მის სახლში რუსუდანის წყალიბით არ ჩამქარაა დიდი შემოქმედებითი ძიება, კამათი და აზრთა ჭიდილი. აქ კამათობენ, მსჯელობენ ძველ და ახალ ლიტერატურაზე, თანამედროვე მეცნიერულ მიღწევებზე. გვხვით გარდასულ დროთა საინტერესო მოგონებები. ცოცხლდებიან ქართვლად და უცხოელ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ძვირფასი ხსენებები.

ისევ გრძელდება ნიკოს მიერ დაწყებული მეგობრობის დიდი ტრადიციები. ისევ მიდის წერილები და გამოკვლევები რუსუდანის სახელზე რუსეთიდან და ევროპის სხვადასხვა ქალაქიდან ძვირფასი სამახსოვრო წარწერებით, რომელთაც ხელს აწერენ სხვადასხვა დარგის გამოჩენილი მოღვაწეები.

და აი, ერთ-ერთ წერილში რუსუდანს თხოვს დისერტანტი, რომ მიაწოდოს რაიმე ახალი მასალა, ჩერნიშევსკისა და ნ. ნიკოლაძის, გერცენისა და ნ. ნიკოლაძის, ოკაიევისა და ნ. ნიკოლაძის ურთიერთობის შესახებ. ვინ ზოთვლის, რადღები ასეთი თხოვნა მიდის რუსუდანს ნიკოლაძის სახელზე.

რუსუდანის ბიძის დიდ დარბაზში, სადაც ღვას ნიკოსელი საწერი მაყიდა, აუპირველი ლიტერატურა აწყობია. როდესაც წიგნებს ვათავლიერებდი, შემხებვევით შემგვდა ორი დიდი კრებული ნ. გ. Чернышевский, «Статьи, исследования и материалы», წიგნი II. აქ კრებული ფურცელს ასეთი წარწერა აქვს: «Дорогой Русудан Николаевне Николадзе в знак укрепления дружеских литературных связей в наших сетях, возрастающих от поколения к поколению за сто лет».

Н. Чернышевская, В. Чернышевская.

ამავე სახელწოდების მესამე წიგნის თვსართ ვურცელზე კი ასეთი წარწერაა გაკეთებული: Глубоко уважаемой и дорогой Русудан Николаевне Николадзе в знак не угасимой благодарности за все то доброе, что видела семья Н. Г. Чернышевского от Н. Я. Николадзе в трудные времена царизма.

от И. Чернышевской.

ეს კრებულები გამოგზავნილია ქალაქ საჩხატიკოლოში ჩერნიშევსკის შვილიშვილების მიერ. ისინი არა მხოლოდ იმ დიდ შრომას და დეაწლს, რომელიც ნიკო ნიკოლაძეს მიუძღვის ჩერნიშევსკის განათარსულებისათვის ბრძოლაში ცარიზმის მიმდე პირობებში...

რუსუდანს პარიზში ყოველ ჩასვლაზე სორბონის უნივერსიტეტში ისმენდა მართა კიურის, შუასანისა და ლევატელის ლექციებს, შვეიცარიის სხდომებს და მეკონრობა ჰქონდა ცნობილ ფილოსოფოს ცოცლურთან. 1913 წელს რუსუდანს პეტერბურგშიან ნორვეგიაში დაესწრო სამხრეთ პოლშიან დაბრუნებული ამუნდსენის შესვენების ნანსტანთა. 1912 წელს მან პრადაში ნახა არა მარტო ტინო და ზრავს განთქმული საათი ქალაქის თვითმმართველების შინობების კომუნე, არამედ გაეცნო ალტმიკოსების სახეობრებულ გამოქვაბულებს და ზოგუნდის მიერ პირველად აღმოჩენილ და აგებულ ულტრა-მაკროსკოპს.

1917 წელს რუსუდანს ნიკოლაძე დაბრუნდა სამშობლოში და აქტიურად ჩაება საგანმანათლებლო მუშაობაში. ჯერ ეუშობიდა დიდი ზიანიშის სკოლებში (1921 წლამდე) შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — განთქმული ზიბილისის პეტრე მელიქიშვილის ლაბორატორიაში და თბილერობა მის ნიჭერს მოწაფედ.

რუსუდანს თავისი მოღვაწეობითა და შემოქმედებით ვერ ეტყვა ერთი რომლიმე მეცნიერების ვიწრო ჩარჩოებში და მონაწილეობს საბავშვო ბაღებისათვის სახელმძღვანელოს შედგენაში. 1925 წელს სახელმწიფო გამოცემებშიან გამოსცა „წერა-კითხვა საბავშვო ბაღში და დაწყებით სკოლაში“. რუსუდანს ნიკოლაძე აქ სახელმძღვანელოს თანავეტორი და რედატორია. 1926 წელს ვარლამ ძიძიგურმა დააკვი გაგვასარბა გამოსცეს „პირველი წიგნი“, რომელიც დაწყებითი სკოლისათვის იყო ვათავისწინებული. „პირველი წიგნის“ და მის ავტორთა დასტაქარს, არმად პატივცემული რ. ნიკოლაძე-პოლიექტორსა, — ასეთი მოწაფეული გადასცეს რუსუდანს ვარლამ ძიძიგურმა და აკაკი გვახარია შვით დასახლებული ქიზი.

რუსუდანს ნიკოლაძეს თავის ძმა კოთრე ნიკოლაძესთან ერთად დიდი დეაწლი მიუძღვის ქართული ტექნიკური ლექსიონის შედგენაში, მაგარ რუსუდანს ნიკოლაძე არა მარტო ქიმიკოსია, არამედ მწერალიც, რომელიც ქართული მემუარული ლიტერატურა გამამიდრთა საინტერესო მოგონებებით.

ასეთია მოკლედ სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ის ფართო გზა, რომელიც მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ რუსუდანს ნიკოლაძემ გაიარა და რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დააჩინა ჩვენი ქიმიური მეცნიერების განვითარების საქმეს.

ერთხელ ძალიან მასწრებულად მიხობრ რუსუდანმა: „მე მამაჩემის საწერი მაგიდის ერთი უკრა ვარო“. ნიკოს დიდი მემკვიდრეობის ეს ერთი უკრავს საკმარისია იმისათვის, ვისაც სურს ისე უწიკვლოდ და კვითსინდისიერად ემსახუროს თავის მშობელს, როგორც ნიკო ნიკოლაძე ემსახურებოდა და როგორც დღეს ემსახურება ნიკოს მიერ ბავშვობაში სასიყვარულოდ რუსოდ წოდებული რუსუდანს ნიკოლაძე.

რუსუდანს ნიკოლაძეს შემოდია ამაყად გახვლიდის მის მიერ განვლილ გზას და თამამად გაიმეოროს ილია ჭავჭავაძის სიტყვები:

და თუნდ მოკვდე, ან მეშინიან, მაგარ კი ისე, რომ ჩემი კვალი ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან, თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი.

# ათეული წლები კინოსელოვნებაში

ნინო ჩიხლაძე



ვ. ჭანკვეტაძე

ვიქტორ ჰანკვეტაძემ კინოსელოვნებაში დიდი და საინტერესო გზა განვლო. ეს გზა, — სამართლიანად წერს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კარლო გოგოძე, — შეიძლება არ არის თვალის მომჭრელი, მაგრამ თავის შინაგან არსში იმდენი სინათლის შემცველია, რომ არ შეიძლება ქართველი საზოგადოების ყურადღების გარეშე დარჩეს.

ვიქტორ ალექსის ძე ჭანკვეტაძე ცნობილი კინომსახიობი და რეჟისორია. იგი ხელოვნების ჭეშმარიტმა სიყვარულმა მოიყვანა კინოში. ხელოვნებისადმი ეს სიყვარული კი მას მისმა ტრადიციულმა ქართულმა ოჯახმა გაუღვიძა. ახალგაზრდა ვიქტორი განიცდიდა იმ დიდ მღელვარებას, რომელიც მას ოჯახში შემოქონდათ აქტალის აუდიტორიასა და სახალხო სახლის ქართველ მსახიობებსა და მოღვაწეებს, რომელთაც უშუალოდ იყო დაკავშირებული მისი უფროსი ძმა, ნიჭიერი მსახიობი ნიკოლოზ (კოლია) ჭანკვეტაძე.


კოლია სახალხო სახლის სცენაზე შესანიშნავად ასრულებდა ისეთ წამყვან და სერიოზულ როლებს, როგორიცაა ტარტიუსი (მოლიერის „ტარტიუსი“), ლეონ ბერგი (ი. ეკალაძის „ნიმფი ოცდერთი ჯვრით“), ლაქია („ლაქია“) და, რაც მთავარია, მან პირველმა შეასრულა ბრწყინვალედ ხლებსაკვივის როლი (გოგოლის „რევიზორი“).

პატარა ვიქტორი ხშირად დაჰყვებოდა ძმას თეატრში. იგი გამოჰყავდათ კიდეც სცენაზე პატარა ბიჭის როლში. ვიქტორი ბედნიერად თვლის თავს, რომ ნახა ოჯახის მემკვიდრე ვირტუოზული შემსრულებლის: ალ. იმედაშვილის თამაში.

ვიქტორის სახლში მუდამ ტრიალებდნენ ოჯახის ასლო მეგობრები: ნიკო გვირიძე, იოსებ იმედაშვილი, სახალხო სახლის მსახიობები: გ. ჯაბაური, ს. ღვებუაძე, ს. რომანიშვილი, ლ. ბარათაშვილი, კ. ხახანაშვილი, ნ. ნინოში (მჭედლიშვილი), რ. სალაყაია, თ. ლევაგა და სხვები. აქ თავს იყრიდნენ იოსებ გრიშაშვილი, გ. ქუჩიშვილი, ბეკლარ აბოსპირელი, სახელგანთქმული მომღერალი ვანო სარაჯიშვილი, რომელიც სიამოვნებით ასრულებდა ქართულ რომანსებს.

ამიტომ არავის გაკვირვებია, როცა ჯერ კიდევ თექვსმეტი წლის ვ. ჭანკვეტაძემ თავი მოეყარა თავისი უპირის ახალგაზრდებს და პრიუტის ქუჩაზე (ახლა კოტე მესხის ქუჩა) დაქირავებულ ოთახში დრ. მატული წრე ჩამოაყალიბა. მას გვერდში ამოუდგინნენ მეზობელი ტოლ-ბიჭები — ახლა ცნობილი მწერალი ელიზბარ ზედგინიძე, კინოოპერატორი უკლ. ტონ ნარიმანიშვილი და სხვ. თეატრით გატაცებული ყმაწვილები თვითონ წერდნენ პიესებს. ამ მხრეზე პირველნი ვ. ზედგინიძე და თვითონ ვ. ჭანკვეტაძე იყვნენ.

ისინი აგროვებდნენ ფულს გრიმის, პარიკებისა და სხვა საქართველოსათვის. მათ წარმოადგენეს ბავშვებისა და ახალგაზრდების გარდა ესწრებოდნენ მოაწმინდის ხანდაზმული მცხოვრებნი და იმდენად დიდი იყო ინტერესი, რომ ყველანი საკუთარი სკამებით მოდიოდნენ.



კინოფილმი „ქალიშვილი გალმიდან“. ინგლისელი ჯაშუსი — ვ. ჭანკვეტაძე.

დრამატულმა წრემ ისე გაშალა მუშაობა, რომ მალე მას უთმობენ მუშტაიდის თეატრის სცენას, ტრამვაის კლუბს და სხვ.

ბევრი კარგი ახალგაზრდა მოიყვანა აქ თეატრის სიყვარულმა, მათ შორის გასო გოძიაშვილი.

თეატრის სიყვარულით გატაცებული თვრამეტი წლის ვიქტორი იმერეთში, ბიძასთან სტუმრობისას, გარს იკრებს სცენისმოყვარე ახალგაზრდებს და დასადგმელად ამზადებს მ. ჯავახიშვილის „არსენას“. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო ბესარიონ ჟღენტამა.

რა უცნაური ყოფილა მსახიობობა, ფიქრობდა ვიქტორი: თუ ერთხელ ფეხი შედგი სცენაზე და ხალხმა შეგაგება, მორჩა, სცენას ვერ მოშორდები.

ასეც მოხდა. ვიქტორმა შეიყვარა სცენა. მისი მთელი ოცნება და ფიქრი თეატრი და მსახიობობა გახდა.

ერთხელ, ერთ-ერთ სპექტაკლში მთავარი როლის შესრულებელი ახალგაზრდა ქალი საქმრომ წარმოდგენის დაწყების წინ პირდაპირ სცენიდან წაიყვანა: — ჩემს საცოლეს სცენაზე არ ვათამაშებო. სპექტაკლი იშლებოდა, ხალხი ღელავდა, ფარდის ახდს თბოვდა.

დამშვიდდით! — წამოიძახა ვიქტორმა, — წარმოდგენას არ ჩავშლით, ქალის როლს მე შევასრულებ, მან ტექსტი ზეპირად იცოდა, საჩქაროდ გაიკეთა გრიმი, ნაწნავი მოირგო, მხრებზე გადაიყარა, კაბა ჩაიცვა და სცენაზე გავიდა.

წარმოდგენამ შესანიშნავად ჩაიარა. ეგვი არავის შეაარვია, რომ ქალის როლს ნიჭიერი ახალგაზრდა, წარმოდგენის დამდგმელი ვიქტორ ჭანკვეტაძე ასრულებდა.

აქედან დაიწყო ვ. ჭანკვეტაძის საინტერესო შემოქმედებითი გზა. მალე თბილისის საშუალო სკოლებში დრამატული წრეების ჩამოყალიბებას შეუდგინენ. ვ. ჭანკვეტაძეს დაეგვლა თბილისის მე-8 საშუალო სკოლაში (ყოფილი წმ. ნინოს სასწავლებელი) მოსწავლეთა დრამატული წრის ჩამოყალიბება და ბავშვთა შორის შემოქმედებითი მუშაობის გაშლა.

სკოლის პედაგოგს ქეთევან ტატიშვილს ამისთვის ნიადგი მოეზადებინა კიდევ. ბავშვები ხალხსით შეგდენენ ამ ღონისძიებას და საინტერესო მუშაობა გაიშალა.

შემონახულია ვ. ჭანკვეტაძის და ქეთო ტატიშვილის მიერ სკოლაში დადგმული წარმოდგენების პროგრამა, რომელიც მუდამ მთავრდებოდა ამავე სკოლის მოსწავლის, დღეს ცნობილი მოცეკვავის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ნინო რამიშვილის ცეკვით. აკომპანენმენტს დაუზარებლად ასრულებდა უფროსი კლასის მოსწავლე, ამჟამად ცნობილი მსახიობი თამარ ციციშვილი. ვ. ჭანკვეტაძეს



კინოფილმი „ქალიშვილი გალმიდან“. ინგლისელი ჯაშუსი — ვ. ჭანკვეტაძე, თათრის ქალი — ნ. ჩიქოვანი.

გუთუნის ამავე სკოლის მოსწავლის, ნიჭიერი მსახიობი ქალის კირა ანდრონიკაშვილის სცენაზე პირველად გამოყვანა.

1925 წელს ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ვ. ჭანკვეტაძის მუშაობაზე სკოლაში წერდა:

„მე-8 შრომის სკოლის მოწაფეთა დრამატულმა დასმა, იანვრის 18-ს გამართა საღამო, საკუთარი დრამატული წრის დაარსების აღსანიშნავად. საღამოს ხელმძღვანელობდნენ ქეთო ტატიშვილი და ვ. ჭანკვეტაძე. წარმოდგენილი იქნა „ლიონელი“ და „თავისუფლების მოტრფალე“. ცუცა ჩინბაძემ გააკეთა მოხსენება. თ. ვარდანაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა დრამატულ წრის მნიშვნელობის შესახებ, რაც დააბლოგებს: — გაუმარჯოს ამ წრის დამარსებლებს და ჩის მოწაფეებს, რასაც დიდი ტანით შეხვდა ხალხი. შემდეგ ნინო რამიშვილმა იცეკვა.“

დაპატიებულები იყვნენ სხვადასხვა სკოლის მოწაფენი. საღამომ კარგად ჩაირა — ვაშა ქეთო ტატიშვილს, ვ. ჭანკვეტაძეს! ვაშა მათ ნამოქმედარს, გაუმარჯოს მათს ხელოვნებას და მისწრაფებას!<sup>1</sup>

ბავშვებთან ასეთმა სიახლოვემ და მათმა სიყვარულმა დააწვინა აქტორის ისეთი საინტერესო პიესა, როგორც იყო „დღრმუცელას სიზმარი“, რომელიც ვ. ჭანკვეტაძის რეჟისორობითა და VIII სკოლის მოწაფეთა ძალეებით პირველად წარმოადგინეს რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე.“



ვ. ჭანკვეტაძე და ნ. ვარნაძე კინოფილში „ამივი“

ამასთან დაკავშირებით 1927 წლის 19 აპრილს გაზეთი „მუშა“ წერდა:

„ამ წარმოდგენამ ნათლად ცხადყო ბავშვთათვის თეატრის დაარსების საჭიროება... ყოველმა ბავშვმა თითო აგური უნდა მიიტანოს ბავშვთათვის თეატრის ასაშენებლად. თეატრი ბავშვებისათვის უნდა აშენდეს, ხმაბალა გაუწყებდნენ სცენიდან ბავშვები. იგივე გაიმეორეს ბავშვებმა თეატრის დარბაზიდან.“

აქ რომ, ამ მხრივაც, ვ. ჭანკვეტაძის ხალისიანმა და ნაყოფიერმა მუშაობამ ჭეშმარიტად შეუწყო ხელი საბავშვო თეატრის დაარსებას. და ეს არ იყო პატარა საქმე.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ როდი გვაკვირვებს ვ. ჭანკვეტაძის ველეტაჟა კინოხელოვნებით.

კინოში იგი კოცან წლებში მოვიდა, როცა ქართული საბჭოთა კინო პირველ ნაპიჯებს დგამდა.

1924 წელს თბილისში გაიხსნა სახეინმრეწვისა და პროდუქტკულის ორწლიანი სამსახიობო კინოსტუდია. ვ. ჭანკვეტაძესთან ერთად აქ სწავლობდნენ: დღეს ცნობილი დრამატურგი გიორგი მდივანი, რეჟისორები — ს. ფაღვანაშვილი, ალ. ჯალიაშვილი, მოსკოვის კინოტრონიკის რეჟისორი დ. ვარლაშვილი, ოპერატორი ალ. სეიშითივი, რეჟისორის ასისტენტი ა. მოშიაშვილი და სხვები.

1926 წელს ვ. ჭანკვეტაძემ წარჩინებით დაამთავრა კინოსტუდია და მუშაობა დაიწყო ცნობილი რეჟისორების ალ. წუწუშაძესა, ივ. პრესტიაიის, ვ. ბარსიასა და ამო ბეკ-

ნაზაროვის ხელმძღვანელობით. იმავე წელს კოტე მარჯანიშვილმა ვიქტორს ფილმ „ამივი“ ახალგაზრდა ინგლისელი ოფიცრის როლი შესთავაზა.

დაიწყო ჩემი ცხოვრების ბედნიერი წუთები, — იგონებს ვ. ჭანკვეტაძე, — კოტე მარჯანიშვილს უნდა გამოეწვია ჩემს სახეზე დიდი ტრაგიკული განცდა, როცა მე ვიდექი საყვარელი ადამიანის — თეთრი ქალის კუბოსთან. მე კი ველეაღვი და საღვლებევიც იყო, ჯერ ერთი ემონაწილეობდი რთულ ეპიზოდში, მეორეც, ვიყავი ნატო ვაჩნაძის პარტნიორი. გადაღების დაწყებამდე კ. მარჯანიშვილმა დამამხილა. დინჯად, ნელი ნაბიჯით პავლიონიდან ეზოში გამიყვანა, მესაუბრებოდა ჩემი გარდაცვლილი მშობლებისა და უფროსი დის შესახებ. მოგონებებმა მწუხარებით შეჭარა ჩემი სახე და ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ცრემლების გამოსაწვევად. ეს ეპიზოდი ერთობ გულწრფელი და ცხოვრებისეული გამოვიდა. ცხადია, გამამარჯვებინა კ. მარჯანიშვილის დიდმა რეჟისორულმა მიდგომამ.

პირველი როლის ბრწყინვალე შესრულებამ განამტკიცა ვიქტორის სამსახიობო რეპერტუარი, აქტიორული შემოქმედებითი პერსპექტივები. საქართველოში პირველმა მან შესასრულა ვეროპელის როლი.

ვ. ჭანკვეტაძის გარეგნობითა და ნიჭით დაინტერესებულნი იყვნენ ჯივან ბოლას მეტად რთული როლის შესასრულებლად. ასევე ფიქრობდა იგი დავდა ჯეკ ლონდონის „პატარა შევდომი“ და შ. ცვაივის „24 საათი ქალის ცხოვრებიდან“. მას გადაწყვეტილი ჰქონდა მთავარ როლებში ვ. ჭანკვეტაძე გამოეყვანა, მაგრამ კ. მარჯანიშვილის ქუთა-

<sup>1</sup> „თეატრი და ცხოვრება“, 1925 წ., № 3, გვ. 15.



ისში გადასვლასთან დაკავშირებით, ამის განხორციელება ვეღარ მოხერხდა.

ახლაც გულისტკივილით იგონებს ვიქტორი 1928 წელს ქუთაისში წასვლის წინ კ. მარჯანიშვილთან გამოთხოვებას: „მაშ, ვერ მოდიხარ, რჩები! კარგი კი იყო შენი მომავლისათვის კიდევ რამდენიმე წელი ჩემთან გემუშავა. განზრახული შექონდა „უდანაშაულო დამანაშავენი“ დამეგება და ნუნუაშვილის როლში შენ გამომეგებებე“ — ეუბნებოდა დიდი რეჟისორი ვ. ჭანკვეტაძეს.

ვიქტორის მიზეზი ის იყო, რომ ამ ახალგაზრდასთან ერთად ვიქტორს გზავნიდნენ მოსკოვის კინოტექნიკუმში სასწავლებლად.

კინოტექნიკუმში სწავლის დროს, ვ. ჭანკვეტაძეს, როგორც ნიჭიერ სტუდენტს, პირველი კურსიდანვე შესთავაზეს როლები: მხატვრისა — სურათში „მესამე დილა“, გერმანელისა — „ქალაქსა და წლებში“, რომლებიც ვიქტორმა წარმატებით განახორციელა. ამის შემდეგ მას რამდენჯერმე შესთავაზეს მოსკოვში სამუშაოდ დარჩენა, მაგრამ ოჯახური მდგომარეობის გამო ვიქტორი იძულებულია სამშობლოში დაბრუნებულიყო.

ვ. ჭანკვეტაძე შესანიშნავ წარმატებებს აღწევს ქართულ კინოსურათებში. რეჟისორ ლეო ესაკიას ფილმში „შაქირი“ იგი შესანიშნავად ასრულებს კულაკის განებივრებული ვაჟის როლს. ასევე საინტერესო იყო ამავე რეჟისორის სურათში „ქალიშვილი გაღმადან“ — მის მიერ შესრულებული ინგლისელი ჯამუსის როლი. კინოსურათ „ციცისკარაში“ ვიქტორმა ნამდვირ ნაციონალურ ფორმამი გადმოგვცა „ჯადოქრის“ პლასტიკური სახე. ერთმანეთისაგან საფუძვლით განსხვავებული ეს ხასიათები ვ. ჭანკვეტაძის მიერ ღრმა გააზრებითა და მაღალი მხატვრულობით იყო შესრულებული.

კინოფილმი „ციცისკარა“. ჯადოქარი — ვ. ჭანკვეტაძე.



უნდა ითქვას, რომ ვ. ჭანკვეტაძის მუშაობა საკმაოდ მრავალფეროვანი იყო ხელოვნებაში. კინოსმანიხში (1931) რეჟისორის პირველი ასისტენტი, რეჟისორი თუ კოსტიუმების მხატვარი, მონატივიორი თუ გრიმიორი. იგი ყველგან გამოჩნდებოდა საქმის სიყვარულითა და ერთგულებით, ნიჭიერებითა და დასვენებით გემუშავებდა.

ვ. ჭანკვეტაძემ ვერ კიდევ 1938 წელს საკუთარი სცენარის მიხედვით დამოუკიდებლად გადაიღო „თბილისის ზოოპარკი“. „რუსთაველის აკადემიური თეატრის სპექტაკლების ფრაგმენტები“. ეს უკანასკნელი დღემდე შერჩა რუსთაველის თეატრის ისტორიის ფონდს. ამათ გარდა, ვ. ჭანკვეტაძემ გაახმოვანა და დამონტაჟა რამდენიმე სურათი, მათ შორის, მისივე ძმის მხატვარ კ. ჭანკვეტაძის მიერ გადაღებული მულტფილმები: „რწყილი და ჭიანჭველა“, „გაიძობი“, „წინაში მშვილდისანი“ და სხვა.

ვიქტორი მადლიერებით იგონებს შესანიშნავ რეჟისორებს: მ. ჭაბუკაძეს, ს. დოლიძეს, ნ. სანიშვილს, ლ. ესაკიას, ვ. ტაბლიაშვილს, დ. რონდელს, შ. მანაგაძეს, კ. პიპინაშვილს, დ. აბაშიძეს, გრ. გომართელს, ვ. პეტროვს და ანენსის, რომლებთანაც მუშაობამ მას დიდი რეჟისორული გამოცდილება და კულტურა მისცა.

იგი იყო თითქმის ოცდაათი კინოსურათის პირველი ასისტენტი, რამდენიმე სურათის რეჟისორი. ვ. ჭანკვეტაძე არის ქართული საბჭოთა კინოს დიდი პატირობი.

საქართველოს სახალხო არტისტი ო. კობერიძე იგონებს: „...კინოსთვის ვ. ჭანკვეტაძემ აღმომაჩინა. ქართული კინოს ამ ვეტერანმა მრავალი ჭალი და ვაჭი აზიარა კინოხელოვნებას. მაივან ბევირი დღემდე შერჩა ჩვენს კინოსა და თეატრს.“<sup>2</sup>

ვ. ჭანკვეტაძეს ცკუოების სცენარი კინოფილმისათვის „წინაში“. დიდი იყო ამ სცენარის მორალური ძალა და აღმზრდელიობითი მნიშვნელობა. იგი ეხება მეტად აქტუალურ თემას, საბჭოთა ოჯახს. სურათში მკვეთრად არის ნაჩვენები, რომ მშობლების მიერ გადადგმულ მცდარ, დაუფიქრებელ ნაბიჯს მოჰყვება მოზარდის დიდი სულიერი ტრავმები. „წინაში“ სწორედ ასეთი სუსტი ნებისყოფის ადამიანის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ამ სცენართან დაკავშირებით მრავალი წერილი და დეპუშა მოდიოდა კინოსტუდიის დირექციის სახელზე. კინოსტუდიის შენობაში გაკეთდა დაფა, სადაც გამოკრული იყო მაყურებლების დეპეშები, მილოცვები, სტუდიის დირექციისა და სცენარის ავტორისადმი, რომლებშიც აღნიშნული იყო, რომ ამ სურათმა ბევრ ოჯახს დაუბრუნა მამა.

... ორმოცდასულ წელზე მეტია, რაც ვ. ჭანკვეტაძემ გულწრფელად ვისახურება მშობლიურ ქართულ ხელოვნებას. დიდა ვ. ჭანკვეტაძის ამაგი მშობლიური კინოსელოვნებისადმი. მან არ იცის დაღლა, გულგრილობა. დაწყებულ საქმეს შეეჭიდებოდა და ბოლომდე უყუყუანოდ მიიყვანდა.

მან ეს ვრძელი შემოქმედებითი გზა მართლაც, რომ უმწიკვლოდ და სასახელოდ განვლო.

<sup>2</sup> უფროსი „საბჭოთა ხელოვნება“, 1967 წ., № 11, გვ. 24.

# დიზაინი და ადამიანი

კუთერ ციციშვილი

ბმქმპკური ესეთეტიკა და მხატვრული კონსტრუირება მეცნიერების შედარებით ახალი დარგია. ამიტომაც უამრავი ურთიერთ საწინააღმდეგო აზრია მასზე გამოთქმული. მთავარი კი ის არის, რომ მათში არ არის გამოხატული ძირითადი და არსებითი, რაც ნათლად გამოკვეთავდა მათ დანიშნულებასა და ადგილს მეცნიერული ცოდნის სისტემაში. ერთნი მათ ესეთეტიკის უფლებამოსილებას მიაკუთვნებენ, მეორენი — ტექნიკის სფეროს, ხოლო მესამენი კიდევ უფრო ფართო მნიშვნელობას ანიჭებდნენ მას, როგორც ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს დაგეგმვასა და პროგნოზირებაში.

არსებობს აგრეთვე აზრი, რომ დიზაინი მუდამ არსებობდა, რომ ჯერ კიდევ ძველი ბერძნები მოღვაწეობდნენ ამ დარგში. ამაზე მიგვანიშნებს მათ შიერ სერიულად და მზადებული ამფორები, სადაც ჰარმონიულად იყო შერწყმული ნაკეთობის პრაქტიკული, ფუნქციური და ეკონომიური თვისებები.

არსებობს ისეთი აზრიც, რომ დიზაინი დაკავშირებულია წარმოების განვითარებასთან. ამ საქმის პოინტირებად მიჩნეული არიან გერმანელი სპეციალისტები, რომელთაც ეს პრობლემა პრაქტიკულად დააყენეს ჩვენი საუკუნის დასაწყისში. ამ დროიდან მოკიდებული გაჩნდა და ფართოდ გავრცელდა „დიზაინის“ ცნება, თავდაპირველად საწარმოო, ხოლო შემდგომ ადამიანის მოღვაწეობის სხვა სფეროში.

1959 წელს ამერიკელი დიზაინერების, დიდი ბრიტანეთის სამრეწველო საწარმოთა მხატვრებისა და დიზაინერების საზოგადოებისა და საფრანგეთის ტექნიკური ესეთეტიკის ინსტიტუტის ინიციატივით ჩამოყალიბდა მხატვრული კონსტრუირების ორგანიზაციათა საერთაშორისო საბჭო.

1958 წელს სტოკჰოლმში ამ საბჭოს სხდომაზე მიიღეს „industrial design“, რაც სიტყვასიტყვით „სამრეწველო პროექტირებას“ ნიშნავს. აქვე აღდგინდა საბჭოს კონგრესის მოწყვეა ყოველ ორ წელიწადში.

მას შემდეგ, დადგენილების თანახმად, შესდგა აღნიშნული საბჭოს ექვსი კონგრესი.

მხატვრული კონსტრუირების ორგანიზაციათა საერთაშორისო საბჭო ძალზე საინტერესო და მრავალმხრივ საქ-

მიანობას ეწევა. ამას ადასტურებს თუნდაც სხენებულ კონგრესებზე გახილული საკითხები: „დიზაინის როლი საზოგადოებაში“ (სტოკჰოლმი, 1959 წ.), „დიზაინი, როგორც პროფესია“ (ვენეცია, 1961 წ.), „დიზაინი, როგორც გამაერთიანებელი ფაქტორი“ (პარიზი, 1963 წ.), „დიზაინი საზოგადოების სამსახურში“ (ვენა, 1965 წ.), „ადამიანი ადამიანისათვის“ (მონრეალი, 1967 წ.) და „დიზაინი, საზოგადოება და მომავალი“ (ლონდონი, 1969 წ.).

ამჟამად ამ საბჭოში შედის 49 (33 კაპიტალისტური, 8 სოციალისტური) ქვეყნის 57 ორგანიზაცია, წევრთა საერთო რაოდენობა კი 25 ათას კაცს აღემატება.

„იკსიდში“ (მხატვრული კონსტრუირების ორგანიზაციათა საერთაშორისო საბჭო), მიუხედავად პოლიტიკური განსხვავებისა, მიღწეულია საერთაშორისო თანამშრომლობა დიზაინის გასავითარებლად ადამიანის გარემომცველი გარემოს გაუმჯობესებისათვის. ამიტომაც იყო, რომ „იუნესკოში“ „იკსიდს“ მიანიჭა კონსულტატური ორგანიზაციის სტატუსი და მასთან მუდმივი კავშირი დაამყარა (1961 წ.).

„იუნესკოსთან“ ერთად იქმნება სლოადების (დიაპოზიტების) საერთაშორისო კოლექცია, რომელშიც წარმოდგენილია მსოფლიო დიზაინის საუკეთესო ნიმუშები (ამჟამად კოლექციას აქვს 30 ნიმუში 15 ქვეყნიდან). „იუნესკო“ ფინანსურად ეხმარება „იკსიდს“ ცალკეული ღონისძიებების გატარებაში.

„იკსიდი“ თანამშრომლობს აგრეთვე „იუნედოსთან“ (არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, შეისწავლის წარმოების განვითარების საკითხებს), „იკოგრადთან“ (გამოყენებითი და საწარმოო გრაფიკის ორგანიზაციათა საერთაშორისო საბჭო), „იუასთან“ (არქიტექტურათა საერთაშორისო საბჭო) და სხვ.

ვიდრე საკითხის უშუალო განხილვას შეუდგებოდეთ, საჭიროა განისაზღვროს თუ რა არის დიზაინი. ამისათვის აუცილებელია რაციონალურად მივიდეთ და ყოველმხრივ გავეაზროთ დიზაინის უკვე არსებული განსაზღვრებანი და მათში მოცემულ არსებით დახასიათებათა გაანალიზების

\* ეს ტერმინი პირველად მიღებულ იქნა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1919 წელს.



საფუძველზე შევიცადეთ გადმოვცეთ მისი ყველაზე მეტად მისაღები განმარტება.

„იკსიდის“ ყოფილი პრეზიდენტის ტომასი მაღლიანადს განმარტებით „დიზაინი არის შემოქმედებითი საქმიანობა, რომლის მიზანია მიწვევლობის მიერ წარმოებული საგნების ფორმალური თვისებების დადგენა. ფორმის ეს თვისებანი შეეხება არა მარტო საგანთა გარეგნულ სახეს, არამედ, უმთავრესად, მათ სტრუქტურულ და ფუნქციურ ვაგონებს, რომელნიც სისტემას განუყოფელი ერთობლივად დააქვეყნენ, როგორც დამამზადებლის, ისე მომხმარებლის თვალსაზრისით. დიზაინი ცდილობს მოიკვას ადამიანის გარემომცველი გარემოს ყველა მხარე, რომელთა ჩამოყალიბებაზეც შემოქმედებას ახდენს სამრეწველო წარმოება.“

ტომასი მაღლიანადს განმარტებას აუბებს ბრუს არტეის მიერ ჩამოყალიბებული განსაზღვრება. იგი ამბობს: „დიზაინერული პროექტის შემუშავება ნიშნავს რომელიმე ერთი ან რამდენიმე სამრეწველო ნაკეთობის წარმოების მომზადებას: დიზაინი — ეს არის სამრეწველო წარმოების პროექტში გამოსაშვები საგნების დარეგულირება, რომელთათვისაც ესთეტიკასა და სხვა „ადამიანურ ფაქტორებს“ დიდი მნიშვნელობა ენიჭება.“

დიზაინის შესახებ არსებობს კიდევ ერთი განსაზღვრება, რომელიც შემუშავა „იკსიდის“ კომისიამ; ამ ეს განმარტებაზე: „დიზაინერის ამოცანაა შეიქმნას ისეთი საგნები და განისაზღვროს მომსახურების მოთხოვნილებათა ისეთი წრე, რომ ადამიანისათვის ცხოვრება ნაყოფიერი და სასარგებლო გახდეს.“

შეგნს შევყვანოთ აქამამდ ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო სპეციფიკური კვლევითი ტენდენტებს (ტესესს), რომელიც „იკსიდის“ წევრია, აქვს თავისი განმარტება, რომელიც მოხსენიებულ იქნა „იკსიდის“ VI კონგრესზე: „დიზაინი, ეს არის შემოქმედებითი მოღვაწეობა. მისი მიზანია ისეთი პარმონიული საგნობრივი გარემოს ფორმირება, რომელიც, რაც შეიძლება უფრო სრულად დააკმაყოფილებს ადამიანის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს.“

რამდენადაც მოვლენის, თუ საგნის განსაზღვრებაში მოცემული უნდა იყოს მხოლოდ აბსოლუტურად აუცილებელი და არსებითი, მოკლედ და მკაფიოდ პასუხი უნდა გაეცხ მათს დამახასიათებელ ყველაზე არსებით მხარეში.

შეგნის აზრით, ნაცვლად აქამდე გამოთქმული განმარტებებისა, უმჯობესი იქნებოდა მოგვეცა დიზაინის შემდეგი განმარტება: დიზაინი შემოქმედებითი მოღვაწეობაა, რომელიც ინდუსტრიული წესით გამოშვებული საგნების ფორმალურ თვისებათა დადგენით, ქმნის სტრუქტურულ-ფუნქციურად და კომპოზიციურად მთლიან, ადამიანის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა შესაბამის პარმონიულ საგნობრივ გარემოს.

ამრიგად, სწორედ ამ გარემოს შექმნა არის დიზაინის მიზანი. ინდუსტრიული წესით გამოშვებული საგნების ფორმალური თვისებების დადგენა — ეს არის საშუალება ამ მიზნის მისაღწევად.

ტექნიკური ესთეტიკა დიზაინს ემსახურება, რადგან იგი შესწავლის დიზაინის განსაკუთრების კანონზომიერებებს და ადგენს მის რაობას, მის არსებობ ნიშნებს და დამახასიათებელ თავისებურებებს. ტექნიკური ესთეტიკის დანიშნულებაა მსატყულო კონსტრუქციების საფუძვლების პრინციპების და მეთოდების განსაზღვრა. ეს კი, თავის მხრივ, ქმნის სამრეწველო საგნების (ნაკეთობების) ყველაზე მიხალაბი პროექტების შემუშავების საფუძველს იმის გათვალისწინებით, რომ ყოველივე ეს განუყოფელია ადამიანის მიერ უშუალო გამოყენებისათვის.

შევიძლია ვივარაუდოთ, რომ მომავალში დიზაინი გადაიხრება მეცნიერებად, რომლის ამოცანა იქნება საგნ-

ბისა და საგანთა სამყაროს მოწესრიგება, ფორმირება, განვითარება და ფუნქციონირება. ეს საკიროა იმისათვის, რომ საფუძველი ჩაეყაროს ადამიანის უფრო თავისუფლად და მრავალმხრივ განვითარებას, საზოგადოების შემდგომ სოციალურ პროგრესს.

მსატყულო კონსტრუქციების მიზანია, ყველა პირობა შეეხება იმისათვის, რომ საგანი მოხერხებულ იყოს, ეს კი მოითხოვს საგნის თავისებურებისა და მისი მოხმარების პირობების შესაბამისობას, მთლიანი და პარმონიული ფორმის შექმნას, საგანთა ესთეტიკური თვისებების აწვლვებას.

საწარმოო პროექტირების დროს შემოქმედებითი პროცესი თვითმიზანი როდია. იგი მხოლოდ იმის საშუალებაა, რომ შეიქმნას სამრეწველო პროდუქციის აუცილებელი სამომხმარებლო თვისებები. საგანთა სამყარო, რომლითაც გარემოცულია ადამიანი, პარმონიულ მთლიანობაში უნდა იყოს და რაც შეიძლება უკეთ ემსახურებოდეს ადამიანს. გარემომცველ საგანთა რაოდენობა მინიმალური უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამან შეიძლება გაართულოს ფუნქციური პროცესების ნორმალური განვითარება. საგნების სასარგებლო ღირებულება კი მაქსიმალური უნდა გაეზადოდ. ამასთან, ცხადია, მათი წარმოებისა და შექმნისათვის გაწეული ხარჯები დიდი არ უნდა იყოს, ე. ი. ნიშნავლური დანახარჯებით უზრუნველყოფილად თავიანთ დანიშნულებას. ერთად მოთავსებული ასეთი საგნები ფუნქციონალურად უნდა აესებდნენ ერთმანეთს. ამასთანავე, უნდა შექმნან სრულყოფილი კომპლექსები, როგორც რაციონალური, ისე ესთეტიკური თვალსაზრისით. ყველად საგანი უნდა უკავშირდეს ტექნიკური ესთეტიკის მოთხოვნილებებს, რადგან სწორედ ეს უზრუნველყოფს საგანთა გამოყენების მოხერხებულობას, მათ სილამაშესა და ანსაზმლის მთლიანობას.

ტექნიკური ესთეტიკა სოციალური მეცნიერებაა. ჩვენს საზოგადოებაში მსატყულო კონსტრუქციებისა და ტექნიკური ესთეტიკის პრინციპების დაწერვა, პირველ რიგში, მიმართულია ადამიანის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ადამიანთა გაერეობილი საგნებიც კეთილშობილური აზრების აღმძვრელი (როგორც შინაარსობრივად, ისე გარეგნულადც), სრულყოფილი და ესთეტიკურად მომხმობელი უნდა იყოს. თავისი ესთეტიკური პრინციპებით ეს მეცნიერება ვერდნობა მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პოზიციებს. მაგრამ რამდენადაც იგი გამოყენებითი მეცნიერებაა, რომელიც ადგენს ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის ერთ-ერთი სფეროს კანონზომიერებებს, იგი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ზოგადი ესთეტიკის სფერო.

კაპიტალისტურ ქვეყნებში საგანთა ფორმირებასა და მსატყულო კონსტრუქციების განვითარებაზე შემოქმედებას ახდენს წინააღმდეგობანი წარმოებასა და მოხმარებას შორის — წარმოების საშუალებათა დატვირთვათი და საბრეწველო ნაკეთობათა სტრუქტურა მორალური ცვეთით, რაც განსაკუთრებული ბაზრის კონკრეტურის მერყეობით. ამ პირობებში მსატყულო კონსტრუქციები მიწვევლობის კონკრეტული სახეს ატარებდა და მუშაკებისა დიდი მიღწევების მიუხედავადც კი წარმოშობს სტილიზატორებს, წინადა გამაფორმებლობას — „სტილიზმს“, რომელიც კონკრეტული ბრძოლის საშუალებაა. საბოლოო ანგარიშით, „სტილიზმის“ მნიშვნელობა დადის საგანთა მოთხოვნის ხელმოწერა სტილიზირებად.

ტექნიკური ესთეტიკა შესწავლის როგორც დიზაინის ზოგად თეორიულ პრობლემებს, ისე ისეთ მეოთხედებსა და საშუალებებს, რომელთა გამოყენება ვეკადვლებს დიზაინის ყველაზე სრულყოფილ ნიმუშებს. ისევე, როგორც X X საუ-

კუნის მეცნიერების უმეტესი ნაწილი (მაგალითად, ბიოქიმიკა და ასტრონავტიკა), ტექნიკური ასეთივე ვითარდება სხვადასხვა მეცნიერების მიღწევებზე, ამასთანავე ტექნიკიკა და ხელოვნების მიღწევებზე დაყრდნობით (სოციალური, ეკონომიური, ტექნიკური, ფსიქოლოგიური, ფიზიოლოგიური, ჰიგიენური და ესთეტიკური ფაქტორების გაანალიზებით) ტექნიკური ესთეტიკა აშუშავებს კომპლექსურ პრობლემებს და ადგენს კანონებს; ამ კანონებზე დაყრდნობით იგი აყალიბებს თავის მოთხოვნილებებს გარემოსადმი და საგანთა სამყაროსადმი. ზემოაღნიშნული ფაქტორებიდან თითოეული თანაბრად დიდი მნიშვნელობა აქვს. მხოლოდ მათი შერწყმა გვაძლევს უკეთეს შედეგს.

მაშ ტექნიკური ესთეტიკა წესისწავლის ერთს მხრივ, დიზაინის ზოგადი თეორიის საკითხებს, რომლებიც საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ დიზაინის სოციალური ამოცანები და მისი შედეგები განვითარების გზები, აგრეთვე იმ პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია მხატვრული საქმიანობის მეთოდურ და ფორმალთა ჩამოყალიბების საკითხებთან. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, საფუძველს უყრან დიზაინერული პროექტების თეორიას; მეორეს მხრივ, ადამიანისა და საგნების უთიერთდამოკიდებულების საკითხებს და აქედან ამ საგნების, როგორც ხიშიშეუღლებიან სასოციალურ პროცესების მიმდინარების ხელშეწყობით პრობლემის, ოპტიკალური ნომენკლატურის დადგენის პრობლემას, აგრეთვე სასრუველო საგნების, როგორც აუცილებელი საზოგადოებრივი ფუნქციების დამატებით ფუნქციონირებას, მიიხვედრება სამომხმარებლო თვისებათა შეფასებისა და პროგნოზირების პრობლემას; მესამე მხრივ, ეს განალავთ შიშველი საგნებისა და მათი კომპლექსების მხატვრული კონსტრუირების დინამიკური მოთხოვნილებების და ამ დონის ამოღებისათვის რეკომენდაციების შემუშავებას.

ტექნიკური ესთეტიკის მოთხოვნილებანი საგნების, ნაკეთობების მიმართ თავს იჩენს მხატვრული კონსტრუირების პროცესში.

დიზაინის, პირველი, თითქმის კლასიკური მეთოდი ინდუსტრიული ეს არის კონკრეტული ნაკეთობებიდან გამომდინარე დიზაინი. მეორე მეთოდი არის დეტალიზირი, ანუ სისტემის დიზაინი (სისტემიდან ნაკეთობებისაკენ, საგნისაკენ). თუ პირველ შემთხვევაში ძირითად როლს (სტრუქტურად) ასრულებდა „დიზაინი კონსტრუქტორი“, მეორეში — ბატონობს „სოციალური დიზაინერი“ — დიზაინერი სოციალური და ეკონომისტი, რომელსაც აქვს აგრეთვე ტექნიკური ცოდნა. უმეტეს შემთხვევაში ეს განალავთ დიზაინერების ჯგუფი, რომელთა შიშახია გამოიწვევან სისტემის „იდეა“, შექმნან ორგანიზაცია. დიზაინერ-ორგანიზატორი, რომელსაც კარგად აქვს განვითარებული სოციალური ინტელ, უნდა იდგეს სისტემის დიზაინის დამუშავების სათავეში. და მანვე შეგნებულად უნდა მიიყვანოს ბოლომდე სამუშაო, ე. ი. ყოველთვის უნდა მიაღწიოს საგანთა დიზაინსმდე. საჭიროა ორივე მეთოდის პარამონიული განვითარება. ამჟამად სისტემის დიზაინი მოითხოვს სათანადო დამუშავებას და განვითარებას.

არსებობს მხატვრული კონსტრუირების რამდენიმე სახეობა. ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ახალი ფუნქციური სტრუქტურების დამუშავებასთან; მეორე შემთხვევაში — მოდერნიზაციასთან და უკვე არსებული ნაკეთობების, საგნების შეცვლასთან; მესამეში — საგანთა მხოლოდ გარეგნულ გაუმჯობესებასთან, საგანთა ფორმებისათვის თანამედროვე ლფერის მინიჭებასთან.

დიზაინის, საერთოდ, და, სახელობრ, ჩვენს ქვეყანაში თავისი ისტორია აქვს. მისი წინა ისტორია ძალზე ხანგრძლივია და ცალკე თხრობის საგანს შეადგენს. ამჟამად, მოკ-

ლედ სამეცნიერო-ინჟინერო, რაც ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა ამ ბოლო რვა წლის განმავლობაში, 1962 წლის 28 აპრილს სსრ კავშირის მინისტრთა სამსახურში მიიღო დადგენილება ტექნიკური ესთეტიკის საკუთრივ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ტესკი) შექმნის შესახებ ქალაქ მოსკოვში. 1962-66 წლების განმავლობაში დიდ სამრეწველო ქალაქებში — მისკოვში, ლენინგრადში, სვერდლოვსკში, ხაბაროვსკში, კიევი, ხარკოვში, ბაქოში, რიგში, თბილისსა და ერევანში ჩამოყალიბდა სპეციალური სამხატვრო-საინჟინერო ბიუროები.

ამავე პერიოდში სხვადასხვა სამინისტროებსა და ორგანიზაციებთან შექმნა დარბოვითი სამხატვრო-საინჟინერო ბიუროები და ჯგუფები.

1966-67 წლებში დიზაინერულ ორგანიზაციებში და მათს მუშაობაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. სამათს კავშირის სახალხო მუსერების მართვის სტრუქტურის შეცვლა (მართვის დარბოვითი სისტემაზე გადასვლა) და გეოზომიური რეფორმის განხორციელება განაპირობა სამხატვრო-საინჟინერო ბიუროთა უმეტესი ნაწილის გადასვლა ტესკის ადმინისტრაციულ გაემეცნიერების, რომლებიც შედგომო ფლიალიზება გარდაიქმნა. ამით საფუძველი ჩაეყარა მრავალდარბოვრივი, მრავალპროფილიანი დიზაინერული ორგანიზაციების ქსელის შექმნას. ეს ფილიალიზები უშეაზრებლად ახლოდებებენ მხატვრული კონსტრუირების სამუშაოებს ხელმეორელებს საფუძველზე და უწყვიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, როგორც დამოუკიდებლად, ისე ტესკისთან ერთად.

ამჟამად ტესკის ექვემდებარება ცხრა ფილიალი: ლენინგრადის, კიევის, შორეული აღმოსავლეთის, ურალის, ხარკოვის, ბელორუსიის, ვილნიუსის, სომხეთისა და საქართველოსი.

რა არის ამ ფილიალების მიზანი? უწინარეს ყოვლისა, უნდა შევხებით მხატვრული კონსტრუირების პროექტების დამუშავებას. ეს ჩვენი ინსტიტუტის, რომ იტყვიან, სისხლნორიცული საქმეა. სახელობრ, რა კეთდება ამ მიმართულებით?

წარმოების საშუალებანი — ჩარბები, მანქანები, ხელსაწყოები, მექანიზმები, აპარატურა და სხვა, რომლებიც ამჟამად მოაუყენება ჩვენს ფაბრიკებსა და საწარმოებში, ხშირად მართლურად დაკვეცილი და ტექნიკურ-ეკონომიურად, ასევე ესთეტიკური თვალსაზრისით, მოქვედებულია. ამიტომაც ჩვენი ინსტიტუტი ახორციელებს თანამედროვეობისათვის შესაბამისი საწარმო საშუალებების მოდერნიზაციისა და ზოგჯერ მათი მთლიანად შეცვლისათვის საჭირო პროექტების დამუშავებას. ეს სამუშაო ხორციელდება ამა თუ იმ კონკრეტულ საწარმოს თავისებურებების, კონკრეტული საჭიროებების გათვალისწინებით.

აქვე აღვნიშნავ, რომ ამა თუ იმ კონკრეტული შემთხვევისათვის დადგენილი კანონზომიერებანი ძალზე ხშირად სართო და სასარგებლოა ბვერი სხვა შემთხვევისათვისაც.

მხატვრული კონსტრუირების პროექტები დგება აგრეთვე მშენებლობის, საგზაო და სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სატრანსპორტო საშუალებათა შექმნის დარგში. ჩვენს ინსტიტუტში დიდი ყურადღება ექცევა კულტურულ-სამომხმარებლო ნაკეთობებსა საკუთრივ ნიშუშების შექმნას; სამრეწველო საქონლის შეფუთვას; სასაქონლო ნიშნებისა და ფირმული სტილის გაუმჯობესება-დაწვეფას; საწარმოო, საზოგადოებრივი და საყოფაცხოვრებო ინტერიერების, ინტერიერის ნაკეთობათა, ფართო მომხმარების საგნების ყველაზე ოპტიმალურად გადაწყვეტილი პროექტებისა და ნიშუშების შექმნას. ინსტიტუტში არსებობს გეგონომიის განყოფილება, რომელიც აშუშავებს რეკომენდაციებს ადამიანთა შრომისა და ცხოვრების ოპტიმალურად



ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის. ერგონიმიულ გამოკვლევათა საფუძვლზე მუშავდება წინადადებანი, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია შრომის ნაყოფიერების ზრდის, დადლილობის შემცირების ან მთლიანად მოხსნის, სამუშაო ადგილებზე კომფორტის შექმნისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

ინსტიტუტ ამუშავებს ტექნიკური ესთეტიკის ზოგად მოთხოვნებებს სამრეწველო ნაკეთობათა ცალკეული ჯგუფებისათვის ნორმატივებისა და სტანდარტების შესაქმნელად.

ცნობილია, რომ ნაკეთობათა სამომხმარებლო თვისებების ხარისხს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, საერთოდ, და, განსაკუთრებით, მანქანამშენებლობისა და კულტურულ-სამომხმარებლო ნაკეთობათა შექმნის დროს. შეფასება ხდება საერთაშორისო დონის მიხედვით და ექსპერტიზა მიმართულია ნაკეთობის კონკურენტული თვისებების ამაღლებისაკენ. ამ საქმის გაუმჯობესების მიზნით, სსრ კავში-

რის მინისტრთა საბჭომ 1965 წლის 9 ივლისს მიიღო საეკოლოური დადგენილება, რომლითაც საბჭოთა დამამუშავებელი ფაბრიკა უფლება წარმოების ნიმუშების უფლებრივად დაცვისათვის (ლავანაკია საშატგრო-საფოსტრუქტოო ხამუშვერების სახელმწიფოებრივ და საავტორო ძირითატეტზე) გამომგონებლობისა და აღმოჩენების საკავშირო კოიტტიკი იმ ახალი ნაკეთობების მოწონება-არმიღების საკითხს, რომელზედაც შეძისულია გახაცხნად მოწონების და პატენტების მისდადება, არ განიხილავს, თუ არ არის წარმოდგენილი ტესტის მიერ შეცნიერულად დასაბუთებული დასკვნები. ეს დასკვნები ეტება ნაკეთობის ფორმის სათანადოდ და მის ხელტკავურ ღირებებს. ინსტიტუტში სათანადოდ მუშაობა ტარდება იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს ნაკეთობათა დეკორატიულ-კონსტრუქციული მოსაპიოკეთიელი მასალების და შედაპირის ხარისხი, შეიარების ფერთა ასოტიკიმებტი.

დაასარულ, ინსტიტუტში მუშავდება მეოთხდური ხელმძღვანელობის საკითხები და ტარდება ღონისძიებანი ამ მიზარებით. გამოიცემა მეთოდური სახელმძღვანელოები სამრეწველო მოწყობილობის, მახანათმშენებლობის, კულტურულ-სამომხმარებლო დანიშნულების ნაკეთობათა მხატვრული კონსტრუირებისათვის.

ტესკი „იკსიდის“ წვერია და აქტიურად მონაწილეობს ყოველ ორ წელიწადში გამართულ კონგრესებში, აგრეთვე დემოკრატიული და კაპიტალისტური ქვეყნების დიზაინისაში მიძღვნილ სპეციალურ სხდომებსა და კონფერენციებში.

ტესკი და მისი ფილიალები ხშირად აწყობენ სხდომებსა და კონფერენციებს, რომელზედაც იწვევენ რაომინსტრთებისა და უწყებების წარმომადგენლებს.

ტესკის თოსხობით როგორც ჩვები ქვეყნის, ასევე უცხოეთის სხვადასხვა ქალაქებში სისტემატურად მწყობა საბჭოთა დიზაინერული ნაშუფერების გამოფენები. ორი დიდი დიზაინერული გამოფენა გაიმართა აგრეთვე ქალაქ მოსკოვში (კვლავ ტესკის ინიციატივით): „მეერთებული შტატების საწარმო ესთეტიკა“ და „მხატვარ-კონსტრუქტორის როლი დიდი ბრიტანეთის მრეწველობაში“.

თბილისში ჯერჯერობით ჩატარდა საერთაშორისო მნიშვნელობის ორი ღონისძიება: 1964 წლის მაისში მოეწყო კონფერენცია ტექნიკური ესთეტიკის საკითხებზე დემოკრატიული ქვეყნების წარმომადგენლებთან ერთად, ხოლო 1968 წელს არილში ტესკის ხელმძღვანელობით თბილისში გაიმართა „იუნესკოს“ მრავალი მაგიდის სხდომა თემაზე: „ტექნიკა და თანამედროვე მხატვრული შემოქმედება დღეს“.

ტესკი ხელმძღვანელობს საინფორმაციო ბიულეტენ „ტექნიკურ ესთეტიკას“ და სხვადასხვა დიზაინერული ლიტერატურის გამოცემას.

ასე რომ, საბჭოთა დიზაინი ღრმად დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში და უკვე გასცდა კიდევ მის ფარგლებს.

საქართველოში დიზაინის უკვე საკმაოდ მოიკიდა ფეხი, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ყოველ საჭირო და სასარგებლო საქმეს, საქართველოში დიზაინის აღმოუჩნდნენ სკეპტიკოსები, რომლებიც ჯერჯერობით ვერ ჩასწვდნენ დიზაინის დიდ მნიშვნელობას და უხალისოდ, გულგრილად ეკიდებიან ამ საქმეს. დიზაინის ენთუზიასტები კი უნდა იყვნენ არა მარტო შემსრულებლები, არამედ დამკვეთებიც. ეს უკანასკნელნი დიზაინის განვითარების პასიური მამურებლები კი არ უნდა იყვნენ, არამედ მისი აქტიური მონაწილენი. არა მგონია საეჭვო იყოს, რომ ეს ჩვენს რესპუბლიკაში დიზაინის შემდგომი გაფართოება-გავრცელების საწინდარი იქნება.

საპართავლოს სსრ და საპართავლოს კომპარტისის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენიდან

ლ. ბეღალიაძე.

შეფასებულნი.



# ფერაბი, ხასიათი, ბანწყობა

ნაზი კოლასონი

შპრამი, ხასიათი, განწყობა — აი ის, რაც ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოწყობილ ქართულ მხატვარ ქალთა ნამუშევრების ტრადიციულ გამოფენაზე შემოგვხვდებოდათ, შემოგვანათებდათ და დაგვიპრობდათ. ორ საგამოფენო ოთახში უხვად იყო ექსპონირებული ჩვენი მხატვარი ქალების მიერ ფერებში გადატანილი ნააზრები. აქ იყო მათი ხელო, მათეული ხედვა საგნის, მოვლენის, მეტ-ნაკლები სიძლიერით. ამ სიუჟეტზე შექმნა მრავალფეროვნება და სწორედ ამიტომ, რომ დათვალიერების შემდეგ ერთგვარად სულიერად მდიდრდებოდით, კმაყოფილი რჩებოდით, სდუმდით, დღვადით, ჰამათობდით, ეთანხმებოდით ან არ ეთანხმებოდით. სწორედ ესა ხელოვნება, შემოქმედება. აი, გატრეცილი საადლო ამინდი, რომელსაც აქამდე აღიქვამდით როგორც კანონზომიერებას, მაგრამ ტილოზე აღბეჭდილია ადრარი, რომელიც მოვლენაა ბუნებაში, მაგრამ აქ უკვე განწყობაა გადმოცემული (ი. თუნიანიშვილი „ავდარი“, აკვარელი). აი ისაა მზეობი — საყვარელი ყვავილი მხატვრებისა. მას შემდეგ, რაც განუმეორებელმა ვრუბელმა ესთეტიკური ტკბობისთვის დაგვიტოვა თავისი, თითქოს არაამქვეყნიური, თითქოს სიზმარეული ისაა მანი — ძნელია კვლავ მიუბრუნდე ამ სურნელოვან რტოებს. და მაინც ქალი ყვავილის გარეშე წარმოუდგენელია.

ქალი „ბედავს“ და ამისი სრული უფლება აქვს, თავისი თვალთ დაგვახაზოს აქვს უხვად, მაღლიანად ჩადებული ისაა მისი რტოები. ზოგს მსუყედ, ხელშეხახებად მოაქვს ჩვენამდე მისი მტვერები. ზოგს სისასხის შესანელუნებად მისხავს რამდენიმე ღერი დაუწყვილეოა ამ მტვერებისათვის (ა. ბასილაშვილი — „ისაა მზეობი“). ვარდებისა და ისაა მზეობის ფონზე საინტერესო კონტრასტს ქმნის მ. ამირხანოვას „კვლი“. ეს საინტერესოა თუნდაც იმიტომ, რომ ამ მცენარის სიმარტივეში ერთ რაიმე სიმპათიური და ეს საკმაოდ ორიგინალური ცდაა.

ჩვენი ბიძის ვისდით ქართული ფერწერული ხელოვნების სიამაყის — საქართველოს სახალხო მხატვრის ეულენე ახვლედიანის წინაშე, რომ მისი ნამუშევრების განხილვით არ დაფიქრებ: ამ წერილის სტრიქონები. გვიხდოდა საგანგებოდ შევჩერებულეყავით მის ტილოებზე.

ეულენე ახვლედიანის შემოქმედების შესახებ ბევრი რამ თქმულა, ბევრი დაწერილა. დე, ეს სტრიქონებიც შეგმატოს მათ.

ეულენე ახვლედიანი! მისი ორიგინალური ხელწერა, დიდი განუმეორებლობა, ჭკმარტივი ისტატობა იგრძობა გამოფენაზე წარმოდგენილ მხატვრის ნამუშევრებში, რომლებიც თანაბრად აღელვებენ და იპყრობენ ყველას: მოცულს, დღვტანტს, გულწრფელად შეყვარებულ-

სა და ურწმუნოს. ამ მხრივ ალსანიანია: „ღვინის აღმართის ქვემოთ თბილისი“ და „სადოვრებზე“ მის მაღლიან ხელს ძველი სახლის სახურავზე შემორჩენილი, გახურებული კრამიტის ფერთა სიმღერის შექმნაც ძალუხს; როგორც საყვარელი ლექსის სტრიქონების დახსივნება შეიძლება სამუდამოდ, ასევე გასოფთ ეულენე ახვლედიანისეული რიკულენიანი აივნები, დაბრეცილი, ვიწრო ქუჩები, გადმოფენილი საბან-გობანი... ას, თუნდაც ათას ტილოში უტყუარად, შეუმდარად იცნობთ ამ დიდებულ ხელოვანის ნამუშევრებს... დიდებულა მისი ხელოვნება, რომლითაც თანაბრად იამაყებდა ყოველი ერთი. ჩვენ კი შეგვიძლია ვთქვათ: „იგი ჩვენია!“ და აი, ჩვენია ამ გამოფენაზე ექსპონირებული მისი პეიზაჟი „სადოვრებზე“. აქ არის მთა, ბალახი, ცხვარი, მწყემსის სადგომი... ერთი სიტყვით, არის ის, რაც უნდა იყოს. მაგრამ სად? ვითან? ესაა მთავარი. სხვათთან არ ვიცი როგორი იქნებოდა, ეულენე ახვლედიანთან კი ესაა — მწვანე სიმღერა, მწვანე პოეზია. მწვანე, ნორჩი, ლივლივა, ძალდუტანებელი, ჰაეროვანი, დიდი გამომსახველობით არის შესრულებული ცხვარი, მწყემსი, სადგომიც. დამუშავებულია ყოველი აუცილებელი დეტალი, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ უშლიან ჰაეროვან აღქმას — ყოველივე ეს ჰარმონიულად ერწყმის საერთო გამას. ერთი სიტყვით, ესაა წყნარი ზვიმი დილით „პირდაპირი“ მითანი ველისა. სიწყნარეს, სიმშვიდეს, სუფუფეს ეძლევა ადამიანი ამ გამჭვირვალე ტილის ხილვისას.

და ყოველივე ამის შემდეგ უფრო მეტის მომთხოვნელობით შესტკეირით სხვა პეიზაჟებს.

აკვარელი იყო და მუდამ დარჩება სინატვიდე, მუდამ დარჩება პატარა, საყვარელ რჩეულად აკვარელი არასოდეს დაგატანთ ძალას, იგი მზეობათად ბედავს ყვიროს. იგი უფრო ლიდიანი, უფრო მორცხვაი, ნებისდამყოლი და მორჩილი (ეს ჩვენი აზრია მხოლოდ, რომელსაც თავს არავის ვახვევთ), ამ მხრივ გაბედულ აკვარელად მივგანია მ. თუნიანიშვილის ორი პეიზაჟი: „ზამთრის პეიზაჟი“ და „ვაზაფხული ბაღში“. ვერ დავეთანხმებით მხატვარს ზამთრის პეიზაჟის გადაწყვეტაში — წითელი ზამთარი (რაც ეულენე და აანთოს იგი ჩამავალმა ან ამომავალმა მზემ) — არ არსებობს, როგორც ასეთი. როდესაც გადაკტიონმა თოვლს იხსვერი უწვალა — ეს ნამდვილად არსებულია, თოვლს, ძა-



ლიან ქათვლა, თეთრ თოვლს — ხანდახან გადაკურავს იისფერი, ამიტომ „იისფერი თოვლი“ — რეალურთან ერთად — ქმნის ზამთრის განწყობილებასაც. ლილი იისფერი — ნაღვლიანი, ცივი ფერია. წითეუკი, დათოვლილი ქუჩა, სახურავი კი უკვე პირითია. ჩვენ პირითობის წინახლდღევი არ ვართ, მაგრამ ეს აქ, ჩვენი აზრით, არ არის გამართლებული. სამაგიეროდ, „გაზაფხული ბაღში“ — ბრიალა, გაბედული, მტკაზე აკავრული არის შესრულებული. აქ უკვე გაზაფხულის ზეიშია.

რადგან სიტყვა გაზაფხულზე ჩამოვარდა, შევფარდებით მ. მეტრეველის სურათზე „გაზაფხული“ (ზეთი). მხატვრის აქ წარმოდგენილ სხვა ტილოებიდან „გაზაფხული“ ერთგვარად „ამოფარდნილია“. ამოფარდნილია სასიამოვნოდ მშვიდად და მყუდროდ. ესაა, თუ შეიძლება ითქვას, ნუშის ყვავილობის გაზაფხული. აი, ასეთი ასოციაციის გაღვივება შშოლო ჩვენში მეტრეველის „გაზაფხულში“.

მამ, ისევ აკვარელს მივბრუნდეთ. შეუძლებელია არ შეივრდეთ გ. გუკიევის უპირატესო პერსაჟის, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ვთქვათ ალექსი ქაში, მედიოვის ახლობოლი ბინდისფერი მთები, ჭარი და ალგების რწყვა. აი, საცაა წამოშენს წვიმა...

გამოფენაზე კიდევ ერთხელ ვიხილო რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის ნატო ფალავანდიშვილის ნათელა ლიბრაძის, რუსუდან ჯავრიშვილის ტილოები. ნატო ფალავანდიშვილმა, ამ მეტად საინტერესო და მომხიბვლელმა შემოქმედმა, თავის „ძველ თბილისში“ უარი თქვა ტრადიციულ გადაწყვეტაზე, მისი ძველი თბილისის ერთ-ერთი კუთხე მხატვრითულა სიჭრელისაგან. მხატვარი ერთდებდა რუხ იასამინსფერს, ოღნავ მიწითალო მეფობს ამ ტილოზე, რაც უფრო ნაცნობსა და ახლობოლს, სვედიანსა და მყუდროს ხდის ამ უხანს.

ნათელა ლიბრაძის ნამუშევრებიდან „ჯუჯუანი, მამაბოლის სალი“ საინტერესო და მომხიბვლელია; ნახევრად გადაბრეცილი, ძველი, დიდი სახლი, რომლის ქვედა საბურთის გაუქმებაზე მეტყველებს დაკეტილი, მძიმე კარი. აივანზე კი კვლავ ცხოვრობდა — გადმოფენილი სახნის წითელი პირი ერთგვარად აქარ-

წყლებს პირქუშ, სვედიან, ყვავიფერ გარემოს.

რუსუდან ჯავრიშვილის ნამუშევრებს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება. მან ამ გამოფენაზე რამდენიმე საინტერესო ტილო წარმოადგინა. მათგან, ჩვენი აზრით, მიმზიდველი და ოდნავ საკამათოა ტილო „წილის ფანჯრიდან“. ესაა მცხეთის მწიბლიერი ხედი — დანახული მაღლიდან, ჩამონგრეული გემის სარკმლიდან. საკამათოა, რადუნა და აუცილებელი იყო ამ კონტრასტის — რუხი ნანგრევისა და ციცხარის, მსუთხევი მცხეთის მიდამოების ურთიერთდაპირისპირება. ფერებით მსუნთქავია, რომ აღვნიშნო, მართლაც, თითქოს ბუნების ციცხალ, მსუნთქავ გულს ვხედავთ. აქ დომინირებს არა უძველესი მცხეთა, არამედ ფერადობა — ლურჯი, იისფერი, ბოლოსფერი.

გამოფენაზე ლია სანიძის კვლავ ნაეტკი სურათებით შევხვდით: „მარადიული ყვავილები“, „ესპანეთი“, „წვიმა“ (გუაში). გამოყოფთ „წვიმას“, რადგან აქ ვხვდებით კარგსაც და ზედმეტსაც. კარგია, რომ მხატვარმა შავი ქოლგებითა და გამაღვლთაა წარჩილი ფიგურებით მიძღვია უპირატესს: მის შემხედვარეს ვცავთ, იქმნება სიცივის ასოციაცია, მაგრამ... წინა პლანზე გამოტანილია მამაკაცის ხელი, რომელიც ქალიშვილის ხელისკენა გაწვდილი, იგი ერთგვარად ხელს უშლის უკვე მიღწეულს და საჭირო არაა ეს „მოკვლელი“ დეტალი.

გამოფენაზე საკამოდაა წარმოდგენილი პორტრეტები. პორტრეტის სიძნელე და ღირსება — როგორც საერთოდ ამბობენ — ხასიათია. გაიხსენა თუ არა ხასიათი შემოქმედმა, ჩამახედა თუ არა ამ შუბლისა და ოჯახის, ამ პორტრეტული მსახურების მიღმა თავისი ნატურის სული, ნებაში, სურვილში, სწრაფვაში? ჩვენ ვინილეთ ვერმიშევა-კილოსანიძის, პეტროპოვსკაის, მაყაშვილის, ბაგბუქუ-მლიქივას მიერ მალდი მხატვრული ოსტატობით შესრულებული პორტრეტები. ყურადღებას იქცევს ვერმიშევა-კილოსანიძის მიერ შესრულებული პორტრეტი, რომელსაც შეიძლება „სიბერე“ ვუწოდოთ. ხშიერი ქალის დაღლილი, მაგრამ შემოთხრობილი სახე, თვალები. მის უკან ადამიანთა თავები თითქოს წარუხლის მოგონებებია. რაც უფრო უკან

იხვევს ეს თავები, მით უფრო გვეკვლიან თავის ქალებს. ესაა მკვდარი წარსული, რომელიც აღარასოდეს განმეორდება. მაგრამ იქ რა? კითხულობს თითქოს ქალი. ამ სიმბოლიკაში თითქოს უნდა იყოს რამე ახლის აღმოჩენა, მიზნად დისახსა და მიადწია კიდევ, რომ შემამშფოთა. დამანგრეჭთა. თავისებურაა მორტი მამუშევიც: „კომპოზიცია“. აქც არის შემოთქება, მაგრამ უკვე მხატვრის შემოქმედებით ბედი: ხომ არ დომინირებს მის ფერწერაში ეს დამწოლი, შემზუველი განწყობილება?

აი, ი. პეტროპოვსკაის მიერ წარმოდგენილი ლილი ჟორდანიასა და ნანა გვასალიას პორტრეტები (პასტელი). ნანა გვასალიას პორტრეტის მიზანი ემოციაა, სამაგიეროდ, ლილი ჟორდანიას პორტრეტში კი გამარჯვებულები ხასიათია გახსნილი. ესაა, რაც ანსოლუტურად განასხვავებს ერთ მხატვრს ამ ორ ნამუშევარს. ლ. ჟორდანიას მტკიულ ნებას და ძლიერ ხასიათში, დამარწმუნა მხატვარმა, დამარწმუნა, რომ მისი გვირი სახე პირთვნება. სამაგიეროდ, მხატვარი ერთგვარად ვერ „მოიჩინა“ პიანისტი ქალიშვილის ნ. გვასალიას სახეს, ვერ გახსნა მისი „მუხისაღუარი ხასიათი“, თუმცა ტანსაცმლის გამკვივრალობა, პერონებმა, მივერცხლისფრო, ხასიათიერ ტონები ადვილად აღსაქმელია მხილველისათვის.

ეკატერინე ბაღდაძემ ექვსი ნამუშევარი გამოიტანა, რომელშიც ხის შიანი, სხვაგვარი, ბუნებური ფერები. თითქოს შორიანს ეს ფერები თქვენად, რათა დაგარწმუნოს რა ბედნიერებაა სიცოცხლე, მზე, სინათლე. ეს ქარისგან აფრიალებული კაბები, საყურები, გულქანები, ჩალოსფერი, შავი თმები, ცისფერი, შავი თვალები. ეს თვალები შემოკურები და თითქოს ინტერესით გვეკითხვიან რადაცას.

საინტერესოა თამარ გუგუშაშვილის მიერ წარმოდგენილი ოფორტი. რაც შეეება მხატვრებს — ვერა ბელუცკაისა და ლერი ჩოჩისა, გულანასწყვეტია, რომ ისინი ამ გამოფენაზეც მხოლოდ ილუსტრაციებით არიან წარმოდგენილი. ჩვენი ვიცით, თუ რაოდენ ნაყოფიერაა ბათი ყალბი, ამ ტრადიციულ გამოფენაზე კი, რატომაც ღარბულად მოვიდნენ.



# მოსე თოიძის ცხოვრება

(ფურცლები მოგონებად)

ალექსანდრა თოიძე

ამ წარმოდგენილს ნაწევრები მოგონებებიდან, ის, რაც გამახსენდა და როგორც შევმძელი.

მამის ექვსი შვილი ჰყავდა, რომელთაგან ერთი ადრევე დაიღუპა. უფროსი შვილი — დავითი შაიემატიკოსია, ნინო — არქიტექტორი, ირაკლი — მხატვარი, გიორგი — მოქანდაკე. მე ბედმა მსახიობობა მარჯუნა და მამასთან სიახლოვე მისი ცხოვრების უკანასკნელ წუთამდე. 18 წლისამ საკუთარი ოჯახი შევექმენი, მიუხედავად ამისა, მამას უოველადვე ვხედავდი. იგი, როგორც ყოველი ქუმშარიტი შემოქმედი, რთული და თავისებური ადამიანი იყო.

მამანების — მოსე თოიძის ცხოვრების და შემოქმედების შესაფერისი პორტრეტი ალბათ მომავალში დაიხატება.

პმტრწმრწდმწს სამხატვრო აკადემიაში რეპინთან სწავლის დროს მოსეს უკვე მოფიქრებული ჰქონდა სადილობი სურათი „მცხეთობას“. მხატვარს ამ სურათში უნდოდა მაქსიმალურად ჩვენებისა მშობლიური ბუნების სიდიადე, ძველი არქიტექტურა, ქართული ადამიანები, მათი ჩაცმულობა, ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტები და მრავალი დამახასიათებელი დეტალი და სოციალური კონტრასტი — თავადობა და უბრალო ხალხი დღესასწაულზე.

სადილობი შრომა აკადემიური უნდა ყოფილიყო, ამიტომ მხატვარი განსაკუთრებული სიყუჩებითა და მოთმინებით ამუშავებდა საგნებისთვის დამახასიათებელ დეტალებს. ავტორმა სურათს მისცა მხატვრული გაქანება და პოეტურობა.

ამ სურათზე მუშაობისას მამა ყოველ ზაფხულს ჩამოდიოდა პეტერბურგიდან სამშობლოში, რომ „მცხეთობას“ და სხვა საკლესიო დიდებებს დასწრებოდა. მის თვალს არ გამოპარვია ქართული ადამიანის სიღამაზე და კეთილმოხილვა.

მხატვრის შესიერებაში იმეჭდებოდა ქართველ ქალ-ვაჟთა ხასიათი. შესანიშნავად მოხატულ-მოქარგული ქართული ჩოხა-ახალუხი, ხმალ-ხანჯალი, ჩისტკიკობი, გულისპირი, ლეჩაქი და სარტყელი, მათი ლაზაითანი გაქანება, ჩვენებური ყელწვრილა სურები, ნახევარტონებში შეფერილი ქილები, ყოველივე აისახა სურათ „დარბაზში“.


მხატვარი მთელი შინაგანი ძალით აღიქვამდა სამშობლოს ცის სიღაფარდეს, მზის ამოსვლას და ჩასვლას. „ჩამავალი მზის ნაფერს“ გაგვასიონის მითვის და მის მუქ ლურჯა ჩრდილებს. მხატვრის მახვილი თვალით ხედავდა საქართველოს ყოველი კუთხისათვის დამახასიათებელ ტიპურ ნიშნებს, ჩვევებს, ჩვეულებრივი თვალისთვის შეუმჩნევებს.

მამასთვის ტიპიურის მონახვა გაცნდა იყო, ხოლო განცდა — სურათში ფიქსირებული მხატვრული სახე. მხატვარს ყოველთვის ჰქონდა სახატავი იარაღები, მაგრამ თურამე მუზისთვის გამო არ აღმოჩნდებოდა, დანახურს, განცდილს, შესიერებაში უმაღლეს ადრევედავდა. მამას სურათზე იხდენს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ყველა ნატურადან არის დანახული. დიხს, ნატურიდან, რომელიც ოდესღაც მის შესიერებაში ვასათვარი ნიუანსებით აღიქვილია და დამკვიდრებულა. მხატვრის დიდ ტილოს „მცხეთობას“ უამრავი ჩანახატი დაეღო მასალად.

1901 წელს მან თავისი სადილობი სურათი „მცხეთობას“ ჩამოიტანა. იგი საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე იყო წარწეხი. აკადემიაში სურათი მიიწვიეს და ავტორი ოქროს მედლითა და სივდილით დააჯილდოვეს. ამ სურათმა მოსე თოიძეს სასილი მოუხუჭება.

პეტროგრადში მხატვარი გაეცნო ახალგაზრდა რუს ქალიშვილს ალექსანდრა ნიკიტას ასულ სუდინას, შეიყვარა იგი, შერთო ცოლად და საქართველოში ჩამოიყვანა. იგივე აპირებდა პეტერბურგში სამხატვრო აკადემიაში შესვლას. დედაჩემიც ნიჭიერი მხატვარი იყო, მაგრამ გათხოვებამ და შემდეგ შეიღებმა ხელი ააღებინეს სწავლაზე. ჩვენი ოჯახში დედამ ავტობორტრეტი ყოველთვის კედელზე იკრდა; ამჟამად ის მამას სახლ-მუხუჭუმშია დაცული.

ოჯახის მოქედებულ და შვილის მომლოდინე მამას საარსებო წყაროზე უნდა ფიქრბა. ამიტომ ისევ ძველ სახელოსს — სასწავლებლებში დაიყო მასწავლებლობა. აგრეთვე სისტემატური თანამშრომლობა ჟურნალ-გაზეთებში: „იკვლი“, „ფესკუნევი“, „თავტრი და ცხოვრება“, „ჯგვილი“ და „ნაკადული“, მონაწილეობდა გამოფენებზე, მოგზაურობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. 1910 წელს თბილისში



მ. თოძიძე.

გოგის პორტრეტი

მონაწილეობა მიიღო ქართველ მხატვართა გამოფენაზე, წარმოადგინა „კალოთა“, „სასიძი“, „დაბახანა“, „მოაჯირზე“, „სამოვართან“ და სხვა.

1915 წელს გამართულმა პირველმა ინდივიდუალურმა გამოფენამ აღიარება მოუპოვა მხატვარს. ამ დროისთვის მამას უკვე ხუთი შვილი ჰყავდა. საკვირველია, როგორ არჩენდა ასეთ დიდ ოჯახს. ამ შემოქმედს აუტანელ მატერიალურ მდგომარეობაში უხდებოდა საუკუნეადა მოღვაწეობა. ზოგჯერ რომელიმე ბავშვი, ან ყველა ერთად ავად უხვებოდა. ვინ იცის, მამას რამდენი ღამე გაუტყარებია უძილოდ. გამოიჩინებინა ნატრობდა, სისტემატურმა უძილობამ წერილები დაუწვინა.

ღღაინები — არარჩვეულებრივად თავშეკავებული ადამიანი, თავად შემოქმედი, ყოველნაირად ცდილობდა მამისთვის მუშაობის პირობები შეექმნა. ოჯახის მოვლა და ბავშვების აღზრდა მთლიანად დედამ იკისრა. რუსეთიდან დედას მშობლები უგზავნიდნენ ფულს, საჩუქრებს. დედა ამას იყენებდა იმისათვის, რომ ბავშვებს მუსიკა და ენები გვეწყავლა. მან შეიძინა პიანინო და მე და ჩემს დას — ნინოს მუსიკის მასწავლებელი დაგიქირავა. დედა დიდად აფასებდა მამას ნიჭს. ყოველ მის ნამუშევარს დაჰკანკალებოდა. პირველი შემავასეთი მამის შემოქმედებისა დედა იყო. მამაც ანგარიშს უწყევდა მას, თუმცა როგორც შემოქმედთა უმრავლესობა, კრიტიკას იმ წუთში ვუთით ვითომ არ იზიარებდა, მაგრამ ბოლოს მაინც მიიღობდა.

მამას ინდივიდუალური გამოფენა ყოფილი სასახლის ქუჩაზე, ახალი კლუბის დარბაზში, გაიხსნა 1915 წელს. აქ

წარმოდგენილი იყო „მცხეთობა“, „მრეცხავი“, „მეცხადსი სწავას“, „ერაელი“, „პატარა ირაკლი მაღალ ჯიკამზე“, „მეცხადსი სწავას პორტრეტი“, „დიდებას პორტრეტი“, „ხელისხიანი“, „სიკვი“, „დარბაზი“, „კალოთა“, „მწუხრი“, „ბუმბურაზნი“, „მოვარიანი ღამე“, „გვი მცონარეთა“, „მევილი თბილისი“, „პირველი სიხვი“, „მევილი ქალაქი საქართველოში“, „გიორგი მე-12“, „ხეთა ჩრდილოში“, „ლომთისან“, „შემოღამება“, „ალაუნის ველი“, „ქვიმშეთი მზის ჩასვლისას“, „მტკვრის ნაბირი“, „ქუჩა სპარსეთში“, „ბაზახანას“, „სინათლე ტყეში“, „ტყის ზღაპარი“, „წყვიისი“, „სიღნაღის წყარო“, „გაზაფხული“, „მევილი თბილისის ეზო“, „მრეცხავები“, „მოთა რუსთაველი იერუსალემში“, „ხალიჩის ქსოვა“, „დიდება შვილიშვილებთან“, „მარჯნის გამყიდველი“, „სმევა“, „ფანტაზია“, „სოფელი“, „ზიზია პერანგი“, „განთიადი“, „გარდაქმნის ტანჯვა-ტკივნეული“, „მესაიდუმლო“, „გულთმისანი“, „ღრუბლები“ და სხვა.

ამ გამოფენამ ძალზე დიდი გამომხარება პოვა და მხატვარს მდგომარეობა განუმტკიცა, გაამხნევა იგი. მაშინდელ პრესაში ბევრი რეცენზია დაიბეჭდა, კერძოდ, გაზეთ „სახალხო ფურცელში“, გერონტი ქიქოძის წერილი. მოვიტან ნაწყვეტს ამ სტატიიდან: — „მოსე თოძისთვის ხელგუნება ნამდვილი ბედისწერაა. ის არა ჰგავს იმ ადამიანებს, რომელნიც მხატვრობას ირჩევენ შემოხვევით, თუმცა შექმლო ისევე კარგად კალატრობა, დახლიდარობა და ან კომპოზიციონობა აერჩიათ. არა, ის მხატვარია, დაბადებით მას თან დაყოლია ორი თვალი, რომელიც მზადაა აღზუსხოს ელვარება ფერებისა და მოძრაობა ფორმებისა, მას თანდაყოლია აგრეთვე ინტუიცია, რომელიც მზადაა განჭვრიტოს აზრი საგნებისა და მოვლენებისა. მაგრამ ბრანაკლებს საყურადღებოა ის გარემოება, რომ მოსე თოძის თანდაყოლილი აქვს არარჩვეულებრივი სიყვარული ხელოვნებისა. ამ სიყვარულმა შეამღებინა მას გადაუღებელი ათასჯარი ადრეკოლეზა, რომელიც წინ ედებოდა ყოველ ჭეშმარიტ ხელოვანს... ჩანს, მოსე თოძე სულს სიღრმეში აბარებს მშვენიერი ქვეყნის ხათულ ხილვას და ამ ხილვის ჩარჩოვლა აღარ ძალუას ათავითარ უმეცრებას. თოძემ გამოიხატა ჩვენი ცხრათავა მზე და ჩვენი ვერცხლის შუქიანი მთავარი, ჩვენი მართლმადიდებელი და ჩვენი გამკაცრებული წყარო, ჩვენი მღუმელი ჭალა და ჩვენი მღელთ... და ამ ბუნების წიაღში მოათავსა ნებიერი ადამიანები, ცხოვრების ოცნებას რომ ქართველ ცინატიკოსს ოქრომკეილით. ყაყაოს სიწითლე, ბუნებრივი სიყვითლე, ცის ლაქვარდი და ატლასის ელვარება ახალი, მოთლოდებული სახით მოგვევლინა და გვაგრძობინა სისარული და აღტაცება, თითქმის თვალში ამ ფერად ქვეყანაში პირველად გაგვივლინოს... პეიზაჟი ჩვენი მხატვრის სტეინონია, — აქ ის თავისუფლებას და სილალეს გრძნობს, როგორც დიდი დამოუკიდებელი ოსტატი“ — ვერად გერონტი ქიქოძე.

გაზეთ „საქართველოში“ დაიბეჭდა დავით კასრაძის სტატია, სადაც ავტორი მამის გამოფენას ახალი მხატვრობის მიღწევად აცხადებდა. მხატვარმა დავით კაკაბაძემ ამ გამოფენის შესახებ წერილი დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (№ 312), სადაც წერდა: — „მ-ნი თოძის გამოფენა ჩინებული მანერებითა იმ გზისა, რომელსაც უნდა დაადგეს ქართველი მხატვარი, ქართული თანამედროვე მხატვრობის შესაქმნელად“.

მხატვარი გუგარიან სიღამონ-ერისთავი გაზეთ „საქართველოში“ 1915 წ. № 23-ში წერდა: „სულით და გულით ეფლამები საშობლოს, ხელოვანის ასეთ გამარჯვებას, მიხარია, რომ გვეყოლია მხატვარი, რომელიც მაღლა სწევს ჩვენი ხელოვნების დროსა და ასე უწყობს ხელს მის გაფურქვანა-აყვავებას“. ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“ (№ 25-26) დაიბეჭდა ამ გამოფენის შესახებ სტატია



სათაურით „ქართული ხელოვანი“. ამ გამოფენამ ბევრი თავყვანიმეგობრე შესიძინა მხატვარს. ჩვენი ინტელიგენციის მანძილდამ საუკეთესო წარმომადგენლებმა გამოფენიდან 80-მდე სურათი შეიძინეს.

უპეტარო ვიყავი და ზუსტდენად მასსოვს ვერინასიყი. აქ შეიკრიბნენ ინდოროინდელი საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები. ისეთი შთაბეჭდილება შექმნა, თითქმის ხალხი რაღაც დიდ ეროვნულ ზემოქმედებას. ყოველ შემთხვევაში, გამოფენა ჩვენს მესხეთებში ასე აღიბეჭდა. დიდი ჟრიალული იყო. გერონძე ქაქუცის მეუღლე — დეობარბივი სილამაზის ტასო ამირეჯიბი სამუდამოდ ჩანარა ჩვენს ბავშვურ მესხეთებაში. ალვის ხსენებით ტანერწრება მანდლოსანი, მომდიარე, სათხო სახით, ვიწრო და ალერსიანი ხელებით, სავერდოვანი, წყნარი ხმით მამას დიდ ნიჭსა და წარმატებაზე მესაუბრებოდა. ამ გამოფენის შემდეგ მამას საკუთარი ინდივიდუალური გამოფენა სიციქლოს ბოლომდე აღარ ჰქონია. 1915 წლის შემდეგ მამა ყველა საგნით გამოფენაზე იღებდა მონაწილეობას, რაზედაც ქვემოთ მოგასახსენებთ.

ჩემი ძმა — ირაკლი 8 წლის ასაკიდან უკვე მამასთან ერთად მონაწილეობდა და გამოფენებზე უფროსი მხატვრების გვერდით მონაწილეობდა.

1916 წელს ეჭვითვე თავაპიშვილის ინიციატივით მოწვევით მხატვართა ექსპოზიციას სოფელ ნაბახტვიში. ნაბახტვიის ტაძრის ფრესკები დიდმნიშვნელოვანია და ექსპოზიციის, რომელიც მხატვრები დიმიტრი შვეარდნაძე, შალვა ქაქუცაძე, მიხეილ ჭიაურელი, ლალო გულანაშვილი, გიორგი ერისთავი, მამა და ირაკლი შედიოდნენ, ეს ფრესკები უნდა შეესწავლა და გადმოეხატა. მამას მიერ გადმოსხარული ფრესკა ხელოვნების მუზეუმში ინახება. იგი განსაკუთრებული ყურადღებობა და სიყვარულით ეკიდებოდა ძველ ქართულ მხატვრობას. ნაბახტვიში მხატვრებს ჩვენი დიდი ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი სწავლიდა. ბ-ნი ივანე მხატვრებთან ერთად გაემგზავრა ატრის სიონში, მამა და ირაკლი აღტკარებით იკრებოდნენ. როგორც ცოდნითა და დამაჯერებლობით უსხნდა გამოჩენილი მეცნიერი ამ ტაძრის ისტორიას, რომ იგი XII საუკუნეშია აშენებული და ჩვენი ჯგერის მონასტრის გამოცობას წარმოადგენს.

გიორგი ერისთავმა ზემოქანათიელი მხატვრების ჯგუფი ნაბახტვიდან სოფელ ავლელოში წაიყვანა სახელმწიფო-ქოქო ქართული მოღვაწე პროფესორ კოსტა ამირეჯიბთან. კოსტა ამირეჯიბი იყო სოლოის მეურნეობის მფარინაჰაციის სპეციალისტი. მან ცარიზმის ბატონობის პირობებში საკუთარი ინიციატივით, სასაჩინოდ და მოკადნიშობით, სოფელი ავლელო ელექტრონის უქმი მოკადა. ეს მამანი, როდესაც ივით თბილისში ელექტროგანათება მხოლოდ შეძლებულ თუ დიდი მდგომარეობის მქონე ადამიანებს ჰქონდა. მხატვრებმა აღტკიცებით დააფიქსირეს მანქანები, ელექტროდანადაგარიები და ბოლოს სურათიც გადაიღეს კოსტა ამირეჯიბთან.

ჩვენი ხშირი სტუმარი იყო ჩემი ნათლია — შიო არაგვისბერილი თავისი ოჯახით, მამას ძალზე უყვარდა წყნარი და გულისხმიანი ადამიანი. ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ ი. წინამძღვრიშვილი, ი. აღმაძვ, დიმიტრი ყიფიანი.

მხატვრებიდან არ მახსოვს უფროსი თაობის წარმომადგენელი, მაგრამ ვიცი, რომ ჩვენს ოჯახთან მეგობრობდნენ ალექსანდრე მრეკლოშვილი და გრიგოლ მუსხი.

1916 წელს მამამ ჩვენთან ნიკო ფიროსმანაშვილი მოიყვანა. მისგან ორი სურათი „ტოტი და ჭაჭანთან“ და „კალოზი“ ჰქონდა შეძენილი. ფიროსმანი მამას თავის ატელიეში აიყვანა. ნიკომ მამაშვილის სურათების გარეშით თავისი სურათები რომ დაინახა, გაუკვირდა, სასწეურ სიამოვნების დიმილმა გააღაურინა, შეიმუშუნა, მიიხედ-მიიხიდა, იქვე, კე-

დელზე მამაშვილის მიერ დახატული „კალოზი“ დაინახა და გულდამსობ დაეცქერდა. მამამ უთხრა: — თქვენი მხატვარი „კალოზი“ ხარებით არის, ეს თითქმის ყველაზე ასეც ხდება, მე კი მასხოს, რომ მეგობრობისეველი კამიერებს იყენებთ ხოლმე და რაღაც ვაჭერებმა ნელი სიარული იცინა, კალოზმა უთენია იწყებენ, რათა განიავება სალამთავის მიახლორონ. ხანგრძლივი საუბრისა და სურათების დთავლიერების შემდეგ, მამამ ფიროსმანი სასადილო ოთახში ჩამოიყვანა და დედას გააჩინა: — ნიკოლი ახალგაზრდი ფიროსმანი! — შემდეგ დაემატა: — მინი დავალდე, იმდენი ვილაპარაკეთო. დედას სუფრა უკვე გაუმთა და ნიკო მიიპატიჟა. დედა მის ნახატებს იყნობდა, მოსწონდა კიდევ, რის შესახებ გულანაშვილად უსაუბრა ნიკოს. ფიროსმანი მორაქვებულად და ჟურადღებით უსმენდა დედას. ეტყობოდა, რომ რუსული ესმოდა, მაგრამ ზღვრით ჩემი, მხოლოდ მრავალსიტყვილი თვალებით მუხრობდა. სუფრაზე ნიკო, ჩვეულებისამებრ, მომცხრობდა და არაფერს ეკატრებოდა. ამ დროს მოვიდა მამას მინაშელო, ერთ დროს განთქმული მოკრივე ვიორგი თოძი, იგი უკვე ხანში შესული იყო, ოდნავ წელში მობრლი, მაღალი და მხარბეგანი. შავი და სხივანი თვალები ჰქონდა, მამამ ნიკოს გააცინო იგი და გვიანობ, რომ წინადა ჩუღურთილები და ქოქილები, კვირასცხოვლის სვეში კრებს მართავდნენ და მ-ნი ვიორგი თოძიქმ სახელი გათქვა, როგორც მოკრივე — ფალავანმა. ნიკო ანთებელი თვალებით უყურებდა მას და ოდნავ გასაკნინად ჩაილაპარაკა: — ეს მე გაგიჩინებ მოხდა. მამამ ნიკოს, ირაკლის მიერ დახატული კრივის სხვადასხვა ენობრთ აჩვენა, შემდეგ კი სტუმრებს ჭიქებით ღვინო აუფის. ნიკომ მოგარბადებით აიღო ჭიქა და წყნარად თქვა: — ბუნებურად — დლია ღვინო და გრძელი, ვიწრო თითებითი უღვანა შეიმშრო. მამამ დიდას სიყვარულით გააცინა ნიკო ფიროსმანი.

მხატვრებმა კირილე ზდანევიჩმა თავის სახლში ნიკო ფიროსმანის სურათების გამოფენა გამართა. ეს იყო 1916 წელს. მამა, მისთვის ჩვეული ენთუზიაზმით შეტდა ამ კეთილ საქმეს და ფიროსმანის ხელოვნებას დიდი სტატია უძღვნა.

მამასთან მეგობრობდა კომპოზიტორი დიმიტრი არაგიანი, რუსეთიდან ჩამოსვლისთანავე იგი ჩვენი ხშირი სტუმარი გახდა. ჩვენთან ხშირად დადიოდნენ კომპოზიტორები ის კარგარბეული, ანდრია ყარაშვილი, მელტონ ბლანჩიკაძე. მათ უყვარდათ მამას ხელოვნება, მეგობრობდნენ მასთან, მამაც ტკბებოდა ამ შესანიშნავ ხელოვანთა მუსიკით.

მამა ბევრს ზრუნავდა ახალი მხარდი მხატვრების აღზრდაზე. თავისი მოწაფეები მას შევლებივით უყვარდა, თუ საჭირო გახდებოდა, უკანასკნელ ლუკმასაც გაუზიარებდა. თავისთვის მამა მინიმუმ ოტრეფდა. ფუფუნება არ იყო მინიჭებული, ღვინოსა და ქეჩეში დროსა და ფულს არ დახარავდა, თუ რომელიმე ახალგაზრდა მხატვარს ტილოს და ფუნჯის საყიდლო ფული არა ჰქონდა, იგი ეხმარებოდა. სახელმწიფო-სამხატვრო სასწავლებელში, მამას უკანაგროლესი მოწაფეები იყვნენ: ქეთევან მალალაშვილი (როსლის თავისიებური, მართალი ხელოვნება ასარებდა. ახალგაზრდობში მამამ ქეთოს ლექსი უძღვნა და ძალზე კარგი პორტრეტი გახატა. ქ-5 ქეთოს წილიც კაბაზე თეთრი აბნისის საყელი აქვს შემოკლებული), ლალო გულანაშვილი, ალექსანდრე ბაბიქუქ-მელიქიძე, მიხეილ ჭიაურელი. მამა ფასებდა მიხეილის მრავალმხრივ ნიჭს. ის ჩატავდა, ძერწავდა, მსახიობობდა. ისინი ჩვენს ოჯახში ხშირად დადიოდნენ. დედას ძალიან უყვარდა სიციქლოსი და იუმორით აღსავსე ახალგაზრდა მიხეილი, რომელიც სახლში აუცილებლად სიმღერით შემოდიოდა.

სანდრო ცინკაურიძეც ჩვენი სასურველი სტუმარი იყო.



დავით კაკაბაძე არ იყო მამას მოწაფე, მაგრამ მამა ახალგაზრდობიდან იცნობდა და ძალზე უფასებდა მის ნიჭსა და შემოქმედებას. დავითმა მამას შემოქმედებას ბევრი თბილი სტრიქონი უძღვნა. ქართველ მხატვრობიან ერთად პარიზში დავით კაკაბაძის გამგზავრებას 20-იან წლებში მამას ძალიან შეუწყო ხელი.

ჩუღურეთში, ჩვენი ბინის თავზე მამას ატელიე ჰქონდა. აქ ატარებდა იგი თავისუფალ დროს. დღეს გარდა არავის შეეძლო იქ შესვლა. მასაც კვირადი ერთხელ ეძღვოდა ამის საშუალება. მე მიყვარდა იქ შეპარვა, ჟურნალების, სქელი წიგნების, ქართული თავსაკრავებისა და კედლებზე გამოვიღებულ სურათების თვალიერება. მამას ძველგური ირანული ყუთი ჰქონდა (ახლა იგი მუზეუმშია დაცული), პატარ-პატარა უჯრებით, სადაც ეწყო ფშავ-ხევსურეთიდან ჩამოტანილი ძველგური მძივები, საყურეები და სხვა-დასხვა ფერის ულამაზესი თევზები. ზოგი უკვე ძალზე ძველი იყო, მაგრამ თავისი ეპეე მანე შერჩენიდა. როდესაც მამა სახელოსნოში სახატავად ავიდოდა, სახლში ყველანი ფეხს წვერებზე დავდიოდით.

მხატვარს ახალ-ახალი სირთულეების დაძლევა იზიდავდა.

მამა მაშინ იწყებდა სურათის ხატვას, როცა მას ნანახი ააღუვებდა, აღაზნებდა. მხატვარ კოლორისტის მასელი თვალთ ხედავდა იმას, რაც საერთოდ რთულ და ძნელად გადასატრელ ამოცანად ითვლებოდა. იგი მთავარს, ტიპურს, ფერწერულად საინტერესოს ეძებდა და სანამ არ მიაგნებდა, არ მოისვენებდა, ხშირად ერთი სულის მოთქმით აღწევდა ხოლმე განსაკვირვებელ ნიშანს.

მის ნამუშევრებში მუდამ იგრძნობდა ჰაეროვნება, სიღრმე, სიფრცის ფენებად დაყოფა. სინათლისა და ჩრდილის შესაბამა, ნახევარტონების ნიუანსირება დღის სხვადასხვა

დროს, განთიადი და საღამო მთაში. შპის ჩასვლა, ღრუბლებს ფერი, შუქრდილობი, შპის სიკაშკაშე დღისმოსაგარემოს ცვალებად პირობებში.

მხატვარს მთავარიანი ლამებში უყვარდა. ამ თემას სხვა-დასხვა დროს რამდენიმე სურათი უძღვნა.

1914 წელს მხატვარმა დაწერა „მთა ჯვრის მონასტერში“. აქ მინორულ ტინებშია გადმოცემული შოთას განცდები. სამშობლოს მოწყვეტილი, დაბოლებული მგოსანი მხატვარს მთავარიან აღაშქ ქვის კიბეზე განმარტობით წარმოუდგენია. პოეტის კავშიანი სახე და ბერის სამოსში გახვეული მისი სილუეტი, საოცრად ტრაგიკულ შთაბეჭდილებას ახდენს. ამ განწყობის შესაქმნელად მხატვარს მთავარის შუქრდილობი გაულრმავებია.

მთორ სურათი ისევ შოთას მიეძღვნა. მგოსანი ტოვებს თბილისს. წინა პლანზე, მარჯვენა, ხეების შუქრდილობი ღრმად ჩაფიქრებული პოეტი დგას, ხოლო მისი სვედანი სილუეტის ფონზე დასატულია კაშკაშა მთავარიან განათებული, ზღაპრულად ლამაზი თბილისი.

მესამე მთავარიანი დამე უკვე მოგვიანებით დახატა მამამ, რომელიც ნინო ჭავჭავაძისა და გრიბოდოვის განმხრებას მიუძღვნა. უშველებელი, ტოტებგაშლილი ხის ქვეშ ნინო და გრიბოდოვი ეთხოვებიან ერთმანებს. მთავარის შუქი ვერცხლისფრად, ნაზად ეღვარებს. ნათელი მთავარიანი ლამა, ხეებს გვირგვინი ადგათ და ჩრდილები მათ ქვეშ დაპატარავებული. მთავარის შუქზე ნინოს კამა ძალზე ჰაეროვანია, საერთო განწყობა რომანტიკულია.

მეოთხე პატარა სურათზე დახატულია ფართო იავინა, რამდენიმე გრაციოზული ქართველი ქალით, მხატვარმა ახალი ამოცანა დაიწახა. ლამფის წითელი შუქი სახლის ფანჯრებიდან მთავარის სინათლისთან არის შესაბამებული. ორბამე განათება ფეერიულ შთაბეჭდილებას ქმნის.

# ბორჯომის სახალსო თეატრი

ივანე მჭედლიშვილი

ბორჯომის კულტურის სახლის ორ ნათელ დარბაზში მოთავსებულია სახალსო თეატრალური მუზეუმი, რომლის ექსპონატები მოგვი-თხრობენ ბორჯომის სახალსო თეატრის ისტორიას, მის პირველ დღეებებსა და ხელმძღვანელებზე, რეჟისორებზე გ. ვაშაქიძესა და ლ. ყიფიანსზე.

გ. ვაშაქიძის რეჟისორობით ბორჯომში ჯერ კიდევ 1908 წელს დაიდა პირველი წარმოდგენა. მასში მონაწილეობდნენ სცენისმოყვარენი: კატო ხმალაძე, დარო სოსანიძე, მარო ბაქრაძე-მესხიძე, ვანო ბეიქტაძე, გიგა და პლატონ ხუციშვილები და სხვები.

თეატრალურ კოლექტივს სათავეში დიდი ხნის მანძილზე ედგნენ დუდე ძნელაძე და ოსებ ჟივიძე, რომლებიც სპექტაკლების დადგმის

გარდა, უშუალოდ მონაწილეობდნენ მათში.

წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად ბორჯომში იწყებდნენ საყვარელ მსახიობებს: ვ. ახაშიძეს, ი. ზარდალიშვილს, ნ. ჯავახიშვილს, მ. ქილარჯიშვილსა და სხვებს, რითაც ამაღლებდნენ სპექტაკლების მხატვრულ დონესაც და მყურებ-ლებსაც იზიდავდნენ.

ბორჯომის თეატრალურ კოლექტივს სხვადასხვა დროს სათავეში ედგნენ: ვ. ციმაკურიძე, ელ. ციმაკურიძე, ს. გერსამია, მ. მემქარიშვილი (ამჟამად ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე), ალ. ალაზნისპირელი და სხვები. ამ თეატრალურ კოლექტივში აღიზარდნენ და სცენური ნათლობა მიიღეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ვ. სალარიძემ და შ. ხერხეულიძემ.



მ. თოძგ  
პეიზაჟი.

მეხუთე სურათს, რომელსაც ისტორიული თემა უდევს საფუძვლად, მაშამ „ქოქოლა“ უწოდა, აქ გამოსახულია მარიამ დედოფელი შაჰაბასთან.

სპარსული დარბაზი. უკან კედელში ნიშაა, სადაც შაჰაბასი წამოწოლილა და ნებივრობს. წინა პლანზე მარიამის დიდებული ფიგურაა აღმართული. იგი შაჰაბასს ქოქოლას აყრის. ამ სურათში მთვარე პირველად შემოიჭრა ინტერიერში. ისევ ახალი ამოცანები იტაცებს მხატვარს — მთვარე დაბლა და სასვე. მარცხნივ, მავრიტანული სტი-

ლის ფანჯრებიდან, მთვარე გრძელი და ვიწრო ზოლებით შემოდის იატაკზე, იქმნება დიდი, ღრმა დარბაზის პერსპექტივა. შაჰაბასი მორთულ-მოკაზმულია თვალმარგალიტით. ფუნჯის ფართო მონასმებით იქმნება კაზმულობის შთაბეჭდილება. სინათლის ზოლები იატაკზე ფონს უქმნის მუქსამოსიან მარიამს. მარიამი შაჰაბასთან ზურვით დგას. სახე ტრაგიკული და ამაყი აქვს. ლამაზი ქალი უდრეკია და თავსაც ვაწინავს, ოღონდ კდემამოსილება არ შევლესოს. ძალზე მარმონიული შუქრდილებია სურათში. დარ-

1943 წლიდან დღემდე სახალხო თეატრს ხელმძღვანელობს ნიჭიერი შემოქმედი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გიორგი ხმალაძე, რომლის რეჟისორობით არაერთი საინტერესო პიესა დაიდგა. მათგან განაკუთრებით აღსანიშნავია პ. კაკაბაძის კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“. სპექტაკლის მუსიკა გუგუთენის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს კომპოზიტორ მ. ჩირინაშვილს, მხატვარია — თ. ხუციშვილი. სპექტაკლში მონაწილეობდნენ სცენის მოყვარენი: ვ. ფხალაძე, მ. ხუციშვილი, ლ. კველიშვილი, მ. ლურსმანაშვილი, ე. ციბაუკინა, ე. ცაბაძე, ი. ხუციშვილი, გ. იოსებაშვილი, შ. ბერიძე, ი. გონცაძე, ი. ალელიშვილი და სხვები.

შემდგომ დაიდგა აკ. დევიძის კომედია „მეუღლენი“, მეიოს და ენ-

ნიკენის „ბიჭუნა“, ა. ცაგარლის „ციმბირელი“, ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე?“. მომდევნო წლებში სახალხო თეატრმა განახორციელა ვ. გუნიას „და-მმა“, ბ. ლავრენვეის „რღვევა“, ირ. ჭავჭავაძის „კეთილი მუზობლები“, კ. ბუარჩიძის „მეცერი ქალიშვილები“, გ. ქელბაქიანის „განა ეს სიყვარულია?“, ი. მოსაშვილას „სადგურის უფროსი“, ა. ამპილიას „უცნაური ბეჭედი“, ა. წერეთლის „კინტო“, ტრ. რამიშვილის „სტუმარ-მასპინძელი“, პ. ემელიანოვის „უკუდავების წყარო“, მ. მთვარაძის „სახსოვარი“, პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, მ. მრევლიშვილის „მოულოდნელი დასასრული“, ა. მომუნოვის „განაჩენი აღარ გასაჩივრდება“ და სხვ.

დიდი სამამულო ომის მისისხანე დღეებში თეატრალურ კოლექტივს

მუშაობა არ შეუწყვეტია არც ერთი დღით და ჰოსპიტლებში, სოფლებში, კოლმეურნეობებში დიდი ენთუზიაზმით დგამდა წარმოდგენებს, აწყობდა კონცერტებს.

1960 წლის მაისში მეიოსა და ენნიკენის ხალისიანმა კომედია „ბიჭუნა“ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ რეკომენდაცია გაუწია სახალხო თეატრს, ეს პიესა ეჩვენებინა სხვა რაიონებში.

ბორჯომის სახალხო თეატრის კოლექტივმა რესპუბლიკურ ფესტივალზე მეორე ადგილი მოიპოვა და დიდი ენთუზიაზმით მოემზადა სამბოთა საქართველოს 50 წლის-თავისათვის.

სახალხო თეატრი მონდომებით ემსახურება დამყენებლებსა და რაიონის მშრომლებს, სოფლად —





ბაზი დიდა და მდიდრული. მხატვრის ერთ-ერთი ამოცანა იყო შაბასის ფიგურის წვედზე ზუსტი დეტალური შექმნა სურათზე მივარიანი ღამის პეიჯარია აღბეჭდილი. მამამ ქართლის ბუნება გამოსახა, შევერცხლილი მდელი, ბუჩქები, ხეები და გორაკი.

მეშველი სურათზე „მოვარიანი ღამე“ ბესიკისა და ანას შესვედრა გამოხატული.

კიდევ პატარა ეტიუდი — „ბორჯომი მივარიანი ღამე“. რამდენადღაც მახსოვს, კიდევ ჰქონდა მამას მივარიანი ღამეები დახატული, მაგრამ არ ვიცი, სად არის ახლა ეს სურათები.

1916 წელს მამამ და ირაკლი მდინარე თემის სათავესთან, სოფელ ერთაწმინდაში იყვნენ. მათ იქ აკარგარეველი შესვლათ. დაათვალიერეს ველისა, სადაც გიორგი სააკაძის ვაჟის — პატას თავი მარხია. მათ ნახეს თამარის დროის ხიდი — მრავალი კოშკი და ძველი. მამა-შვილმა თითო ეტიუდი გააკეთა. ია კარგარეთის უხაროდა თურმე, რომ მოსე მის მშობლიურ, წარმტაც ერთაწმინდას ხატავდა.

ინავე წელს მამა და ირაკლი დიმიტრი შვეარდნაძისთან, ლაო უკუდაშვილთან და მიხეილ ჭიაურელთან ერთად დავით გარეჯის მონასტერში იყვნენ, საიდანაც დიდი შთაბეჭდილებები და კარგი ჩანახატები დაბრუნდნენ. 1916 წელს თბილისში ჩამოვიდა რუსი პოეტი ბალმონტი. სპეციალურად გამართულ საღამოზე, რომელსაც დიდალი ხალხი დაესწრო, ბალმონტმა შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ საკუთარი თარგმანი წაიკითხა. ტარის გერალს მხოლოდ არ უსანდა. ჩვენი ინტელიგენცია გარს შემოვრტყა პოეტს. ყველას უდიდოდა სახე. მამამ პოეტი გაიცინა. ჩვენი თბილისის მოხიბლული სტუმრები აღტაცებას გამოთქამდა. მამამ სახლში მიიპატივა პოეტი და საჩუქრად პასტელთი შესრულებული საკუთარი ეტიუდი „თბილისი“ მიართვეს.

1917 წელს მამამ მხატვართა მოძრაი გამოყენებაში ერთ-ერთი როლი, რამაც საზოგადოებრიობის ყურადღებაში აყენა. ამ გამოყენებამ მრავალ ახალგაზრდას გაუღვინა დაუფლები სურვილი. ახალბედა მხატვრები მამასთან ერთად დადიდნენ ეტიუდების სახასხატად. მამამ იწვიათი უნაირ ჰქონდა, რომელიც მეექვსე გრძნობით შეინახავდა ახალგაზრდაში მხატვრის ნიჭს, ყურადღებით ეციებოდა, გზას უკავფავდა მას. გამოყენების ექსპოზიციში ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევართა შორის იყო აკაკი ვასაძის ეტიუდი.

როგორც ირაკლი მოვეითხო, ქუთაისში მამას ბევრი კარგი სურათი დაუხატავს. „ბარატის ნანგრევები“ დამთავრებულ ჰქონდა და იქვე გაიტანა გამოფენაზე. მოწვეულებული დიდი ლოდები მხატვარს იზიდავდა. იგი აქ ბევრი სურათის დახატავს იცებობდა. მოგზაურბამ გელათში, ფრესკების დათვალიერებამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მხატვარზე.

მამას მოსწონდა მოწამეთა მონასტერი, ხიბლავდა მისი ადგილმდებარება. მანდალი კლდის წვერზე აღმართული მოწამეთა, სამი მხრიდან მიუდგომელია, მის ირგვლივ ნაპრალებია. მხოლოდ მეოთხე მხრიდან ვიწრო ასახლებულს მიყავრთ გაღავნით შემოვლებული მონასტრისკენ.

ამავე წელს მთელი ჩვენი ოჯახი კახეთში იყო. დედა ახტალის ტალახით მკურნალობდა. ვცხრობდით თელავში. მახსოვს, ვულეჩ ახვლედიანის ორსათოლიანი სახლი აივნით, ოთახში ბევრი სურათი. მამამ კახეთში უამრავი ესკიზი და სურათი დახატა. ტაძრების ხედები, თელავის, ყვარლის, გურჯაანის პეიზაჟები, ალუზნის ველი და სხვ.

1919 წელს მამამ ორ გამოყენებაში მიიღო მონაწილეობა. მის სურათებს — „თამარ მეფე სავანაკოლდ“, „მჭედელი“, „ძველი თბილისის ბაზარი“ და სხვებს წარმატება ხვდა.

კოლმეურნეებსა და საძირეებზე მყოფ მწყემსებს.

1969 წლის ზაფხულში სახალხო თეატრის კოლექტივმა გასვლითი წარმოდგენები გამართა კოლმეურნებისათვის ახალდაბაში, ყვიბისში, კორტანეთში, დვირში, ტაძრისში, რველში და სხვაგან. დადგმები განხორციელდა ხელოვნების დამასხურებელმა მოღვაწემ გიორგი ხმალაძემ. როლებს ასრულებდნენ სცენის მოყვარები: ვერა ფხაძე, ბიძინა ხუციშვილი, პეტრე ნოზაძე, ჯუმბერ გუგავაძე, ილია ბლიაძე და სხვები.

გ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის სახალხო თეატრის მოაშხადა შოვე დადიანის პიესა „ნაპურწლიდან“, რომელიც ნაწევნები იქნა მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე.

ბორჯომის სახალხო თეატრის კოლექტივმა სოფელ ტაძრისის სასოფლო კლუბში ტაბაწყურელ მომთაბარე მწყემსებს უჩვენა ა. ცვარცვარი პიესა „ციმბირილი“, რომელიც დაღვა გიორგი ხმალაძემ.

მწყემსები მთაში დიდი სიხარულით შეხვდნენ ბორჯომის სახალხო თეატრის მსახიობებს.

ბორჯომელმა მშრომელებმა და ქართულმა თეატრალურმა საზოგადოებრიობამ დიდი აღფრთოვანებითა და ზეიმით აღნიშნეს მათი თეატრალური კოლექტივის არსებობის სასიცი წელი.

ახლანან სახალხო თეატრის კოლექტივმა განახორციელა მიხეილ აბაშიძის პიესა „დამნაშავენი“ (დამდგმელი-რეჟისორი გ. ხმალაძე). როლებს ასრულებდნენ დ. დადიანი, ზ. აკოფოვი, ნ. ვეფხვიაშვილი, ბ. ხუ-

ციშვილი, ე. ცაბაძე, ა. შვიცი, ქ. ლომიძე, მ. კოიშვილი, ჯ. ხიჯაკაძე, ი. გინცაძე, ჯ. გელაშვილი და სხვები.

სახალხო თეატრის კოლექტივმა ირაკლი ჭავჭავაძის „კეილი მეზობლების“ დადგმისთვის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელი დაიმსახურა.

შემოქმედებითი ცეცხლი ახლაც ღვივის ბორჯომის სახალხო თეატრში. მის კოლექტივს მუშაობაში აქტიურ, ქმედით დახმარებას უწევს რაიონის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები და მთელი საზოგადოებრიობა, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, სახლური შემოქმედების რესპუბლიკური სახლი, საქართველოს თეატრალური საზოგადოება და სხვა ორგანიზაციები.

# რამდენიმე ზენიზვნა სავარის წმინდა საბას ტაძრის კედლის მხატვრობაზე

გიორგი ხუციშვილი



ორესტი.

ქალქ ახალციხიდან ათი კილომეტრით დაშორებული საფარის მონასტერი ერთ-ერთი ულამაზესი საგანეა. მონასტრის მთავარ ნაგებობას წარმოადგენს წმ. საბას სახელობის ტაძარი. წმ. საბას ტაძარი, როგორც ეს დაადგინა პროფ. ვ. ვ. ბერიძემ,<sup>1</sup> აგებულია XIII საუკუნის ბოლოს ბექა ჯაყელი მანდატურთუხუცესის (1285-1308 წ. წ.) დროს. ეს ძეგლი მრავალმხრივ ინტერესს იწვევს და განსაკუთრებით იმიტომ, რომ მონღოლთა დაპყრობების დროინდელი აღმოსავლეთ საქართველო არც თუ ისე მდიდარია ძეგლებით. ეს გასაგებია: მაშინ ქართველი ხალხი უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში იყო ჩაბმული. უაღრესად რთულმა პოლიტიკურ-ეკონომიურმა მდგომარეობამ საქართველო მტკიცეული პრობლემების წინაშე დააყენა. საჭმე იქამდე მივიდა, რომ საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი მხარე — ისტორიუ-

ლი მესხეთი — მისგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. ეს მოხდა 1266 წელს ჯაყელთა „დინასტიის“ დამარცხების სარგის ათაბაგის დროს: სარგისმა თავისი სამფლობელო უშუალოდ მონღოლთა ყაენის იურისდიქციას დაუმორჩილა, რაც ქვეყნის ღალატს ნიშნავდა. ხანში შესვლასთან ერთად სარგის ათაბაგი ჩამოსცილდა პოლიტიკურ მოღვაწეობას და 1285 წლიდან დაწყებული სამცხე საათაბაგოს მპყრობელად სარგის ათაბაგის ძეს ბექა მანდატურთუხუცესს ვხვდებით. დასწრელებული სარგისი ბერად შედგა ჯაყელთა ძველ რეზიდენცია-მონასტერში — საფარაში და მიიღო საბას სახელი.<sup>2</sup> მამის პატივსაცემად ბექა ჯაყელმა მიძინების X საუკუნის უგუმბათო ეკლესიის გვერდით ააგო დიდი გუმბათოვანი ტაძარი, რომლის პატრონად წმ. საბა ითვლება.

წმ. საბას ტაძარი თავიდანვე მოსახატად იყო განკუთ-

ვნილი, ამაზე მეტყველებს ქვის ფილებების წყობა, მათი საეკლავიური დაღარვა პარალელური ღრმულებით.<sup>4</sup>

წმ. საბას კედლის მხატვრობა საკმაოდ რთულ სურათს წარმოადგენს: აშკარად შეიმჩნევა სხვადასხვა დროის რამდენიმე გადაწერა-განახლების კვალი, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ამ განახლებებმა არ დაარღვიეს ტაძრის კედლებზე განლაგებული სცენების სიუჟეტური თანმიმდევრობა და მთლიანობა.

წმ. საბას ტაძრის გუმბათში თავსდება მაცხოვრის ამაღლების კომპოზიცია, გუმბათის ყელში რვა წინასწარმეტყველი, აფრებზე მახარებლები მელალიონებში. საკურთხევის აღსიდაში ვხვდავით ვედრებისა და ზიარების კომპოზიციებს, ცკლესიის მამათა ფრიზს დაკანებით კიდებულზე, მელალიონში „ჯვარი ძლივისა“ და 2 მთავარანგელო-

ზი. ტაძრის კედლებსა და გუმბათისქვეშა სვეტებზე თავსდება მაცხოვრის ცხოვრების ამსახველი სცენები, „მარტო მოსვლის“ კომპოზიცია, „ექსტატე პლაკიდას სსწულის“ „იესუს ხე“, „იესო ძე ნავესი მთავარანგელოზ მიქელის წინაშე“, ქეტორთა პორტრეტი.

მეიხველთა ყურადღება ამჯერად გვიანდა შევანეროთ წმ. საბას ტაძარში შემოსახულ რამდენიმე გამოსახულებაზე. აღსანიშნავია, რომ ქრისტიანული ტაძრის მხატვრობისათვის ამ დამასამათებულ სიუჟეტებშიც თემატიკის შერჩევის მხრივ წმ. საბას მხატვრობა გარკვეულ ორიგინალობას ინარჩუნებს.

ერთ-ერთ ასეთ საინტერესო სიუჟეტს წარმოადგენს ფრესკა „იესო ძე ნავესი მთავარანგელოზ მიქელის წინაშე“. ფრესკა მოთავსებულია ტაძრის ჩრდილო-დასავლეთის, გუმბათისქვეშა სვეტის ქვედა რეგისტრში. კადრის ზომაა 2,30 x 1,01 მ.

შემორჩენილია წარწერებიც, მთავარანგელოზის შარვანდის გასწვრივ:

		ანბი ლოზი
მიხალი	მთავარ	
იოსო	ძი	ნაშისი

და ქვევით, მთავარანგელოზის მარცხენა მუხლის გასწვრივ, მუხარადიანი ფიგურის თავზე:

იოსო	ძი	ნაშისი
------	----	--------

საბრძოლო აბჯარსა და წითელ წამოსასხაში გახვეული მთავარანგელოზი მთელი ტანითაა გამოხასხული. ოქროსფერი შარვანდი შავი და თეთრი ხაზებითაა შემოვლებული, მიქელის ყავისფერი თმის ხვეულები კი შავი პარალელური ხაზებით.

მეკრძან მოხრილ მარჯვენა ხელში მიქელს სწორი მახვილი უჭირია. მხატვარს ჯერ სხეული გამოუსახავს და შემდეგ ეს მახვილი მიუხატავს (კარგად ჩანს აბჯრის მოხაზულობა). სხეულის გასწვრივ ჩამოხვეულ მარცხენა ხელში მიქელს საკმაოდ მასიური ქარქში უჭირავს.


ფიგურას გრძელი პროორციები ახასიათებს. თავი სხეულში თითქმის 9-ჯერ თავსდება. სახე ყავისფერი საღებავებითაა დაწერილი. დაწვებზე საკმაოდ მკვეთრად, ორი ლესირებული ლაქის სახით წითურობა მოჩანს. ცხვირის გასწვრივ, თვალბთან, ნიკაპთან და ყბების გარშემო ჩრდილები მწვანე ფერითაა გადმოცემული. თმები წითელი თასმითაა გადაჭერილი.

მიქელის მარცხენა ფეხთან, მუხლქვევით ნავეს ძის იესოს თავი მოჩანს. ფრესკის ქვედა ნაწილი ისეა დაზიანებული, რომ იესოს მხოლოდ თავილა ჩანს. იგი, ეტყობა, მუხლმოყრილად იყო გამოხასხული. იესო ძე ნავესი უწყვერულგამო ახალგაზრდაა. თავზე ლითონის მუხარადი ახურავს. მუხარადიდან მხრებზე ლითონისვე ჯაჭვის რიდეა ჩამოშვებული. იესო ქვევიდან ვედრების გამომეტყველებით შეპყრებს მიქელს.

მიქელიცა და იესო ძე ნავესი მუქ მწვანე ფონზე არიან გამოხასხულნი. მთავარანგელოზის ფრთები რუხი, წითელი, მუქი ლურჯი ფერებით არის დაწერილი. ნახატი შავი ხაზის მეშვეობით სრულდება. ფრთების ბოლოები მუხლის ქვევით სწვდებიან მიქელს (ფოტო № 2).

ჩრდილოეთის მკლავის აღმოსავლეთის კედელზე, სამკვეთლოში შესასვლელი კარების თავზე, კანკელის გვერდით განლაგებული მთელი რეგისტრისაგან მხოლოდ ორი ფიგურაა შემორჩენილი. მათი სიმაღლეა 1 მეტრი და 50

მიქელი მთავარანგელოზი, იესო ძე ნავესი.



სანტიმეტრი. შედარებით უკეთაა მოღწეული კიდურა გამოსახულება. მას შავი ხაზით შემოვლებული ყავისფერი შარავანდი აქვს. ტანზე მთავარანგელოზ მიქელის მსგავსი ლითონის აბჯარი აცვია. მარჯვენა ხელში თეძოსთან გრძელი შუბი უჭირავს. აბჯარზე წამოსხმული აქვს წითელი წამოსასხამი. აბჯარიდან მუხლებამდე ეშვება რუხი-მომწვანო ქიტიანი აფრიალებული ბოლოებით. მარცხენა ხელში მიქელ-მთავარანგელოზის მსგავსად უპყრია ქარქაში, რომელსაც წითელი თასმა აქვს მიმაგრებული. ეს თასმა წითელი ბურთულით ბოლოვდება. წმ. მხედარს ფეხზე მაღალ-ყელიანი რბილი ჩექმები აცვია. ჩექმები რუხი ფერისაა.

წმ. მხედრის სახის კონსტრუქცია შესაბამეა მიქელ მთავარანგელოზის სახეს. მსგავსება აბჯრის, ტანსაცმლის, ქარქაშის დამუშავებამდე სჩანს. თუმცა მიქელისაგან განსხვავებით ეს ფიგურა გაცილებით უფრო პროპორციულია და უკეთესადაა დაყნებული (ფოტო № 1).

საინტერესოა ამ წმ. მხედრის ვინაობა. სახელი შარავანდის მარჯვენა მხარესაა დაწერილი თეთრი ასოებით მწვანე ფონზე:

ორისტ.

ეს სახელი, ცოტა არ იყოს, წარმართულად ძველს და ქართული შესავარაუდების კვლის მხატვრობის სხვა ძეგლებში, რამდენადაც ჩვენ ვიცით, არ გვხვდება. თუ რა გზით მოხდა ორისტის გამოსახულება საფარის წმ. საბას კედელზე, ვფიქრობთ, რამდენიმე ვერსიის საშუალებით შეიძლება აიხსნას.

ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის თეიმურაზ ბატონიშვილის (1782-1846 წ.) კერძო წიგნსაცემში დაცულია ერთი ხელნაწერი, რომელიც ჩვენი ორისტისა და მისი თანამებრძოლების (აქ წამოილი ფიგურები საფარის წმ. საბაში ორისტის ვერდიო) ვინაობასა და თავგადასავალს წარმოადგენს.<sup>5</sup>

მეორე ხელნაწერი, რომელიც შესაძლოა იმავე ორესტზე მიეფიქრობებინ, არის XVI ს-ში გადაწერილი თარგმანი ბერძნულიდან ორესტისი და ძმთა მისთა მარტიკოლის შესახებ. ტექსტი გადაწერილია აფხაზეთის კათალიკოსის ფედომონ I ჩხეტიძის (1543-1578 წწ.) ბრძანებით. ხელნაწერი გელათის მონასტრის კუთვნილია, დღეს კი ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული. ძველი გამოსაცემად მოამზადა და გამოიკვლია აკადემიკოსმა ჭინბლაძემ.<sup>6</sup> მართალია, ჯერ კიდევ დაუზუსტებელია ამ ორი სახელის — ორესტი და ორენტიოს — ურთიერთამოკიდებულება, მაგრამ თავისთავად ამ ორი ქართული ხელნაწერის არსებობა მეტად საყურადღებოა ჩვენი გამოსახულებისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ორესტის მარტიკილობის ბერძნული ტექსტები ჩვენამდე არ მოღწეულა, ანუ, რომ ერთადერთი წყარო ორენტიოსისა და მისი ძმების თავგადასავლის კვლევის ქართული მეტაფრასტული თარგმანია.

საკითხის დაყენების თვალსაზრისით აღსანიშნავია ისიც, რომ ორესტის, მიქელ მთავარანგელოზის და ნავეს ძმის იესოს ფიგურათა შესრულების მანერა საკმაოდ ახლო დება, მინიატურის შესრულების წესთან. რეკონსტრუქციის მიხედვით ორესტის გამოსახულება მოთავსებული, სამკვეთლის შესავლებლის თავზე საკმაოდ ვრცელ მართკუთხედს წარმოქმნის. ორესტის გარდა, აქ თავისუფლად მოთავსდებოდა კიდევ ხუთი-ექვსი ფიგურა. ერთ-ერთი მათგანის მოხატულობა ჯერ კიდევ სჩანს ორესტისაგან მარჯვნივ.

წმ. საბას მხატვრობა რამდენჯერმე განახლებული. სახსრეთ-დასავლეთის გუმბათქვეშა სვეტზე მოთავსებუ-



ფრამენტარ სამხრეთ-დასავლეთის გუმბათისქვეშა სვეტლანა.

ლია ბათქაშის თითქმის ოვალური ნაწილი, უსწორმასწორო კედლებით. ბათქაში ძლიერ გაუფერულებულია. მოჩანს საკმაოდ მასიური ფეხების მოხატულობა მუხლიდან ტერფების ჩათვლით და მარცხენა ფეხის გასწვრივ მახვილის ან ქარქაშის გამოსახულება. შეუესიღოა ორი ფეხისაგან შესდგება. ორივე ფეხა ფერწერით იყო დაფარული. ეს სხვა მაგალითებთან ერთად კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ წმ. საბას ფერწერა დროთა განმავლობაში რამდენჯერმე ყოფილა განახლებულ-გადაწერილი (ფოტო № 3).

ჩვენი ინტერესი ამ გამოსახულებებისადმი არ არის შემთხვევითი: ისინი უკავშირდებიან ძველთვის მიღწეულ რიგს. მაგალითად, ფრესკის „იესო ძე ნავესი მთავარანგელოზ მიქელის წინაშე“ სცენა ძველი აღქმითაა აღებული. ოსტატმა კარგად იცის ამ სცენისათვის დამახასიათებელი იკონოგრაფია. მსგავს მოძრაობაში და რაც მომავალი, ატრიბუტებით (მთავარანგელოზის წამოსასხამი, აბჯარი, ხმალა, ჩაცმულობა, იესოს მუხარის) საფარის ფრესკა წააგავს ზარზმისა (XIII ს.)<sup>7</sup> და იფარის ფრესკებს (XI ს.)<sup>8</sup>, ვატკანის (VII ს.)<sup>9</sup> გრიგოლ ნაწინაშლის პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის (880-886 წ. წ.)<sup>10</sup> ბასილ II ვატკანის ბიბლიოთეკის (დაახ. 986 წ.) ხელნაწერთა მინიატურებს.<sup>11</sup>

ამს უნდა დავემატოთ ისიც, რომ წმ. საბას კვლის მხატვრობაში კიდევ მოიპოვება რამდენიმე საინტერესო სიუჟეტი, რომლებიც დაკავშირებულია ადრულ-ქრისტიანულ განცდებთან. ასეთია წმ. საბას დასავლეთის მცლავის შუა რეგისტრში მოთავსებული გრანდიოზული ფრესკა „წმ. ეგსტატე პლაკიანი სასწული“.<sup>12</sup> მსგავსი გამოსახულება 1921 წელს ამიერიან გარეჯის უღანბანში აკად. გ. ნ. ჩუბინაშვილმა. ეს არის ნათლისმცემლის ტაძრის შესასვლელში ქვაზე ამოკვეთილი რელიეფი.<sup>13</sup> მეორე მაგალითია პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკის ფსალმუნის მინიატურა,<sup>14</sup> კლიუნის მუზეუმის რელიეფი<sup>15</sup> და სხვ.

ბატონიშვილს ჩრდილო-დასავლეთის ნაწილის სამხრეთ-დასავლეთის კედელზე ქვედა რეგისტრში მოთავსებულია „იესეს ძიხ“ გამოსახულება. ცნობილია, რომ მცირე ზომის სატეხი ამ სიუჟეტის გამოსახულებით საკმაოდ პოპულარული იყო.<sup>16</sup> მსგავსი გამოსახულება მოიპოვება პანაგია პანტანასაში (მაკედონია — 1289 წ.),

პეტრესა და პავლეს ეკლესიაში (ტირნოვო, ბულგარეთი — XIV ს.), ქრისტეს შობის ტაძრის მოზაიკა ბეთლემში — 1169 წ. და სხვა.<sup>16</sup> გარდა ამისა, ამ შინაარსის ფრესკა მოგვეპოვება ყინწყვისშიც (XIII ს.).

დაბოლოს, წმ. საბას ტაძარში დაცულია რელიეფი „წმ. დანიელი ღობების თხრილიში“. საკმარისია აღინიშნოს, რომ მსგავსი სიუჟეტი უკვე ჩვენი წელთაღიგის დასაწყისის კაკაოკომების უძველეს ფრესკებში გვხვდება.

ამრიგად, საფარის წმ. საბას ტაძრის კედლის მხატვრობა სიუჟეტების შერჩევის მხრივაც საინტერესო ძეგლს წარმოადგენს. იგი კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ საშუალო საუკუნეების საქართველო ერთ-ერთ მოწინავე ქვე-

ყანას წარმოადგენდა, რომელიც სვა ქრისტიანულ ქვეყნებთან ერთად იცავდა ძველ ქრისტიანულ ტრადიციებს და მასაც შესაძლებელი წვლილი შეჰქონდა საკაოკომო-კულტურის განვითარების კეთილმოზილურ საქმეში.

შენიშვნები:

<sup>1</sup> ვახტანგ ბერიძე, „სამცხის ხუროთმოძღვრება XIII-XVI საუკუნეებში“, თბილისი, 1955 წ.

<sup>2</sup> „ქართლის ცხოვრება, ეპითალიძე-მწერელი“, თბილისი, 1959 წ., ტ. 2, გვ. 278.

<sup>3</sup> M. Brosset «Rapports, sur un Voyage archeologique dans la Georgie et dans l'Arménie exécuté en 1847-1848» 2-c Civraison, St. Petersburg, 1850, p. 119.

<sup>4</sup> Д. П. Гордеев. «Отчет о поездке в Ахалцихский уезд в 1917 году, росписи в Чуле, Сапаре и Зараме». «Известия Кавказского историко-археологического института в Тифлисе», том I, Петроград, 1923 г.

<sup>5</sup> „თეიმურაზ ბატონიშვილის წიგნსაყივის კატალოგი“ გამოცემულ დაამზადა ს. იორდანიშვილმა. თბილისი, 1948 წ. ამ გამოცემის მე-13 გვერდზე ვკითხულობთ: „წიგნი საეკლესიოთა ისტორიათა. 57. მამათ ცხოვრება და მოწყაება ლეაწლი, ერთს წიგნად აღწერილი. დაბ. ძველი წიგნი ჩვენს წმინდათ მამათ ქართველთაგან ბერძნულსაგან ქართულად თარგმნილი ძველადე, რომელსა შინაც არიან შემდგომნი ესე... 3 (წამება წმინდათა დიდათა მოწყაება ევსტატი, აქესენტი, ევგენი ორესტი და მარტირისა“. ასეთივე ცნობა დაცულია კატალოგის ავტორგრაფულ ნუსხაში, ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერში) С 38.

<sup>6</sup> გ. კვეციანი, „ორენტიოსისა და მშათა მისთა მარტიკობა“, გამოცემა და ტექსტი დაბეჭდილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემაში „ლიტერატურული ძეგანი“, IV ტ., თბილისი, 1948 წ., 93-128 გვ. ეს ცნობები ჩვენ მოგვარა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა, დოცენტმა გ. ს. შარაძემ, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდით მას.

<sup>7</sup> Е. Такашвили. Археологические экскурсии, разыскания и заметки, вып. I, Тбилиси, 1905 г., стр. 55.

<sup>8</sup> Ш. Я. Амирашвили. История грузинской монументальной живописи, том I, Тбилиси, стр. 137, табл. 129.

Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская. Росписи художника Тевдоре в Верхней Сванетии, Тбилиси, 1966 г., стр. 25.

<sup>9</sup> В. Н. Лазарев. История Византийской живописи, том I, стр. 55-56, табл. IV, Миниатюра из Ватиканского свитка Иисуса Навина. Palat. gr. 431.

<sup>10</sup> იქვე, том II, табл. 51, Миниатюра из Слов Григория Назианзина в Парижской Национальной Библиотеке, гр. 510.

<sup>11</sup> იქვე, том II, таб. 69а, Миниатюра Панталеоны из Мелопогия Василия II в Ватиканской Библиотеке, гр. 1613.

<sup>12</sup> Г. Н. Чубинашвили. «Пещерные монастыри Давид-Гареджи, Тбилиси, 1948 г., стр. 31-32.

<sup>13</sup> В. Н. Лазарев. История Византийской живописи, том II, Москва, 1948 г., табл. 45а, Сены из жизни Евстафия, Миниатюра из Псалтыря в Парижской Национальной Библиотеке, гр. 20, начало X века.

<sup>14</sup> Д. В. Айдалов. Некоторые христианские памятники Кавказа, см. Археологические известия и заметки, № 7, 1895 г., стр. 239-240.


<sup>15</sup> Н. П. Кондаков. Иконография Богоматери, том II, Петроград, 1915 г., стр. 233.

<sup>16</sup> В. Н. Лазарев, История Византийской живописи, том I, М., 1947 г., 131, 173, 176, 178, 184, 375, 380 стр.

საქართველოს კომპაზიციის 50

წლინთავისაღმი მიმღვინილი გამოცეინაღ

რ. თორღია. ახალგაზრდა არქეოლოგები.





ლისპეტის მონაწილენი. მარცხნიდან: მსახიობები — გ. თოღაძე, ა. ტყაბლაძე, ნ. ნიჭიანიძე, ა. შიქაძე; ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი ვ. სულაქველიძე, რეჟისორი ს. მრეველიშვილი, ე. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი ა. ქუთათელაძე, მხატვრული სახლის დირექტორი ნ. ჭილაური; მსახიობები — ჯ. მონიავა, პ. ინწკირველი (რესპ. დამს. არტისტი), ლ. კახანაძე, ვ. თანდილაშვილი, ლ. პიტავა, მ. გვერთია.

# საინტერესო ღონისძიება ბავშვთა მხატვრული აღზრდის სახლში

ლეილა ზვიადაძე

ბასსული წლის 15 თქტომბერს კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დარბაზი თბილისის მოსწავლეებმა ააგეს. ხელოვნების ნორმ მოყვარულთა საქალაქო ასოციაცია ემზადებოდა სპექტაკლის „ნუ გეშინია დედა“ საქალაქო განხილვისათვის. 15 ნოემბერს კი განათლების განყოფილების მხატვრული აღზრდის სახლის საქალაქო დარბაზში ერთმანეთს შეხვდნენ სპექტაკლის დამდგმელი კოლექტივი, ასოციაციის თეატრალური სექციის წევრები და თეატრის ნორჩი მოყვარულები. საუბარი ეხებოდა სპექტაკლის ავაგრიანობას.

— ინტერესი, რომელიც სპექტაკლმა მოსწავლეებში გამოიწვია, — აღნიშნავს სექციის თავმჯდომარე, 27-ე საშუალო სკოლის მოსწავლე მაია დემეტრაძე, — ბუნებრივია. ეს არის კიდევ ერთი საინტერესო შეხვედრა ჩვენს თანამედროვესთან. რეჟისორმა სანდრო მრეველიშვილმა მკვეთრად წამოსწია სპექტაკლში თანამედროვე ახალგაზრდობის მტკივნეული პრიბლიმები და ნოდარ ღუმბაძის ხალისიან იუმორთან ერთად ბევრი რამ განადა ჩვენთვის ჩამაფიქრებელი. სპექტაკლში დაპირისპირებულია თანამედროვე ახალგაზრდობის სამი ტიპი, უარყოფითი მხარეები აყვანილია

გროტესკამდე და აძლიერებს კრიტიკულ დამოკიდებულებას ყოველივე მანკიერისადმი.

მაია დემეტრაძემ დაწვრილებით ისაუბრა სპექტაკლის რეჟისურაზე, შეეხო ცვლილებებს, რომელიც ლიტერატურულმა პირველწყარომ სცენაზე განიცადა, აღნიშნა რა შეემატა, ან რა დააკლდა დადგმას ამ ცვლილებებით. მან სპექტაკლის ნაკლად ჩათვალა ზოგიერთი სახის გაუფერულება, ზოგიერთი ეპიზოდის ამოღება, დედის აჩრდილის ხშირი გამოსვლა სცენაზე და სხვა. მისი აზრით, ნოდარ ღუმბაძის პიესები ერთმანეთს ჰგავს, ამიტომ საჭირო იყო რეჟისორს გამოენა-



ხა სპექტაკლისთვის ახალი ფორმები და არ გაყოლიდა წინამორბედი დადგენების გზას.

მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლე ქეთინო შოთშვილი თანამედროვე ახალღაგაზრდობის პრობლემით დაინტერესდა. იგი შეეხო სპექტაკლში წამოჭრილ მტკივნეულ საკითხებს. მისი აზრით, სპექტაკლი არის სასრეკ თანამედროვე ახალღაგაზრდობისათვის, რომელიც არ უნდა ცხოვრობდეს დამალუპეული ღოზუნებით, ყველამ თავის თავს მოუაროს" და პირადი კეთილმოწყობა თვითმიზნად არ უნდა გაიხადოს.

სპექტაკლის მთავარ გმირს — ავთო ჯაყელს (ახალღაგაზრდა მსახიობი ა. მიქაძის შესრულებით) მაღალი შეფასება მისცა 88-ე საშუალო სკოლის მოსწავლე გულნარა კურატაშვილმა. მსახიობმა, — თქვა მან, — შესანიშნავად დასძლია რთული ლიტერატურული სახე. რომანის ძირითად მოტივებს პუშკინიზმს, ღრმა პატრიოტიზმს, ოტიკიზმს სპექტაკლში მიქაძის მიერ შექმნილი იერსახე აძლევს. მსახიობის თამაშში არ იგრძნობა დამკვიპლობა. იგი ხან ღრმა განცდებს ავლენს, ხან იუმორითაა სავსე, მაგრამ ყოველთვის ზომიერია, უშუალო და გულწრფელი.

მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლე თამარ კახიანი შეეხო სპექტაკლის მხატვრობასა და მუსიკას და აღნიშნა, რომ გემოვნებით გაფორმებული დადგმა ყოველმხრივ უწყობს ხელს რეჟისორის ჩანაფიქრის მაყურებელამდე მიტანას.

გაცხოველებული მსჯელობის საგნად იქცა მსახიობთა ოსტატობა, როლის შესრულების ესა თუ ის მხარე. მოსწავლე რეჟო მგელაძემ დაწვრილებით დაახასიათა მსახიობების პ. ინჟირველის (სიღორე ჯაყელი), გ. გელოვანის (მინაგო ჯაბუა), ვ. ოსაძის (ვანიჩკა ბიძია) და ა. ვერულაშვილის (რუბენა მესაბეთე) მხატვრულად გამოკვეთილი, მაღალი ოსტატობით შესრულებული იერსახეები, მსახიობთა შესანიშნავი გარდასახვა, მაგრამ აქვე უსაყვედურს რეჟისორს რუბენა მესაბეთის ზედმეტობა სპექტაკლში და ვანიჩკა ბიძიას ცალმხრივობა, ნაკლებ დამაჯერებლობა.

136-ე საშუალო სკოლის მოსწავლეს მარინე ხოდელის აზრით ძალიან საინტერესოდ გამოიყურებია სცენაზე და კარგად ახორციელებენ რეჟისორის ჩანაფიქრს მსახიობები: ჯ. მონიავა (გივი), ა. მესაბლიძე (გელა), რ. მიტაბერიძე (არჩილი).

საერთო აზრი გამოხატა 113-ე საშუალო სკოლის მოსწავლე მარინე სამადაშვილმა, როდესაც აღნიშნა, რომ სპექტაკლში გაუფრტულებულია მაიორ ჩხარტიშვილისა და შერბინას სხეულები და მსახიობებს ე. ტრიპოლსკისა და გ. თოდაძეს არ მიეცათ საშუალება მეტი ფერები მოეძებნათ თავიანთი იერსახეებისათვის. სამადაშვილმა მაღალი შეფასება მისცა საზღვრის დამრღვევის საუცხოოდ გამოძენილ სახეს მსახიობ მ. ეგუტაის შესრულებით და აღნიშნა, რომ მსახიობმა ამ პატარა ეპიზოდში კიდევ ერთხელ გამოავლინა ოსტატობა და გარდასახვის შესანიშნავი უნარი. საოცრად შთამბეჭდავია მისი ყოველი ჟესტი, მიმიკა, მეტყველება.

დისპუტის ყველაზე ნორჩი მონაწილე — 136-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ნატო მანჯავიძე მოუხიბლავს მსახიობ ნ. მიქელაძის შურა მამიდას, ნატოს აზრით შურა მამი-

და სცენაზე უფრო სრულყოფილად ვიდრე რომანში.

ბევრად უფრო კრიტიკულად მიუდგა ქალთა სხვა სახეებს 31-ე საშუალო სკოლის მოსწავლე თამილა უქენაშვილი, რომელმაც არაღამაყყოფილებლად ჩათავალა დადუნას სხე მსახიობ ლ. ჰიტავას შესრულებით და აღნიშნა ი. ჭიჭინაძისა და გ. ემხვარის თამაშის გადაჭარბებული მანერა.

სამშობლოს სიყვარულის თემა სპექტაკლში იმდენად მკვეთრია, რომ შეუძლებელი იყო დისპუტის მონაწილეებს გვერდი აველით მისთვის. „როგორი სამშობლო უნდა გვიყვარდეს?“ აი, 147-ე სკოლის მოსწავლე ლალი მახაშვილის საუბრის თემა.

ავთანდილ ჯაყელის აზრი სამშობლოზე ჩემი თანატოლების საერთო აზრია. ყველანაირი სამშობლო უნდა გვიყვარდეს. ძალიან კარგია, რომ ეს საკითხი სცენაზე გადაიტანეს. ავთო ჯაყელის სიტყვები, რომ ავადმყოფი თუ ექიმს სწეულეგას უშაღავს, კვდება — სცენიდან მოწოდებასავით ისმის და ახალღაგაზრდა მაყურებელს სამუდამოდ რჩება გულში, — თქვა ლალი.

თითქოს ლალი მახაშვილის გამოსვლას პასუხობდა მე-18 საშუალო სკოლის მოსწავლე ავთანდილ ვასაძე, რომელმაც წამოჭრა საკითხი: მართალი იყო თუ არა თანატოლებთან კონფლიქტში ავთო ჯაყელი? გულწრფელი იყო ვასაძე, როდესაც აღნიშნა, რომ მოსწონს ავთოს პირდაპირობა, ალამართობა, მაგრამ ვერ დავთანხმე მისი „ბრძოლის მეთოდებს“, რადგან მუშტიკრივით ვერ დაამტკიცებ სიმართლეს. ნაკლთან ბრძოლისთვის სხვა გზებიც არსებობს.

მაყურებელია დარბაზში



ახალგაზრდა რეჟისორ სანდრო მრეელიშვილისათვის ხელოვნების ნორმ მოყვარულთა საქალაქო ასოციაციასთან შეხვედრა პირველი არ არის. მას ახსოვს მხატვრული აღზრდის სახლში ჩატარებული თემატური საღამო — „ვისაუბროთ თანამედროვე თეატრის შესახებ“, სადაც სანდროსა და მის მგებობებს თავიანთი პოზიციების „დაცვა“ მოუხდათ თეატრის ნორმ მოყვარულებთან. ანტიტომაა, რომ მისი საპასუხო გამოცვლა მეტად შინაარსიანი, დამაჯერებელი და გულთბილი იყო. რეჟისორმა კარგად იგრძნო სპექტაკლის ახალგაზრდა შემფასებლებთან შეხვედრის დიდი პასუხისმგებლობა. მას არ დატოვა უპასუხოდ არც ერთი შენიშვნა, გაითვალისწინა და სამართლიანად მიიჩნია ბევრი მათგანი, მაგრამ დამარწმუნებლად დაასაბუთა თავისი მოსაზრებებიც.

სცენაზე, სადაც სპექტაკლის მონაწილეები ისხდნენ, გახუყვეტილი მიდიოდა წერილობითი შეკითხვები. თეატრის ნორმ მოყვარულებს აინტერესებდათ ყველაფერი: რეჟისორის მომავალი გეგმები, მსახიობების მუშაობა როლზე, მათი დამოკიდებულება განსახიერებელი გმირისადმი. ამიტომ მსახიობებს პ. ინ-წკირველს, ჯ. მონიავას, მ. ეგუტას, ლ. პიტავას მოუხდათ დამოკიდებულებითი საუბარი. მათი გამოსვლა იმდენად გულთბილი, შინაარსიანი და უშუალო იყო, რომ სამასკაციან დარბაზში შინაურული ატმოსფერო შეიქმნა, რაც ასე საჭიროა ბავშვებთან ურთიერთობაში. ეს განაპირობა თეატრის დირექტორის ა. ქუთათელაძის გამოსვლამაც, რომელმაც მადლობა გადაუხადა დისპუტის მონაწილეებს და აღნიშნა, რომ მარჯანიშვილის სახელობის თეატრი მოვალეობად თვლის ასეთი ურთიერთობის გაღრმავებას თავის ნორმ მაყურებლებთან — მომავალ თეატრმცოდნეებთან, კრიტიკოსებთან და მსახიობებთან.

ხელოვნების ნორმ მოყვარულთა ასოციაცია, რომელიც ჯერჯერობით თითქმის ერთადერთია საბჭოთა კავშირში, მუშაობას განაგრძობს. მისი გეგმები ვრცელი და შინაარსიანია. განათლების განყოფილების მხატვრული აღზრდის სახლი, როსტის ბაზაზე მოსწავლეთა ეს საინტერესო გაერთიანება მუშაობს, ყოველდღიურად ახალ წევრს იკრებს გარემოში, რათა მოსწავლე ახალგაზრდობა ჩვენი ხელოვნების პროფესიული შემფასებელი გახდეს.



აპაკი ვეფხიძე

# ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა

დ რ ა მ ბ

აკაკი ვეფხიძის ისტორიული დრამა „სულხან-საბა“ ახასაყს საქართველოს ცხოვრებას მეოთხრამეტე საუკუნის დასაწყისში, როცა ომებით ილაჭაწყვეტილ ერს დასაზოგადებლად ეპოქინებოდნენ ირანი და თურქეთი. პიესა მოგვითხრობს იმდროინდელი საქართველოს თავდადებულ ადამიანზე — სულხან-საბა ორბელიანზე, ბერზე... რომელმაც ყველა ღმერთი დაივიწყა და მხოლოდ საქართველო იწაბა ღმერთად. მან საქართველოს ბედის ძიებაში მოიარა ირანი, ევროპა და, ბოლოს, რუსეთში დალა სული. იმ გზაზე ბევრი ქირ-ვარამი შეხვდა, მაგრამ ქელი არასდროს მოუხარია. პიესაში ჩანს საბა როგორც ბრძენი, რაინდი, როგორც მოყვასთა ქომაგი, როგორც დიპლომატი, ხალხის იმედო, მწერალი და თავდადებული საზოგადო მოღვაწე, ზორი-ტების წინააღმდეგ ხმაღმემართული ბერი, გაუტეხელი სიბტიციხისა და ფაქიზი სულის ადამიანი.

პიესა დაქოლდოებულია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მიერ თბილისის 1500 წლისთავთან დაკავშირებით გამოცხადებულ კონკურსზე.





წმინდები პირები:

საბა — სულხან-ოღლი, ბერი, ორმოცდაათ წელს გადაცემული, მაღალი, მხენ და ძლიერი, თეთროფიანალი გრძელი წვერი უშვენიებს სახეს. ახერავს ბერის ქუდი — კურჭლი.

თამარი — სახას ცოლუფოლი.

შინა — შეწისქვილა.

ხამარი — შიოს ასული.

მხახანი — გლეხი და მეომარი.

ომახანი — რაჭველი კალატოზი.

ღამიონი — ურმუნო.

ბარძინი — ერისთავი.

იისი — შემდეგ ალიფულობანი.

დომანძი — იესეს ნახევარძმა, კათალიკოსი. ახერავს მღვდელთმთავრის კვირკვინი (მტკარ).

რუჰა — იესეს კაცი. ვიღერ ვაზის იტყოდეს, ჩახებლებით უელს იწმენდს.

ბაქური — თავადი.

ღარქაზანი — ბაქურის ასული.

ხასანი — უკველთვის სხვადასხვა ნიღბით გამოჩნდება.

მირზა — მებაღე.

რინარი — იტალიელი მისიონერი.

ბერიკები, მეფოს სარანგები, ამაღა, ბერი.

მოქმედების დრო: მეტოჯამეტ საუყუნის პირველი მეთოხედი.

მოქმედების ადგილი: თბილისის მიდამო და ისპანია.

ჯგარი, ხმალი და ნამგალი

ღრუბლიანი ღამე. რკავს ღიძი ზარი და პატარა ზარები მოსძახიან. როცა ეს ხმა მიწყდება, ისმის გალობა — ძმოსმარული. სადაღვ დედა ჩველს ნაჩს უფერისი, ჩვილი ტარის და მალე წყნარდება. სადაღვ მგელი უშუის, ტურა ჩხავის, ჭოტი ჭობს ვასძახის, ლომი ბუხუნებს. წამით, თითქოს შორს მოვარდ გამოიხედო, შუკი აფარებდა. ღრუბლები მიმოდიან. თის დასაღიერში ერთხანს ელავს და გრუხუნებს, შემდეგ ზეცა მშვიდდება და კვლავ ზნელი ღამე მუფდება. სცენის ერთ მხარეს, ძირს, აიწოი განდელი. მის შუქზე გამოჩნდა სულხან-სახას ცოლუფოლი — თამარი. აცვია თაღლი კაბა.

თამარი. (ლოცულობს) ღმერთო, სულხანის სიცოცხლეს გავდრებ. ის შენთვის გახდა საბა, როცა ბერად ალიკვედა, ჩემთვის კი გვლავ სულხანად დარჩა. ეჰ, სულხან, რამდენი წელიწადია აღარ მინახავხარ და ასე გესურებები შორიდან, გულს შენზე ლოცვით ვიოხებ. რომ მნახო, ბედმაგი იქნებ ვეღარ მიცნო... შენ კი, როგორ მისდევ წუთისოფელს? სად იტყნჯება და სად ნეტარებს შენი ნათელი სული? სად ხარ, სულხან? მოპირდაპირე მხარეს, მაღლა, სენჯეში აიწოთა განდელი. თამარიან ზურგშექცივით საბა ლოცვად დავბა.

საბა. ზენარასო, საქართველოს სიცოცხლეს გავდრებ. ჯილდოდ ამქვეყნიდან არაფერს ვითხოვ, მხოლოდ ისე გუ მომეცა, ჩემი ქვეყანა წყლადმართული არ გიხილი.

თამარი. ღმერთო, სულხანის სიცოცხლეს გავდრებ! საბა. ზენარასო, ქართველი ხალხის სიცოცხლეს გავდრებ! (უხმოდ ლოცულობს).

თამარი. ყოვლისმზილელო, შენც ხომ უწყვი, ასლა ჩემი გული ნამხროვი აღარ არის, მარტოოდენ ნაცარია და მაინც ესუღდემულობ. ვიცოცხლობ იმ იმედი, რომ მზიანეთში კვლავ მგელვება სულხანი. დღეს ჩემ შეუღში უღაბანა ამ უღაბანოში მხოლოდ ერთი სულადნოე ცხოვრობს, მწირი ბერი — სულხანი.

საბა. თამარი, შემიხარ, რომ მიგატოვებ! ბევრი ვიქნებ შენგული შიშველი, მაგრამ მინათვ და გარემე მტრებსა ანაჩრისეა ღმერთი ვერ აუგუბ. ამიტომ მეორე ხელში ჯვარი დაიჭირე. ასლა ერთდროულად ჯვარიცა და ხმითი ვიბრძვი. შენ კი მარტოდმარტო მიგატოვებ სატანჯველად. ნეტავი ასლა ვისზე ლოცულობ, ბედმაო?

თამარი. ღმერთო, ცოცვად ნუ ჩამითვლი მხოლოდ ერთი სალოცავი რომ მყავს: ჩემი სულხანი და მისი საბა. სულხან-საბა შენც ხომ გიყვარს, უფალო?

საბა. მიგატოვებ. სხვა გზა არ მქონდა. მწუხრი დამაყენია საქართველოს, თუ ვინმემ არ უშველა... დაიღუპება.

თამარი. სულხან, შორიდან მემძის შენი ღვთიური ხმა. ჩემი ჭეშმარიტი ღმერთი შენა ხარ, ის კი არ ვიცი, შენ ვინ გიჩანს ჭეშმარიტ ღმერთად.

საბა. ჩემი ღმერთი საქართველოა.

თამარი. არ ვიცი, უშენოდ როგორ გვოცხლობ.

საბა. საქართველოა სიცოცხლე ჩემი. (ორივე ჩუხად ლოცულობს. სადაღვ მამალი ყვიის). ზენარასო, კვილი დილა გაუთრევე ყველას!

ორივე აქრის განდებს. ზნელ ღამეში კანტი-კუნტად უყვიან მამლები, შემდეგ ყვილი ხშირდება. აღმოსავლობს როგორი მოვად. ვაიარა სიმღერამ — „აღწევანს წავალ მარტულზე“. სიმღერა მიწედა. შოთა მწვერვალებს შორს პირველი სხივები დაეცა. განათილი თანდათან ჩამოვიდა მარად. გამოჩნდა ზურგშექციული ღარბიული ქობი, იქვე წასკვლი, მიწრილი და გორაკები, გორაკებს იქით — თბილისი. შორიდან ისმის სიმღერა „გლესავ და გლესავ, ნამგალო“. სიმღერა უცებ შეწყდა. ახლოვდება ხმაღვ ჩახახუხი და ორთა ყვირინა. ზრძლით შემოდიან მახარე და ოსმალე. მახარეს ერო ხელში ხმალი უჭირავს, მეორემ — ნამგალი.

მახარე. თავგაღმზიანო ოსმალოვ, გატყობ, მოგქულდა სიცოცხლე.

ჰეი, მარჯვენა, გამიჭირე, გულო, ნუ შემიშინდები, სისლდატობრებულ მიწაზე, ფეხი, ნუ მომიცურდები! (ოსმალი იხებს, ორივენი ბრძოლით გადიან. მახარე სიმღერით ბრუნდება).

საბა. სე. (გაღმურსება საფარიდან) გურჯო, დამნებდი, გიჯობს!

მახარე. თათარო გადამიტოლო, გავსწორდე! საპარსო, ვა გინდა ჩემგან, შენი რა წამოშლიაო?

ქვეყანა ოფითი მომირწყავს, ზედ ყანა ვამიშლიაო. იქ რად მოდიხარ სამგალად, სადაღვ არ დაგიტყნა?

(ხმლები ჩახახუხით გადიან. ლეკი ვიავლის და ქიხის მიეფარება. მახარე სიმღერით ბრუნდება).

ყამარი. ხმა. მიშველო! (იგი ლეკს მიჰყავს ნაბადში გახვეული) ჰეი, მიშველო! (ლეკი პირს შეუვრავს).

მახარე. ურჯულოვ, შეჩრდე! სიკვდილს გაგატან, ქართველ გოგოს კი ვერა!

ლეკი. (ნაბადში მდგებულ ქალს გვერდზე მიაგდებს). ლეკი წინ ლეკი ვარს, იყვოდ, ვაგაკურე შენმას ველო, თენი სულ მიწას ჩასცქერის, სახე აქვს რკინისფერი, ტანით მცირეა, დაბალი, გაწყობასუ აქვს წელო.

მახარე. მამენია ლეკთა ამბავი: გული აქვთ ცხელზე ცხელი, სატკვარს ენით გალოკვენ, ხანდება უფრო მჭრელი.

დალოდ რომ დაგებაღებათ, უნდა მაუარეს წელო, სწორი გაბაჰყავს მხარბეჭი, არ დასცინოდეს მტერიო, თთიან წყალოში გაბანეჭი, ჯანი ექნება მთოვლი.

მაგრამ, დუშმანი, ქართველიც, აბა, სად თქმულა ჯაბანი!

ლეკი. (ებრძვის) ო, დონდუხ, გააურ, ვალა, ვალა! (დამარცხებული გარბის. მახარე გაყვება და მალე ბრუნდება ყამართან).



მასხარე ვინა ხარ, დილის ფერიავ?  
 ყამარი. შიო მუწისქვილის ასული.  
 მასხარე. ის ხომ არა, პატარა გოგონა მთაში რომ გადამალა დასთან?

ყამარი. პო, ხუთი დღეა მთიდან ჩამოველ.  
 მასხარე. სად არის მამაშენი, რატომ არ მოგვეშველა?  
 ყამარი. წუხელ გალმა წავიდა, ავადმყოფს მალამო წავულო.

მასხარე. შინ მარტო მივატოვა?  
 ყამარი. მუდამ ჩოხის კალთაზე გამოკერებული ხომ არ ვეყოლები! (მიდის) გმადლობ!

მასხარე. სად მივქეძარება? მაგ მადლობას ის მიჩრევინა, შენი სახელი მარილიანად მითხრა.

ყამარი. ჩემი სახელი არც ღვინოა — დალიო, არც ხმალია — ომში გამოვადგეს.

მასხარე. პო, მარტო სახელი რად მინდა, მაგრამ მაინც... ისე... ამირიდან ჩემი სიცოცხლე და ბედ-ღობალი გერქმევა, კარგი?

ყამარი. ყამარი მქვია. (მიდის).  
 მასხარე. შელის ნუკრო, პირმშვენიერო, ნუ გამიბიბისარ

ველზედა, განა მტერი ვარ, მოყვრულად გამაბიბორები ხელზედა.  
 ყამარი. (შეურდა) თვითონ რა გქვია, ხმალუმიშარო?  
 მასხარე. ერთ ნათლიას ქართლისი დაურქმევია, მეორეს — გიორგი, შინაურბაში მასხარეს მქვამან. სახლი ბეგრების დამინგრეის, მაგრამ საძირკველი ვერ ამოთხიბარეს.

ყამარი. მეომარს ვე ნამგალი რაღად გჭირდება?  
 მასხარე. ჩვენში ახლა ხმალი უნამგოლდ არ ვარგა და ნამგალი — უხმლოდ. მხოლოდ მეომარს რად მქვამხი, მიწის მუშავე ვარ. გუშინ ომიდან მოვბრუნდი, დღეს მწიფე ყაბას შევები.

ყამარი. მამა რომ მოვა შინ, ვიხვოვ და მკაში ჩვენც მოგმარებები. თუ ყანა არავეი მოთმეო, ჩვენი მოსქვილი სულ დამუნჯდება. კეთილად მენახე, ხელხმლიაზო და ხელნამგლიაზო. (მიდის).

მასხარე. ვარს მაგარი ურდული გუვდე, კიდევ არავეი მოგტაცოს! (დაფურცეული გაყურებს. ღვკი, ოსმადა და სპარსი სხვადასხვა მხრიდან მიეპარებიან, დაჰკივლებენ და კვლავ იმართება ხმალია ჩაბაზუხი. ერთ ებრძვის სამს. მახარე დაიჭრა, ჩაიჩოქა ცალ მუხლზე, ასე გაიბრძოლა და უშაღვე ფეხზე დადგა. თანდათან უშენლდება მტერთა მოგერიება). ჰე, ჰე, ჰე! ქართველებო, მომეშველეთ! (გამოჩნდა საბა. ბერის ჩოხა სწრაფად გაიძრო, ქუდი მოიხადა, ჩაფხუტი მოიჩიგო, ხმალი იმიშულა და მტერებს შეებრძოლა. მომხარულები გადვენეს და დაბრუნდნენ). ვინა ხარ, ღვთისმირხო, ასე ნანატრიოთ რომ გამოთმინდი?

საბა. (ხმელს ქარქაშში ჩააგებს და კვლავ ბერული იმიშულა). ერთ დღოს დიდია მამულთა მფლობელი ვიყავ, სამეფო გვარის სისხლისა. მერმე ყველაფერი ბერის ჩოხასა გავეცალე. მეგონა, ასე მეტს ვარგებდი ქვეყანას.

მასხარე. სულხან-საბა?! (საბა თავს უქნევს) სიტყვა-მარჯვე რომ ხარ, ქვეყანამ იცი, ხელმარჯვეც ყოფილხარ. ბერი და ხმალაჯროსანი სწორედ უცნაურია?

საბა. როგორც ვერო, ისეთივე ბერიო. ჩემი მკვლეი მარტოვდებ ჯვრის ჭერას როდია ჩვეული, პირველად ხელში ხმალი მჭერია. ეს რაა?! სისხლი ჩამოგიდის ღვარად!

მასხარე. ურჯავის ხმალმა წვერით მიწია.

საბა. თან მაქვს მალამო, მაგ იარას მე დავაიამებ (პე-

რანგს გახდის). ეს რამდენი ნაჭრილობივეი გამიჩინებო? (მალამოს ადებს და დობანდით უხვევს).

მასხარე. არაფერია, ბერი მოთმინებია, ბერსაც გავუძლო. ზოგი გარევე მტერთავე მჭირს, ზოგიც შინაურთავე. ჩვენში დარჩეს და, შინაურთავე დაყოლიო უფრო დიდხანს მტკეპა ხოლმე.

საბა. ხომ დავაიმდა?  
 მასხარე. ტკილი ხელი ჭკონია.

საბა. ნეტავ შემეძლოს, საქართველოსაც ასე მივეშველო და ჭრილობებიც დავუვებო.

მასხარე. შენ საით ახლა, ხელვეითლო?

საბა. სიყრძის მეგობარს გამოვუარე. ვხედავ, წისქვილი დამუნჯებულია. ალბათ პატრონი შინ არ არის, დაველოდებო.

მასხარე. ნახვამდის. იმედია, კვლავ შევხვდებით ერთმანეთს!

საბა. დაველოცოს გზა-კვალი! (მასხარე გადის. საბა ჩამოვდება და დაფურცეული წისქვილს შეხედვს, მერმე აბიდან წიგნს ამოიღებს და კითხულობს): „თუ საწუთრომან დამამბოს, ყოველთა დამამბოლმან, დარიბი მოვეკვე დარიბად, ვერ დამიტარის მშობელმან, ვეღარ შემესუღონს დაზრდილთა და ვერც მისანდობელმან, მუნ შემეიწყალოს თქვენმავე გულმან მოწყალე, მომბოლმან“.

შ. ი. (შემოვა და მიაყურებს). „მაქვს საკონელი ურიცხვი, ვერცისგან ანაწონები, მივე დამახათა საჭურჭლე, ათავისუფლე მინები, შენ გაამაძიდრე ყოველი, ობოლი, არასმქონები...“

საბა. გამარჯობა, შიო!

შ. ი. აქ რას უღვასარ, შინ შევიდით!

საბა. თბილისისაკენ მიმქეძარება. გზა აქეთ მქონდა და შენს უნახავად ვერ ჩავიარე. სასახლის ახალი ამბები გვეცინებდა.

შ. ი. შამა მზეფე ვახტანგი ისპაჰანს მიწვივა ოჯახიანად.

საბა. ოჯახიანად? ვე ვერ არის კარგი ნიშანი. ვურჩევ, ოჯახი არ წაიყვანოს.

შ. ი. შაი დომენტი კაიალივისსაც იბარებს — ვახტანგის ძმას.

საბა. ვახტანგის ნახვევარმა იქეს არა?

შ. ი. არაო, ამბობენ.

საბა. შაი რაღად ახალ ბორთე ქსელს ხლართავს. იქეს ბატონიშვილი სად არის ახლა?

შ. ი. ჩვეულაფრივად, ამ ტყეებში ნადირობს ხოლმე.

საბა. (ხმურდა). პო, ნადირობა ფრიალ უყვარს. მიკვირს, რომ შამა ისპაჰანს ისიც არ იხმო. ვე წვეულები დალუბანვე ვახტანგს. ასეთ კაცთა ვეგრიდით კეთილი მზეფე ტახტზე დიდხანს ვერ გასძლებს. ჩემო ძუძუ-მზეფე, სხვა გზა არ არის, ბერი ისევე ერს უნდა დავებუნდე. მეც უნდა გავვერდე მზეფს. ეტყობა, იქვე რაღაცას მხაკვრობს. მშვიდობით!

შ. ი. ვინც საკუთარ ძმას არ ინდობს, სხვას სულ არ შეიბრძლება. ვახტანგ მზეფის გამზრდელი და ქომავი ხარ, იქეს კი ვახტანგი სულს და სულ იმის ცნაშია, ძმას დიდი მოუტკას, დაამაბუნოს და ტახტი წაართვას. იესუს მიფრედ, საბა!

საბა. მამაშენის ვახტანგი კაცს იოლად ვეგრივ წაქეცევს. (მიდის. შიო თვალს აკაცლებს და დაფურცეული ჩამოვდება. მიმავალ საბას შემოხვდა თამარი, წამით შეჩერდა, უნებოებით მიესალმა და გზა განავრო. თამარი ერთხანს გამოვრებული დგას, ხელში ბალახი უჭირავს. შემდეგ შიოსკენ წამოვა).

თამარი. გამარჯობა, აქიმო და მეწისქვილეც!  
შიო. იცოცხლე, დაო! არ შეცნობი?  
თამარი. დღო იყო, ძალიანაც კარგად მიცნობდი.  
შიო. მოხვედნი, თვალის ჩიხი დასაქვდა, მასსორობაც  
მღალატობს.  
თამარი. ჰე, შენ რომ მიცნობდი, ახლა იმის ჩრდილია  
ვარ: ჩრდილი კი ბატონს არ ძვება. შენ რა გისაყვე-  
დურთ, იხანაც გვერდით ისე ჩაძაჩრა, ვერ სთივთა,  
ვიმ ვიყავი.

შიო. (აევირდება). ვინა ხარ?  
თამარი. ცისკვემ ამაოდ მოხეტიალე ერთი უბედური  
ქალი, თუბრაგან მითრეველი.  
შიო. თათო?! აქ რამ სთივყავა?! ამბობდნენ: მამასთან  
არის სასქეცითი?!

თამარი. ეგელო გავეძლი და კვლავ აქ დავმეკვიდრე. აი,  
ახლა შეც შენაგეთი საყიფო იალახებს ვაგორფე. თვა-  
ლია, შეიგებური მალაზობს გეთია ვისაყვლო, სხვიის  
იარები თოვტრინხო და ახის იხტი გეოსტაცივილი ოდ-  
ნაც ათხვ დღეაიშო. ათიტოვ გამოთვითო. ეს იალაში  
თუ გახედგეთა შეიგებური მალაზობათია?

შიო. ჩიხებულად შეგვირევიათ, ეალბატოსო. შინ მეწვიეთ,  
სტუბოშიც დღეთიასა.

თამარი. სხვა დროს ვესტუმრებთი. ვალმა ბაკურს სოვ-  
კარი თვალი და უსადა გახეკილიო.  
შიო. რა დავიბავეთია?

თამარი. იხტი ემრისეული ადგილ-მამული იესემ ხომ  
მავას უფუქება. პოდა, გზა ამ შესთვარეული ფეხ-  
დადებულს რომ დაბიბავეს, ისე ხილვარასა, თითოეს  
ამ თოვა-წყალს ვართთვედვ. გავიგე: თურთ სიკვდი-  
ლითც შეუვრეთა. ხანავადის! (სიღის).

შიო. ეჰ, საბათო, როგო დიავარა საუთროსი თუმეცა...  
სივას ვის ააჩრებს! (თვალს სთქრავს ვილაქას). ეს  
შეგითი, ბატონის ასული უღა იყოს, დოიჯავი. სჯობს,  
გავიგეთო. (შინ სევა).

დარეჯახი. (შეშვავა. მისი თვალს გააყოლებს). ყველა  
გვერდებია, თითოეს ყვავეთი ვიყურა. ვის ია იცხა...  
სულ არ შევკლილა აუაუოთია, თხოლოდ ციხის საფე-  
რეებს მტეტი ხავსი დადებია, ხავსი...

ბარძიმი. (შეშვავა. ერთხას მდუარად უყურებს და-  
რეჯახს). ასე დაფიქრებული უას ჩასტყვით, დარეჯავა?  
დარეჯახი. მოხვედი?  
ბარძიმი. დამავიჯავადა.

დარეჯახი. მე თოვედი ადრე.  
ბარძიმი. შეხ ეს ხაციხარა ხიხინად ვიყავანდი.  
დარეჯახი. ეჰ ბავშვობისა თათო! და გასაძობდით. ერ-  
თიელ ხერგელშიც გაეძვებრით. არ შევკლილა აქურო-  
ბა, ხევეს გი...

ბარძიმი. მე კი შევკლილი მერევენბა. ნანგრევებს ხავსი  
სქლოდ დადებია.  
დარეჯახი. და ამ ხავსს ჩენი ბავშვობის ნაფურები  
წაუშლია. ვათუ... არა?

ბარძიმი. დარდი წა გაქვს, ბავშვობისდროინდელ სიყ-  
ვარულს ვერაფერი წაქვს.

დარეჯახი. როგო გადაწყდა შენი ამბავი?  
ბარძიმი. ვახტანვ შეფეუ უბრაბეზია, დღესვე გამე-  
ტავაროსო.

დარეჯახი. შენი გუმანი რას გუებნება?  
ბარძიმი. უნდა წავიდე. ვათუ თერხ დავვიანდეს...  
დარეჯახი. ვრბელი გზა არის რუათა ხელმწიფეზე.  
ეჰ, როდის დაბრუნდები. მე მარტო ვრჩები...

ბარძიმი. დავბრუნდები... შეფთვის მახინვ დავბრუნდები.  
დარეჯახი. ამაოდ ივლი. ეხლა რუსთა ხელმწიფეს ვენე-  
თვის არა სცავლია.

ბარძიმი. ცდა ბედის მონახევერავო.



დარეჯახი. ამბობენ: ქართველებს ღმერთმა თავისი  
წილებვედრი მიწა უბოძა, ყველაზე ღამასი და...  
დართი. მე მგითია, ეს არის ჩენი ბედიც და...  
ღობაც. სურედ ამიტომ, ყოველის მხორდაა გვერდისა  
მტრები, გვერევეც, გვერევეც. ყველას იხვი და...  
როგებდა სცავლია. საქათველოს ეს ღმერთისა სოფელს  
სინდორე და სილამაზე სასჯელად ქვეს. დღეთით,  
წილც, რაიც მოვევცე და კავალერუხე, ოაიც წავაბრ-  
ვი... მამარეი თოდის აქეთ. დავლაკვალ დადგვს,  
ისევ ბავშვი ვგოთივარ. დავევალოთ. (ბარძიმი სიყვ-  
ითივად და ბატონი გახევეს). ეს რა არის, ბარძიმი?  
ბარძიმი. ორის თივდებარ, თეორ გვერდისაში. ამ ერთ  
მუჭა ქართულ შავ მიწას თან წავიღებ იმედად, სყო-  
რედ ამ ადგილის მიწას...

დარეჯახი. არ გინდა, ბარძიმი! იმდეს ნუ დავკარგავთ.  
ვერთ მივავს, ასე მგითია, ვერ დაბრუნდები. გაი-  
და ამისა, საქართველოს ისედაც უკატარა და ყველას  
ასე მუჭა-მუჭა ხოს აო უნდა გახდის უცხოეთი? სე  
წავალ თ თეორ ქვეყანაში, იციცი, ამაოდ ივლი. შროსა  
იედის ძებნას ვგოთივარ, აქ დავიხეცოთ და ჩვენც  
ქართულ მიწას მივუკატარო...

ბარძიმი. შეფეუ მბორიხა და რა გენა? ამ მამაშენი სო-  
ვერდისაშიც (გაიღას).

ბაკური. (შეშვავს. პირი ბიბუხი გაუჩრია. თან ყმა ახ-  
ლავს). ჰე, ბარძიმი!

ყმა. თო, და, თო!  
შიო. (გამოხედა). რას მიბრძანებ, ბაკურ ბატონო?

ბაკური. ბოლოთემა მიხონრა, თეწისქვილე ბეგარას არ  
გვინბნისო.

შიო. ბაკურ ბატონო, ვერ გამიგია, რის ბეგარას მბნოთ?!  
მე ახატი გლუბი ვო, ბატონისაგან თათისუფლი.

ბაკური. წიყველი ხოი ჩენს მიწაზე გიდავს!  
შიო. როცა სულამაა გახასაატა, ეს ხეცირე მიწა მამინ მა-  
ჩეჭა.

ბაკური. პო, ვთქვალ, წისქვილი შენს მიწაზე გიდავს,  
მაგრამ ამ წისქვილს გასა იხვი წყლით აო ათიუა?

შიო. წისქვილი უყვლოდ სად გავთოლა? რაეი წისქვილი  
მაჩეჭა მამამ, ითის დასტურეც მბინევე თოცა, წიყ-  
ვიცი ხმარეხი.

ბაკური. როდესაც სულხანი ბერად მედგა, ეს მიწა-  
წყალი სოფელყმაბად იესემ თათოს ხილართავა და  
მე გადმომცა. შევლევ ჩაბარეც მურავს, რაც აქამდე  
ბეგარა არ გადაეხბიდა.

შიო. რით გადავხბადო, ამ სულს იქით არა გამაჩნია რა.  
ბაკური. თუ არ გადავხბო, კვლავ ყმად გაქცევ, ახატო  
გლუბი! ჯვარი დამისვამს ამ საქმისთვის, თორჩა, გა-  
თავდა!

ყმა. მიწა, სტუმრებს რატომ შინ არ ვბატეკევი?  
ბაკური. ეს ვინდა არის?

ყმა. მეწისქვილის ასულია. აქამდე მთაში ჰყავდა გადა-  
მალული.

ბაკური. ეს წიყვენი გადავხბადმი! დარეჯანისთვის ახა-  
ტი ფარევიც მტორედება.

ყმა. რას, რას ამბობს?! მტრები გეწვივენ თუ მო-  
ყვრები?!

შიო. ბაკურ ბატონო, შევიდი ვაჭის მამა ვიყავი, ზოგი ომ-  
ში დამეხოცა, ზოგიც გადავთივებდა მომტაცებს და  
